სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო

სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის პროგრესის მეცხრე ანგარიში

იანვარი-დეკემბერი 2017

სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სამდივნო
გორგასალი 24ა თბილისი, 0114,
www.Justice.gov.ge
cjrs@justice.gov.ge
(+995 32) 240 50 97

სარჩევი

I. შესავალი 3

II. სამდივნოს საქმიანობა 3

III. სტრატეგიული პრიორიტეტები 4

1. სისხლის სამართლის და არასრულწლოვანთა კანონმდებლობის რეფორმა 4
2. სასამართლო რეფორმა 7
3. პოლიციის რეფორმა 23
4. პროკურატურის რეფორმა 44
5. იურიდიული დახმარების სამსახურის რეფორმა 76
6. პენიტენციური სისტემის რეფორმა 87
7. პრობაციის სისტემის რეფორმა 107
8. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმა 118
9. იურიდიული განათლების რეფორმა 151
10. სახალხო დამცველის აპარატის გაძლიერება 156
11. სისხლის სამართლის სისტემაში რეაბილიტაცია/რესოციალიზაცია 172

I. შესავალი

სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის პროგრესის მეცხრე ანგარიში მოამზადა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკურმა დეპარტამენტმა, როგორც სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს (შემდგომში „საბჭო“) სამდივნომ (შემდგომში „სამდივნო“). ანგარიში ეყრდნობა საბჭოს წევრ უწყებათა მიერ მოწოდებული ინფორმაციას სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელების მდგომარეობის შესახებ და 2017 წლის იანვრიდან-დეკემბრამდე პერიოდს მიმოიხილავს.

II. სამდივნოს საქმიანობა

საანგარიშო პერიოდში სამდივნოს ორგანიზებით გაიმართა სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს 2 სხდომა და საბჭოს ფარგლებში არსებული სამუშაო ჯგუფებისა და ქვეჯგუფების შეხვედრები (სულ 19 შეხვედრა).2017 წლის 12 აპრილის სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს რიგით 24-ე სხდომა გაიმართა. საბჭოს სამდივნოს კოორდინაციით და სამოქალაქო სექტორისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობით განახლდა სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სექტორული სტრატეგიები და სამოქმედო გეგმები თითქმის ყველა მიმართულებით. სექტორული სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების განახლების პროცესი შესაბამისი მიმართულების სამუშაო ჯგუფის ფარგლებში ასევე მიმდინარეობდა სახელმწიფო უწყებების, სამოქალაქო სექტორისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობით. საბჭოს წევრებმა განიხილეს და დაამტკიცეს სისხლის სამართლის რეფორმის განახლებული ერთიანი სტრატეგია და 2017-2021 წლების სამოქმედო გეგმა; ასევე, სისხლის სამართლის რეფორმის სისტემის 2016 წლის პროგრესის ანგარიში.

2017 წლის 18 დეკემბერს გაიმართა სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს რიგით 25-ე სხდომა. სხდომაზე საბჭოს წევრმა უწყებებმა დამსწრე საზოგადოებას წარუდგინეს ინფორმაცია მიმდინარე რეფორმებისა და სამომავლო გეგმების შესახებ. სხდომაზე განხილული იყო ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხები, მულტიდისციპლინური სამუშაო ჯგუფი - არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის იმპლემენტაციის პროცესში გამოვლენილი გამოწვევები და სამომავლო გეგმები. არასრულწლოვანთა მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის კონცეფცია, არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სამოქმედო გეგმა, საგზაო უსაფრთხოება, დანაშაულის პრევენცია, მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურის განვითარება - საკანონმდებლო ცვლილებები.

III. სტრატეგიული პრიორიტეტები

1. სისხლის სამართლის და არასრულწლოვანთა კანონმდებლობის რეფორმა

მიზანი 1.1 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი

სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის, მოდერნიზაციისა და საერთაშორისო სტანდარტებთან მისი შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, იუსტიციის სამინისტრომ 2013 წელს დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის გადასინჯვა. სისხლის სამართლის კოდექსის გადასინჯვის პროცესში ყურადღება გამახვილდა ისეთ კონცეპტუალურ საკითხებზე, როგორიცაა: სასჯელის დანიშვნის პრინციპები, სასჯელის სახეები, პირობითი მსჯავრი, გამოსაცდელი ვადა, ჯარიმა და სხვ. გადაიხედა, აგრეთვე. კონკრეტულ დანაშაულთა შემადგენლობები, დამამძიმებელი გარემოებები, სანქციები და სხვ. კოდექსის პროექტის გადასინჯვის პროცესი მიმდინარეობდა სისხლის სამართლის ექსპერტების, ადგილობრივი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის ევროკავშირის, ევროსაბჭოს, ამერიკის იუსტიციის დეპარტამენტის აქტიური ჩართულობითა და მხარდაჭერით.

2015 წლის მარტში, მიღებულ იქნა ევროპის საბჭოს დასკვნა, რომლის შესაბამისად მიმდინარეობს კოდექსის ცვლილებების განახლება და საბჭოს ფარგლებში განხილვა. 2015 წლის 13 ოქტომბერს, ევროკავშირის პროექტისა და ევროსაბჭოს მხარდაჭერით გაიმართა კონფერენცია სისხლის სამართლის კოდექსის განახლებულ პროექტთან დაკავშირებით. კონფერენციაზე განხილულ იქნა ევროპის საბჭოსა და ევროკავშირის ექსპერტების რეკომენდაციების შესაბამისად კოდექსის პროექტში განხორციელებული ცვლილებები. საერთაშორისო ექსპერტთა რეკომენდაციების, სამთავრობო უწყებების და სამოქალაქო სექტორის მიერ მოწოდებული მოსაზრებების/რეკომენდაციების განხილვის/გათვალისწინების შემდგომ, 2017 წელს მომზადდა კანონპროექტი, რომელიც 2018 წელს წარედგინება სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს წევრებს განსახილველად; ასევე, დოკუმენტი განთავსდება საკანონმდებლო მაცნეზე საჯარო კონსულტაციებისთვის. კანოპროექტის საბოლოო ვერსია პარლამენტში დასამტკიცებლად 2018 წელს გაიგზავნება.

მიზანი 1.2 ცვლილებები სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში

მუშაობა მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების პროექტზე, რომლის თანახმად ახლებურად ჩამოყალიბდება მტკიცებულებათა დასაშვებობის წესები, მათ შორის, განისაზღვრება ირიბი მტკიცებულების დასაშვებობის მკაფიო კრიტერიუმები.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში დაფიქსირებული ხარვეზების აღმოფხვრისა და აღნიშნული საკითხის მარეგულირებელი კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, ევროპის საბჭოს ნაფიც მსაჯულთა ევროპული მოდელების შედარებით-სამართლებრივი კვლევის საფუძველზე, სამდივნომ

მოამზადა შედარებით-სამართლებრივი კვლევა, რომელშიც დეტალურად იქნა განხილული ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს იურისდიქცია, ნაფიც მსაჯულთა შერჩევის მეთოდები და გადაწყვეტილების დასაბუთებულობის საკითხები ევროპულ სახელმწიფოებში. კვლევის საფუძველზე შემუშავდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი.

სამდივნო, ასევე, აქტიურად არის ჩართული ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში დაფიქსირებული ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის საქმიანობაში.

საკანონმდებლო ცვლილებებისა და კანონპროექტების შემუშავების პროცესი მიმდინარეობდა სისხლის სამართლის ექსპერტების, ადგილობრივი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის ევროკავშირის, ევროსაბჭოს, ამერიკის იუსტიციის დეპარტამენტის აქტიური ჩართულობითა და მხარდაჭერით.

მიზანი 1.3 არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი

2017 წლის ზაფხულში, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიღებიდან ორი წლის თავზე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მულტიდისციპლინური სამუშაო ჯგუფის წევრებთან ერთად, **კოდექსის იმპლემენტაციისას გამოვლენილი გამოწვევების ცხრილი შემუშავდა.** სისხლის სამართლის საბჭოს სამდივნოს (იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტი) კოორდინაციით UNICEF-მა და არასამთავრობო ორგანიზაციამ „ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციისათვის“ წარმოადგინეს ინფორმაცია არსებული პრობლემების და მისი გადაჭრის გზების შესახებ, რომელზეც სამუშაო ჯგუფის თითოეულმა წევრმა საკუთარი პოზიცია დააფიქსირა.

მულტიდისციპლინურმა სამუშაო ჯგუფმა გამართა შეხვედრები ხარვეზების გამოვლენის მიზნით, ხოლო 2017 წლის დეკემბერში გაიმართა მულტიდისციპლინური სამუშაო ჯგუფის 2 შეხვედრა, რომელზეც მონაწილეებმა უკვე არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის იმპლემენტაციის პროცესში გამოვლენილი სირთულეების ერთიანი ცხრილი განიხილეს. **ცხრილის პრეზენტაცია საბჭოს სამდივნომ გააკეთა.**

ცხრილში წარმოდგენილი ძირითადი საკითხები უკავშირდება ბავშვზე მორგებული გარემოს უზრუნველყოფას/გაუმჯობესებას, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში ფსიქოლოგებისა და სოციალური მუშაკების როლის გაზრდას, სპეციალიზაციის ცნების გაფართოებასა და ხარისხის მონიტორინგის მექანიზმის შექმნას, სრულწლოვანი ბრალდებულის საქმეში არასრულწლოვანი მოწმის კოდექსით დადგენილი გარანტიებით უზრუნველყოფას და სხვ.

დოკუმენტში წარმოდგენილი პრობლემების/ხარვეზების მოსაგვარებლად სამუშაო ჯგუფის მიერ **გადაწყვეტის შემდეგი გზები დასახელდა:**

- საკანონმდებლო ჩარევა - კოდექსის ცვლილება, საჭიროების შესაბამისად
- კანონქვემდებარე აქტებში საკითხის დარეგულირება;

- კოდექსის კომენტარების შემუშავება;
- პრაქტიკული საკითხების უწყებების მიერ შიდა რეგულაციებით მოგვარების უზრუნველყოფა.

ხარვეზების ცხრილისთვის საბოლოო სახის მიცემის შემდეგ დაიწყო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსსა და მასთან დაკავშირებულ კანონმდებლობაში ცვლილებების განხორციელებაზე მუშაობა.

მიზანი 1.4 პროკურატურის რეფორმა

პროკურატურის სისტემის რეფორმა მიზნად ისახავს პროკურატურის ინსტიტუციური დამოუკიდებლობის გაძლიერებას, პროკურორთა საქმიანობაში სრულ ჩაურევლობას და პროკურორების მიერ თავიანთი პროფესიული ფუნქციების მიუკერძოებლად და ობიექტურად განხორციელებისთვის სამართლებრივი ბაზის შექმნას.

პროკურატურის სისტემის რეფორმირებასთან დაკავშირებით 2016 წლის 16 დეკემბერს, სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციოს საბჭოს რიგით 23-ე სხდომაზე პროკურატურის სისტემის რეფორმის ახალი სტრატეგია, საქართველოს პროკურატურის მუშაკთა ეთიკის კოდექსი და პროკურორთა შეფასების სისტემის დოკუმენტი იქნა განხილული.

საქართველოს პროკურატურის მიერ შემუშავებული სტრატეგია მიზნად ისახავს პროკურატურის სისტემისა და ინდივიდუალური პროკურორის დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდას, პროფესიული ეთიკის სტანდარტისა და თანამშრომელთათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების მექანიზმის დახვეწას, ცალკეული გადაწყვეტილებების მიღებისას კოლეგიური ორგანოების მნიშვნელობის გაზრდას, ადამიანის უფლებების დაცვას, პროკურორთა მიღებისა და დაწინაურების გამჭვირვალე სისტემის შექმნას, საპროკურორო საქმიანობისა და გამოძიების ხარისხის გაუმჯობესებას, პროკურატურის სისტემის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებას, საერთაშორისო თანამშრომლობის მექანიზმების დახვეწას, საქართველოს პროკურატურის მიმართ საზოგადოების ნდობის ამაღლებას და პრევენციული ღონისძიებების გააქტიურებას. პროკურატურის რეფორმის ახალი სტრატეგია აშშ იუსტიციის დეპარტამენტისა და ევროპის საბჭოს მხარდაჭერით შემუშავდა.

პროკურატურის რეფორმის სტრატეგიაზე მუშაობის პარალელურად, პროკურორთა შეფასების სისტემის დანერგვის პირველი ეტაპი დასრულდა. შეფასების სისტემის დოკუმენტით ქ. თბილისის პროკურატურის, რაიონული პროკურატურების, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის და საოლქო პროკურატურის პროკურორთა შეფასების კრიტერიუმები გაწერილია.

2. სასამართლო რეფორმა

მიზანი 2.1. მართლმსაჯულების სექტორის შემდგომი რეფორმირება

ამოცანა 2.1.1. სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის, გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა

ღონისძიება 2.1.1.1 სასამართლო სისტემის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება

საქართველოსა და ევროკავშირს შორის დადებული ასოცირების შეთანხმებისა და დღის წესრიგის მიხედვით, სასამართლო ხელისუფლებამ შეიმუშავა სასამართლო სისტემის 5-წლიანი სტრატეგია და 2-წლიანი სამოქმედო გეგმა. სასამართლო სისტემის ეფექტიანობის უზრუნველყოფის სტრატეგიული მიმართულება, სხვა საკითხებთან ერთად, მოიცავს საქმეთა გაჭიანურებისა და გადატვირთულობის პრობლემის ანალიზსა და შესაბამისი ზომების გატარებას.

სტრატეგიის პრაქტიკაში დანერგვის მიზნით, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ შეიმუშავა სტრატეგიის იმპლემენტაციისა და მონიტორინგის მექანიზმი სამუშაო ჯგუფების სახით, რომლის ფორმატიც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, პარლამენტისა და იუსტიციის სამინისტროს ჩართულობას გულისხმობს.

ღონისძიება 2.1.1.2 სასამართლო სისტემის სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში მოსამართლეთა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის უზრუნველყოფა

სტრატეგია ითვალისწინებს საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სამოქალაქო საზოგადოების რეკომენდაციებს სასამართლოში არსებული გამოწვევების შესახებ. სტრატეგიის შემუშავების პროცესში შეიქმნა საერთო სასამართლოების, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან დაკომპლექტებული სტრატეგიული კომიტეტი. კომიტეტის ფარგლებში ოთხი სტრატეგიული მიმართულების შესაბამისად შეიქმნა ოთხი სამუშაო ჯგუფი. სამუშაო ჯგუფები ანგარიშვალდებულნი არიან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წინაშე. ასევე, მიმდინარეობს სტრატეგიის 6 თვის განმავლობაში განხორციელებული აქტივობების თაობაზე ანგარიშის მომზადება.

ღონისძიება 2.1.1.3 მოსამართლეთა საჭირო რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შემუშავება/მოსამართლეთა საჭირო რაოდენობის განსაზღვრა

სასამართლოს გადატვირთულობის პრობლემის შესასწავლად, კონკრეტულად კი მოსამართლეებისა და სასამართლო მოხელეების ოპტიმალური რაოდენობის განსაზღვრისათვის, „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) პროექტის ფარგლებში მოწვეულმა ექსპერტმა იესპერ ვიტრუპმა შეისწავლა და

წარმოადგინა პირველადი რეკომენდაციები[1]. ამ მიმართულებით სამუშაოები კვლავ გრძელდება.

ღონისძიება 2.1.1.4 მოსამართლეთა სპეციალიზაციის რეფორმა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, მართლმსაჯულების ეფექტიანობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, განახლებული საქმეების კატეგორიების მიხედვით ჩამოაყალიბა მოსამართლეთა ვიწროს პეციალიზაცია; კერძოდ, ცალკე ვიწრო სპეციალიზაციად, გამოყო საქართველოს საბანკო დაწესებულებების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ დადებული სესხის კატეგორიის დავების განმხილველი მოსამართლეები.[2]

საქართველოს პარლამენტის, იუსტიციის სამინისტროსა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლობით და დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით,[3] სამუშაო შეხვედრების ფარგლებში, მომზადდა საკანონმდებლო ცვლილებები საბანკო და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ დადებული სესხის ხელშეკრულებებიდან გამომდინარე დავებისგან სასამართლოთა გადატვირთულობის შემცირების მიზნით. კანონპროექტი განხილვის ეტაპზეა პარლამენტის იურიდიულ კომიტეტში.

ბიზნეს დავების სწრაფად და ეფექტურად გადაჭრის მიზნით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, 2017 წლის 1 აგვისტოდან, თბილისის საქალაქო სასამართლოში კომერციული დავების განმხილველი 5 მოსამართლის შემადგენლობით ვიწრო სპეციალიზაცია ჩამოყალიბდა.[4]

ღონისძიება 2.1.1.5 მოსამართლეთა შერჩევის კრიტერიუმების დანერგვა; მოსამართლეთა საქმიანობის პერიოდული შეფასების სისტემის დახვეწა და მოსამართლეთა დაწინაურების კრიტერიუმების შემუშავება და დანერგვა

ინდივიდუალური მოსამართლის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის ფარგლებში, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ და უზენაესმა სასამართლომ, ევროპის საბჭოს და ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის ორგანიზებით, მოსამართლეთა შეფასების სისტემის გაუმჯობესების მიზნით სამუშაო შეხვედრა ჩაატარა.[5] სამუშაო შეხვედრის ფარგლებში, საქართველოს პარლამენტისა და საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით[6] გაიმართა მსჯელობა და განიხილეს რეკომენდაციები,

[1]შეხვედრა ექსპერტთან უზენაეს სასამართლოში გაიმართა 2017 წლის 3 ოქტომბერს.

[2]იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 2 დეკემბრის №1/278 გადაწყვეტილება.

[3]ევროპის საბჭო, ევროკავშირი, ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტო, გერმანიის საერთასორისო თანამშრომლობის საზოგადოება.

[4]იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება #1/238, 2017 წლის 1 აგვისტოდან ამოქმედდა.

[5]2017 წლის 14-15 ნოემბერი

[6]მოსამართლეAneta Arnaudovska, მაკედონიის მოსამართლეთა და საჯარო პროკურორთა აკადემიის დირექტორი, Pim Albers, ტილბურგის უნივერსიტეტის სამართლის დოქტორი, CEPEJ-ეს ყოფილი მრჩეველი, ODIHR ექსპერტი, Katarzyna Gonera, პოლონეთის უზენაესი სასამართლოს მოსამართლე, პოლონეთის მოსამართლეთა უმაღლესი საბჭოს წევრი, ODIHR ექსპერტი, Rado Brezovar, სლოვენიის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის უფროსი მრჩეველი, Gar Yein Ng,PhD, ბაკინგების სამართლისსკოლის ლექტორი, ODIHR ექსპერტი, Katarzyna Gonera, პოლონეთის უზენაესი სასამართლოს მოსამართლე, პოლონეთის მოსამართლეთა უმაღლესი საბჭოს წევრი, ODIHR ექსპერტი

რომლის თანახმადაც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლეთა შეფასების რაოდენობრივ სისტემას უნდა დაემატოს მოსამართლეთა საქმიანობის ხარისხობრივი შეფასება. ამჟამად, რეკომენდაციების მიხედვით, იუსტიციის უმაღლესი საბჭო განაგრძობს მუშაობას მოსამართლეთა საქმიანობის (ე.წ. რაოდენობრივი და ხარისხობრივი) შეფასების ახალი წესის შემუშავებასა და დანერგვაზე.

ღონისძიება 2.1.1.6 უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატის მუშაობის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით საერთაშორისო გამოცდილების შესწავლა და პალატის მუშაობაში დანერგვა

2017 წლის ფარგლებში, აღნიშნული მიმართულებით ცვლილებები არ მომხდარა.

ამოცანა 2.1.2. მოსამართლეთა დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ კანონის და საერთო სასამართლოების შესახებ ორგანულ კანონში გათვალისწინებული დისციპლინური მექანიზმების გაუმჯობესება და სრულყოფა

ღონისძიება 2.1.2.1 დისციპლინური გადაცდომის სახეების გაუმჯობესება და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა, მათ შორის დისციპლინური სამართალწარმოების პროცესის დახვეწა გამჭვირვალობის, უფლებებისა და გარანტიების თვალსაზრისით

საქართველოს პარლამენტის, იუსტიციის სამინისტროსა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების მონაწილეობით მიმდინარეობს სამუშაო შეხვედრები, რომელთა ფარგლებშიც განიხილებამოსამართლეთა ინდივიდუალური დამოუკიდებლობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპებს შორის ბალანსის უზრუნველსაყოფად დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლების შემდგომი დახვეწისა და შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავების საკითხები.

ღონისძიება 2.1.2.2 მოსამართლეთა ეთიკის კოდექსთან დაკავშირებით წინადადებების შემუშავება

2017 წლის ფარგლებში, აღნიშნული მიმართულებით ცვლილებები არ მომხდარა.

ღონისძიება 2.1.2.3 დამოუკიდებელი ინსპექტორის ინსტიტუტის შექმნა

ინდივიდუალური მოსამართლის ანგარიშვალდებულების გაძლიერებისთვის, 2017 წლის 8 თებერვალს, ამოქმედდა დამოუკიდებელი ინსპექტორის ინსტიტუტი. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ კონკურსის საფუძველზე შერჩეული დამოუკიდებელი ინსპექტორი უფლებამოსილების განხორციელებას 2017 წლის 21 ნოემბრიდან შეუდგა. ინსპექტორის აპარატში 4 საშტატო ერთეულით გათვალისწინებული თანამშრომელი მუშაობს.„საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის დანაწესით, მოსამართლის მიმართ დისციპლინურ სამართალწარმოებას იწყებს, აგრეთვე დისციპლინური საქმის წინასწარ შემოწმებასა და გამოკვლევას ახორციელებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორი, რომელიც

თავის დასკვნებსა და მოსაზრებებს წარუდგენს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს.

ამოცანა 2.1.3. სასამართლოში საქმეთა შემთხვევითობის პრინციპზე დაფუძნებული ელექტრონული განაწილების სისტემის დანერგვა

ღონისძიება 2.1.3.1 ელექტრონული პროგრამის შემუშავება/დაწერა

2017 წლის 1 მაისს, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება „საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“. აღნიშნული წესის საფუძველზე, 2017 წლის 1-ლი ივლისიდან რუსთავის საქალაქო სასამართლოში პილოტურ რეჟიმში ამოქმედდა პროგრამა, ხოლო 2017 წლის 31 დეკემბრიდან - საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ყველა სასამართლოში.

ღონისძიება 2.1.3.2 საქმეთა განაწილების კრიტერიუმების შემუშავება/დაწერა

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 1-ლი მაისის №1/56 გადაწყვეტილების საფუძველზე, 2017 წლის 1-ლი ივლისიდან რუსთავის საქალაქო სასამართლოში, ხოლო 2017 წლის 31 დეკემბრიდან სხვა საერთო სასამართლოებში, ამოქმედდა საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესი. აღნიშნული წესის თანახმად, შემთხვევითი განაწილების პრინციპი გულისხმობს ელექტორნული სისტემის მეშვეობით საქმის განაწილებას დადგენილი პროცედურის დაცვით ავტომატურად შერჩეული შესაბამისი კოლეგიის/პალატის/ვიწრო სპეციალიზაციის მოსამართლეზე.

ელექტრონული სისტემა უზრუნველყოფს მოსამართლეთათვის საქმეთა შეძლებისდაგვარად თანაბარ განაწილებას, ელექტონული სისტემის მეშვეობით განაწილებულ საქმეთაგან წარმოებაში არსებულ საქმეთა რაოდენობის გათვალისწინების გარეშე.

შვებულების, სამსახურებრივი მივლინებისა და დროებითი შრომისუუნარობის პერიოდში მოსამართლეზე საქმეები არ ნაწილდება გარდა იმ შემთხვევებისა, როცა სამსახურებრივი მივლინებისა და დროებითი შრომისუუნარობის ხანგრლივობა არ აღემატება 3 დღეს და გასანაწილებელი საქმეების განხილვის ვადა აღემატება 72 საათს. შვებულების, სამსახურებრივი მივლინებისა და დროებითი შრომისუუნარობის პერიოდში, მოსამართლის წარმოებაში არსებულ საქმეზე საპროცესო მოქმედების განსახორციელებლად,შესაბამისი მუხლის საფუძველზე (ელექტორნული განაწილების წესის მუხლი 4) საქმე დროებით გადაეცემა შერჩეულ მოსამართლეს, თუ ირღვევა ამ მოქმედების შესასრულებლად საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადა. აღნიშნული საპროცესო მოქმედების შესრულების შემდეგ საქმე უბრუნდება განმხილველ მოსამართლეს.

წესის თანახმად, სისტემის დროებითი შეფერხებისას, თუ ელექტრონული სისტემის შეფერხების ხანრგძლივობა აღემატება 2 დღეს, გარდა დაუყოვნებლივ განსახილველი

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეებისა და საქმეებისა, რომელთა განხილვის ვადა 24 და 48 საათია, სასამართლოს თავმჯდომარე უფლებამოსილია გაანაწილოს საქმეები რიგითობის წესით. სასამართლოს თავმჯდომარე დროებითი შეფერხების შესახებ ატყობინებს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსა და სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტს, რაც ფორმდება შესაბამისი აქტით.

ღონისძიება 2.1.3.3 მენეჯმენტის დეპარტამენტის შექმნა

საქმეთა ელექტრონული წარმოების პროგრამის ტექნიკური გამართულობის უზრუნველსაყოფად იუსტიციის უმაღლეს საბჭოში შეიქმნა მენეჯმენტის დეპარტამენტი, რომლის ფუნქციები მოიცავს ელექტრონული წარმოების პროგრამის გამართულობის მონიტორინგს და საქმეთა განაწილების არსებული ხარვეზების თაობაზე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ინფორმირებას.

ამოცანა 2.1.4. სასამართლოში ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის დანერგვა სამოქალაქო, სისხლის და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაზე

ღონისძიება 2.1.4.1 საერთო სასამართლოებში საქმეთა ელექტრონული საქმის წარმოების სისტემის შემუშავება - სასამართლო სხდომების დისტანციურად ჩატარების, სარჩელის, შესაგებლის, შეგებებული სარჩელის, საქმის წარმოების დოკუმენტების მხარეებისთვის დისტანციურად ჩაბარების/მიწოდების დანერგვა

თბილისის საქალაქო სასამართლოს ტერიტორიაზე შეიქმნა საერთო სასამართლოების ახალი მონაცემთა ცენტრი, რომელშიც განთავსებულია საერთო სასამართლოების სივრცეში არსებული ორმოცამდე ელექტრონული სერვისი; მათ შორის, საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად ელექტრონული განაწილების სისტემა, INFO.COURT.GE - სასამართლოს გადაწყვეტილებების ელექტრონული საძიებო სერვისი, სასამართლოში არსებული სხდომების ავტომატური გამოქვეყნების სერვისი, E-court – საერთო სასამართლოებში სასამართლო საქმის ელექტრონული რეგისტრაციის სისტემა.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, ელექტრონული საქმის წარმოების სისტემის სრულყოფის მიზნით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი. აღნიშნული სამუშაო ჯგუფი სწავლობს სისტემის სამართლებრივ ფუნქციებსა და ამოცანებს და სისტემის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ხარვეზებს. ასევე, იგი ზრუნავს მის გაუმჯობესებასა და ელექტორნული სისტემის გამართულ დანერგვაზე. სამუშაო ჯგუფმა პროგრამულად ხარვეზები გამოასწორა; კერძოდ, გაუმჯობესდა სასამართლო სხდომების აუდიო-ვიდეო ჩაწერის ტექნიკური მხარდაჭერა.

ამოცანა 2.1.5. საკანონმდებლო ცვლილებები სამოქალაქო და სისხლის სამართლის პროცესის ეკონომიურობის და ეფექტურობის უზრუნველყოფისათვის

ღონისძიება 2.1.5.4 არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის იმპლემენტაცია სასამართლო პრაქტიკაში

კოდექსისიმპლემენტაციაპრაქტიკაშიმულტიდისციპლინურიშეხვედრებითადასასამართლოგადაწყვეტილებებისმონიტორინგითმიმდინარეობს. 2016 წელსგაეროს ბავშვთა ფონდისა (UNICEF) და ევროკავშირის მხარდაჭერით შეიქმნა მულტიდისციპლინური მექანიზმი, რომლის მუშაობაშიც როგორც ცენტრალურ, ასევე რეგიონულ დონეზე არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებასთან შემხებლობაში მყოფი სხვადასხვა უწყების წარმომადგენლები და ექსპერტები მონაწილეობენ. მულტიდისციპლინური ჯგუფის ფარგლებში განიხილება კოდექსის აღსრულების პროცესში წარმოქმნილი ხარვეზები და პრობლემები.

2017 წლის 19 ოქტომბერს გაიმართა უზენაესი სასამართლოს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს სხდომა თემაზე: ,,სასჯელის დასაბუთების პრაქტიკა არასრულწლოვანთა საქმეებზე.“ შეხვედრის ფარგლებში გაიმართა პროფესიული დისკუსია სასჯელის დანიშვნისას ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადებისა და სასჯელის დასაბუთების არსებულ პრაქტიკასთან დაკავშირებით. მოწვეულმა ექსპერტებმა (რენატე ვინტერი, რანდელ ბაროუზი) ისაუბრეს ამ მიმართულებით არსებულ ევროპულ სტანდარტებსა და საუკეთესო პრაქტიკაზე.

გაეროსა და ევროკავშირის ერთობლივი პროგრამის ფარგლებში „ხელმისაწვდომი მართლმსაჯულება და ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების სისტემის განვითარება საქართველოში“, მომზადდა კვლევა თემაზე: „ბავშვზე მორგებული გარემო მართლმსაჯულების სისტემაში: კონცეფცია.“[7]დოკუმენტი განიხილავს ბავშვზე მორგებული გარემოს კონცეფციის სახელმძღვანელო პრინციპებსა და რეკომენდაციებს მართლმსაჯულების ყველა უწყებაში, მათ შორის სასამართლოში.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შემდგომი განვითარებისთვის 2018 წელს იგეგმება კოდექსის კომენტარების მომზადება, რომელიც ხელს შეუწყობს ერთგვაროვანი ხედვისა და პრაქტიკის დამკვიდრებას სისხლის სამართლის სისტემასთან შეხებაში მყოფ არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების შესაბამისად და რომელიც იქნება პრაქტიკული სახელმძღვანელო დოკუმენტი კოდექსის სათანადო აღსრულებისთვის.

ღონისძიება 2.1.5.5 დისკრიმინაციის თაობაზე საქართველოს კანონის იმპლემენტაცია სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში

2017 წლის 11-12 თებერვალს ჩატარდა ტრენინგი მოსამართლეთა თანაშემწეებისა და საერთაშორისო და ადგილობრივი პრაქტიკის განზოგადების განყოფილების თანამშრომელთა მონაწილეობით თემაზე „ევროპული ანტიდისკრიმინაციული სამართლებრივი ჩარჩო.“ევროპის საბჭოს მიერ მოწვეულმა ექსპერტმა, ივანა როანამ და სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენელმა ქეთევან შუბაშვილმა ისაუბრეს დისკრიმინაციის აკძალვის ძირითად საფუძვლებზე და განიხილეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა.

[7]„ბავშვზემორგებულიგარემომართლმსაჯულებისსისტემაში: კონცეფცია; დეკემბერი, 2016, საქართველო.

2017 წლის 25-26 მაისს უზენაეს სასამართლოში, უზენაესი სასამართლოს თანაშემწეებისა და ანალიტიკური განყოფილების თანამშრომელთათვის ჩატარდა ტრენინგი თემაზე „დისკრიმინაციის აკრძალვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლის და მე-12 დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის და საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის თანახმად.

უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების კვლევისა და ანალიზის ცენტრმა მოამზადა კვლევა -„დისკრიმინაციის აკრძალვის საერთაშორისო სტანდარტების ასახვა ეროვნულ სასამართლო პრაქტიკაში.''აღნიშნული კვლევა პირველად აანალიზებს სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე ეროვნულ სასამართლო პრაქტიკაში საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საქმეთა გამოყენების პრაქტიკას. კვლევის ფარგლებში ცენტრმა შისწავლა საერთო სასამართლოების მიერ მიღებული 150 საქმე და კვლევისთვის შეარჩია და დეტალურად გააანალიზა83 გადაწყვეტილება/განჩინება. ასევე, ცენტრმა მოიძია და თარგმნადისკრიმინაციის აკრძალვის საკითხებზე საერთაშორისო ორგანიზაციების დასკვნები და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს რელევანტური პრეცედენტები, დამატებით გააანალიზა სასამართლოს 5 გადაწყვეტილება და სახალხო დამცველის მიერ წარდგენილი სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრებები.

ღონისძიება 2.1.5.7 ბიზნეს დავების მოგვარების მიზნით მექანიზმების გაძლიერება სამოქალაქო პროცესში, როგორიცაა სასამართლო მედიაციის, არბიტრაჟის ინსტიტუტის ხელშეწყობის და ბიზნეს მედიაციის შექმნის თაობაზე

თბილისის საქალაქო სასამართლოში მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, საბანკო დაწესებულებებისა და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების მიერ დადებული სესხის ხელშეკრულებიდან ნაწარმოები დავები ცალკე ქვეკატეგორიებად გამოიყო ვალდებულებითი სამართლის კატეგორიის დავებში. შესაბამისად, განისაზღვრა მოსამართლეთა ოპტიმალური რაოდენობა, რომელთაც ამ კატეგორიის დავების განხილვა დაევალათ.

მიზანი 2.2. მართლმსაჯულების მიუკერძოებლობის და პროფესიონალიზმის გაზრდა

ამოცანა 2.2.1. იუსტიციის უმაღლესი სკოლის რეფორმა და მოსამართლეთა კვალიფიკაციის ამაღლება; საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავება სკოლის შემდგომი რეფორმიების მიზნით

იუსტიციის უმაღლესი სკოლის ინსტიტუციური გაძლიერების მიზნით, 2017 წლის სექტემბრიდან ამოქმედდა ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი საჯარო სამსახურების დაძმობილების პროგრამის (TWINNING) პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს სკოლის შესაძლებლობების შემდგომ განვითარებას ინსტიტუციური მოწყობისა და სასწავლო პროგრამების ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოების გზით.

2017 წელს მნიშვნელოვნად გაძლიერდა სკოლის ტრენერთა რესურსი. კერძოდ, ევროპის საბჭოს მხარდაჭერით, იუსტიციის უმაღლეს სკოლაში ჩატარდა ადამიანის უფლებების

სფეროში შექმნილი ელექტრონული სასწავლო პლატფორმის - **HELP** (ევროპული პროგრამა ადამიანის უფლებებშიიურისტების განათლებისათვის) ტრენერთა ტრენინგი, რომელიც მიზნად ისახავდა მათი ცოდნის ამაღლებას პროგრამის მეთოდოლოგიასა და დისტანციური სწავლების განხორციელებაში.

იუსტიციის უმაღლესმა სკოლამ გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით, სკოლის ტრენერებისთვის (მასწავლებელთა საბჭოსთვის) ორგანიზება გაუწია თეორიულ და პრაქტიკულ ტრენინგს, ზრდასრულთა სწავლების მეთოდოლოგიისა და მისი თანამედროვე მიდგომების შესახებ.

ღონისძიება 2.2.1.1 მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდისთვის სამართლებრივი ტესტებისა და კაზუსების მომზადების ჯგუფის გადამზადება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად

მოსამართლეთა და სასამართლოს სხვა მოხელეთა გადამზადების 2017 წლის პროგრამის ფარგლებში, ადამიანის უფლებების მიმართულებით ჩატარდა 20 ტრენინგი, რომელშიც მონაწილეობდა 121 მოსამართლე და 223 სასამართლოს მოხელე. დამატებით, სასამართლოს მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და სასამართლოს ინსტიტუციური გაძლიერების მიზნით, ჩატარდა ტრენინგები ისეთ თემებზე, როგორებიცაა: სასამართლოს მართვა, როლები და ურთიერთობები, ორგანიზაციული სტრუქტურა, ადამიანური რესურსების მართვა, დროის მენეჯმენტი და სხვა. ამასთანავე, მოხელეები გადამზადდნენ ეფექტური კომუნიკაციის სტანდარტებში, მათ შორის კომუნიკაციის პროცესის ნეგატიური და პოზიტიური გამოცდილება, ნეგატიური ინფორმაციის პოზიტიურად გადაცემის ტექნიკები, შეკითხვის დასმის ტექნიკა და სხვა.[8]

ღონისძიება 2.2.1.2 მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდების მეთოდების დახვეწა; იუსტიციის უმაღლესი სკოლის და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ფუნქციების გამიჯვნა მსმენელთა მომზადების პროცესში

იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან შეთანხმებით და დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით, (USAID, PROLoG) შემუშავდა საერთაშორისო ექსპერტის რეკომენდაციები მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდის საკითხებზე მარეგულირებელი ნორმების გაუმჯობესების თაობაზე.

მოსამართლეთა და სასამართლო მოხელეთა საწყისი მომზადებისა და განგრძობადი განათლების ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით, პროექტის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ PROLoG ფარგლებში შემუშავდა რამოდენიმე კვლევა, რომელიც ეხება როგორც მარეგულირებელი ნორმების გაუმჯობესებას, ასევე ტესტების ავტორების და გამსწორებლების კვალიფიკაციისა და უნარის ამაღლებას.

[8]თემაზე - ლიდერობა და მენეჯმენტი - სასამართლოში ჩატარდა 2 ტრენინგი, რომელსაც დაესწრო 15 მოხელე და 12 მოსამართლე; თემაზე - ეფექტიანი კომუნიკაცია იუსტიციის უმაღლესი სკოლის მოსამართლეთა და სასამართლოს სხვა მოხელეთა გადამზადების 2017 წლის პროგრამის ფარგლებში ჩატარდა 2 ტრენინგი სასამართლოს მოხელეებისთვის, რომელსაც დაესწრო 29 მოხელე.

ზემოაღნიშნული პროექტი გამოთქვამს მზადყოფნას საბჭოს მიერ საექსპერტო კომისიის წევრების შერჩევის შემდეგ დააფინანსოს მათი დატრენინგება. „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრთან“ (NAEC) წინასწარი მოლაპარაკებების შედეგად არსებობს საპროექტო წინადადება, რომელიც მოიცავს ტრენინგს ტესტის მეთოდოლოგიასა და ტესტის შექმნაში. სწავლება მოიცავს სალექციო და აქტიური დასწავლის მეთოდებს. NAEC-ის წინადადებით ტრენინგის მონაწილეები გადიან ტესტური დავალების შექმნის ყველა ეტაპს. ისინი წერენ ტესტურ დავალებებს, ხდება მათ მიერ მომზადებული დავალებების განხილვა და ექსპერტული შეფასება (შინაარსობრივი და მეთოდოლოგიური ექსპერტიზა). მონაწილეები ტრენერებთან ერთად აფასებენ ტესტური დავალების სირთულესა და დისკრიმინაციას, სწავლობენ ტესტის ფსიქომეტრული მახასიათებლების „წაკითხვას“, გამოყენებასა და ინტერპრეტირებას.

ამოცანა 2.2.2. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეფორმა ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფისათვის

ღონისძიება 2.2.2.1 იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის მარეგულირებელი ნორმატიული ბაზის განსაზღვრა, მათ შორის, საბჭოს გადაწყვეტილებების დასაბუთების, მათი გასაჩივრების, ინტერესთა კონფლიქტის წესების შემუშავება; ისევე, როგორც ღიაობის და გამჭვირვალობის მარეგულირებელი წესების შემუშავება, მათ შორის, სხდომათა დასწრების უზრუნველყოფის გაზრდა

საქართველოს პარლამენტმა საკონსტიტუციო რეფორმის ფარგლებში განსაზღვრა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის სტატუსი და დაადგინა მისი საქმიანობის მარეგულირებელი ნორმების ორგანული კანონის რანგში მოწესრიგება. რეფორმის მომდევნო ეტაპის ფარგლებში, საქართველოს პარლამენტის, იუსტიციის სამინისტროს და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების მონაწილეობით მიმდინარეობს სამუშაო შეხვედრები, რომლის ფარგლებში დაგეგმილია საბჭოს საქმიანობის მარეგულირებელი საკანონმდებლო წინადადებების მომზადება.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფისათვის, წინგადადგმული ნაბიჯია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომების ღიაობა. მედიის წარმომადგენლები მონიტორის საშუალებით, ადევნებენ თვალს ყოველკვირეულად გამართულ სხდომებს და საბჭოს საქმიანობის შესახებ საზოგადოებას აწვდიან ინფორმაციას. დამატებით, საზოგადოებისთვის სრულად ინფორმირებისათვის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის თაობაზე, სხდომების აუდიოჩანაწერი ვებ-გვერდზე ქვეყნდება.

2017 წლის 15 მარტს ამოქმედდა რეფორმის მესამე ტალღის ფარგლებში შემუშავებული მოსამართლეთა თანამდებობაზე განწესების ახალი პროცედურები. კონკურსის პროცესში კანდიდატების თაობაზე არსებული ინფორმაცია საბჭოს ვებგვერდზე განთავსდა. დაინტერესებულ დონორ და არასამთავრობო ორგანიზაციებს შესაძლებლობა ჰქონდათ, თვალი ედევნებინათ პროცესისთვის და სრული ინფორმაცია მიეღოთ წლის განმავლობაში ჩატარებული კონკურსების თაობაზე. ამასთან, სტრატეგიით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების მიზნით, გასული წლის განმავლობაში დონორი

ორგანიზაციების მოწვევით საერთაშორისო ექსპერტებმა წარმოადინეს თავიანთი ხედვები და რეკომენდაციები მოსამართლეთა შერჩევის კანონით გათვალისწინებული პროცედურების პრაქტიკაში დანერგვის თაობაზე. მოწვეული იყვნენ ევროპის საბჭოს ექსპერტი და ევროპელ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე გერჰარდ რაისნერი და პროექტის – „კანონის უზენაეობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) ექსპერტი, ამერიკელი მოსამართლე ტიმ ბალანდი.

ღონისძიება 2.2.2.3 ნორმატიულ აქტებში ცვლილებების ინიცირება სასამართლო გადაწყვეტილებების გამოქვეყნებისას პერსონალური მონაცემების დამუშავების თაობაზე

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის №1/250 გადაწყვეტილებით, დამტკიცდა სასამართლო გადაწყვეტილებების გამოქვეყნების ერთიანი წესი, რომელიც 2017 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა. რეგულირება ითვალისწინებს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, პირთა პირადი მონაცემების დაცვით სასამართლო გადაწყვეტილებების გამოქვეყნებას გადაწყვეტილებების ერთიანი ბაზის info.court.ge-ს საშუალებით.

ღონისძიება 2.2.2.4 სასამართლო გადაწყვეტილებების დასაბუთებულობის მეთოდოლოგიის, კრიტერიუმებისა და სტანდარტების შემუშავება

2017 წლის 18-19 მარტს უზენაეს სასამართლოში ჩატარდა ტრენინგი თემაზე „სასამართლო გადაწყვეტილებების დასაბუთების სტანდარტები ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მიხედვით.“ ევროსაბჭოს მოწვეულმა ექსპერტმა რალფ ალეველდიტმა ტრენინგის მონაწილეებს გააცნო სამართლიანი სასამართლო განხილვის პრინციპები და სასამართლო გადაწყვეტილებების დასაბუთების სტანდარტები სისხლის სამართლის საქმეებზე.

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის ფონდთან (GIZ) ფარგლებში, საერთო სასამართლოს მოსამართლეთა მონაწილეობით შექმნილია სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებების დასაბუთების მეთოდოლოგიის, სტანდარტების და კრიტერიუმების თაობაზე სამუშაო ჯგუფი. ჯგუფის ფარგლებში, დრეზდენის და ჰამბურგის სასამართლოს მოსამართლეები საკონსულტაციო წინადადებებს წარუდგენენ მოსამართლეებს და განიხილავენ დასაბუთების მეთოდოლოგიის თაობაზე გერმანულ და ქართულ გამოცდილებას. რეკომენდაციები მომზადების პროცესშია.

მიზანი 2.3. საერთო სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მის საფუძველზე შექმნილი პრეცედენტული სამართლის გამოყენების ხელშეწყობა
ამოცანა 2.3.1. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკისა და გადაწყვეტილებების იმპლემენტაცია შიდა პრაქტიკაში

ღონისძიება 2.3.1.1 უზენაესი სასამართლოს ადამიანის უფლებათა ცენტრის კომპეტენციის გაძლიერება

ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების ხელშეწყობის, ადამიანის უფლებათა მაღალი სტანდარტებისა და კვლევაზე დაფუძნებული მიდგომების გაუმჯობესებისა და დანერგვისათვის, 2017 წელს თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებში, უზენესი სასამართლოს მსგავსად, შეიქმნა საერთაშორისო და

- 2017 წლის 7–8 დეკემბერს, ლოპოტას ტბის სასტუმრო კომპლექსში, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ოფისის ორგანიზებით, გაიმართა ვორქშოფი თემაზე „ეროვნული უსაფრთხოება და სამართლიანი და ეფექტური თავშესაფრის პროცედურების ხელმისაწვდომობა“, რომელსაც დაესწრო თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს უფროსი და სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის მიმართულების 8 ადვოკატი.
- მიმდინარე წლის განმავლობაში, UNDP-ის პროექტის ფარგლებში, იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატებისთვის ჩატარდა 32 (ოცდათორმეტი) ტრენინგი.
- ევროკავშირის მხარდაჭერით, სიფამ ჩაატარა 29 ტრენინგი 2016 წლის 5 აგვისტოდან 2017 წლის 31 მარტის პერიოდში. სამსახურის, მათ შორის რეესტრის, ადვოკატები დაესწრნენ ტრენინგებს, რომლებიც მიეძღვნა შემდეგ თემებს: მემკვიდრეობითი სამართალი, საოჯახო სამართალი, საგადასახადო სამართალი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, ვალდებულებითი სამართალი, სამეწარმეო სამართალი.
- 2016 წლის ივლისიდან, დაიწყო ორწლიანი სასწავლო პროგრამა, რომელიც განკუთვნილი იყო უფასო იურიდიული დახმარების მიწოდებაში ჩართული ადვოკატებისთვის. სასწავლო პროგრამა მოიცავდა 40–მდე სხვადასხვა თემაზე დაგეგმილ 150–ზე მეტ ტრენინგს, რომელიც, 2016–2017 წლებში, ევროკავშირისა და გაეროს ერთობლივი პროგრამის – „ხელმისაწვდომი მართლმსაჯულება და ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების სისტემის განვითარება საქართველოში“ – მხარდაჭერით განხორციელდა. სწავლების თემატიკა განისაზღვრა გამოკითხვით, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს იურიდიული დახმარების ბიუროებში მომუშავე და მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში რეგისტრირებულმა ადვოკატებმა. 2017 წელს, ამ პროგრამის ფარგლებში, იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატებისთვის ჩატარდა 32 (ოცდათორმეტი) ტრენინგი.
- განგრძობადი იურიდიული განათლების ფარგლებში, იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატებმა მონაწილეობა მიიღეს ადვოკატთა ასოციაციის მიერ ორგანიზებულ 32 ტრენინგში. მათ შორის, დისტანციური სასწავლო პლატფორმის მეშვეობით). ტრენინგებს შორის, აღსანიშნავია შემდეგი თემები:
    - ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის სამართლებრივი რეგულაციები (დაესწრო იურიდიულიდახმარების მსასახურის 60 - მდე ადვოკატი);
    - ადვოკატთა პროფესიული ეთიკა (დაესწრო 181–ზე მეტი საზოგადოებრივი ადვოკატი).

მიზანი 5.4. მაღალი საზოგადოებრივი ცნობადობა იურიდიული დახმარების სისტემის შესახებ

2017 წელს იურიდიული დახმარების ბიუროებმა განაგრძეს გასვლითი კონსულტაციებისა და საინფორმაციო შეხვედრების განხორციელება. სულ განხორციელდა 170-ზე მეტი სხვადასხვა აქტივობა, მათ შორის: 25 სემინარი საქართველოს სხვადასხვა საჯარო სკოლასა და უმაღლესი განათლების დაწესებულებაში; 21 ვიზიტი დევნილთა კომპაქტურ

დასახლებაში; თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლებთან გაიმართა 28 შეხვედრა, სოციალური მომსახურების სააგენტოს რეგიონულ განყოფილებებში – 5 შეხვედრა. 63 შეხვედრა გაიმართა ოჯახში ძალადობის საკითხებზე (მათ შორის ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ მუნიციპალიტეტებში), ხოლო 11 შეხვედრა ქალთა უფლებების დაცვის თემაზე. დამატებით, სამსახურის იურისტებმა 28 რადიო და სატელევიზიო გადაცემაში მიიღეს მონაწილეობა და გამართეს პრესკონფერენციები.

ევროკავშირისადაგაეროს ერთობლივი პროგრამის მხარდაჭერით, 2017 წელს დაიწყო მუშაობა იურიდიული დახმარების სამსახურის ვებგვერდის განახლებასა და გაუმჯობესებაზე, რომელიც ხელმისაწვდომი გახდა მიმდინარე წლის ბოლოს. იგი ადაპტირებულია მხედველობის არმქონე და ნაკლებად მხედველი პირებისათვის და შეიცავს სამსახურთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან ინფორმაციას, სამართლებრივ დოკუმენტებს, ანგარიშებს, სტატისტიკას და ა.შ.

2017 წლის 7 მაისს, ევროპის დღესთან დაკავშირებულ საზეიმო ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო იურიდიული დახმარების სამსახურმაც და წარმოდგენილი იყო თავისი საინფორმაციო კუთხით. იურიდიული დახმარების სამსახურის იურისტებმა დაინტერესებულ მოქალაქეებს გააცნეს სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილი უფასო საადვოკატო მომსახურებით სარგებლობის პირობები და დაარიგეს სხვადასხვა სამართლებრივ საკითხზე შედგენილი ბროშურები.

2017 წლის 28–29 სექტემბერს, თბილისში, სასტუმროში „თბილისი მარიოტი", ჩატარდა რეგიონული კონფერენცია სახელწოდებით „დამოუკიდებელი იურიდიული დახმარების გამოწვევები და მნიშვნელობა“. კონფერენციის განმავლობაში, იურიდიული დახმარების სფეროს წამყვანმა ექსპერტებმა და მონაწილე ქვეყნების დელეგატებმა ლიტვიდან, უკრაინიდან, მოლდოვადან და საქართველოდან განიხილეს უფასო იურიდიულ დახმარებასთან დაკავშირებული აქტუალური საკითხები, მათ შორის: იურიდიული დახმარების ეფექტიანი ადმინისტრირება, იურიდიული დახმარების ხარისხის მონიტორინგი და შეფასება, თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება, საპროცესო შეთანხმებისას იურიდიული დახმარების საკითხები და ა.შ.

2017 წლის 1–8 დეკემბრის პერიოდში, იურიდიული დახმარების სამსახურის ცნობადობის ამაღლების მიზნით, საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობისა და საქართველოს პარლამენტის მხარდაჭერით, განხორციელდა აქტიური მედიაკამპანია საქართველოს მასშტაბით. კამპანია მიეძღვნა იურიდიული დახმარების სამსახურის 10 წლის იუბილესა და სამსახურის მიერ წარმატებით განხორციელებულ 150 000–ე კონსულტაციას. მედიაკამპანიის ფარგლებში, იმერეთის–ქუთაისის იურიდიული დახმარების ბიუროს ეწვივნენ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, ევროკავშირის ელჩი საქართველოში და სხვა საპატიო სტუმრები, რომლებმაც ერთობლივი პრესკონფერენცია გამართეს. გარდა ამისა, იმერეთის–ზესტაფონის, შიდა ქართლის, კახეთის–თელავის, აჭარისა და სამეგრელოს–ზუგდიდის იურიდიული დახმარების ბიუროებში ადგილობრივი მედიასაშუალებების წარმომადგენლებისათვის გაიმართა პრესკონფერენციები, რომლებზეც ბიუროების ხელმძღვანელებმა შეაჯამეს მათი ოფისების

ათწლიანი მუშაობა და წარმოადგინეს სტატისტიკური მონაცემები. 8 დეკემბერს, ქვემო ქართლისა და სამცხე–ჯავახეთის იურიდიული დახმარების ბიუროების წარმომადგენლებმა საინფორმაციო გასვლითი ღონისძიებები ჩაატარეს ადგილობრივ ეთნიკურ უმცირესობებთან. ღონისძიებებზე მოსახლეობას დაურიგდა სომხურ და აზერბაიჯანულ ენაზე დაბეჭდილი საინფორმაციო ბუკლეტები იურიდიული დახმარების სამსახურის სერვისების შესახებ.

გარდა ამისა, იურიდიული დახმარების სამსახურის ყველა ბიურო და საკონსულტაციო ცენტრი აქტიურად იყო ჩართული „ქალთა მიმართ და ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ“ მიმდინარე 16–დღიან გლობალურ კამპანიაში, რომელიც 25 ნოემბრიდან მთელი ცივილიზებული მსოფლიოს მიერ აღინიშნებოდა. კამპანიის ფარგლებში, მოსახლეობის სხვადასხვა სოციალურ ჯგუფთან – სტუდენტებთან, უფროსკლასელებთან, ეთნიკური უმცირესობების, ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლებთან და ა.შ. 30–მდე შეხვედრა გაიმართა. ადვოკატებმა საზოგადოებას მიაწოდეს ინფორმაცია იმ უფასო სერვისების შესახებ, რომელსაც იურიდიული დახმარების სამსახური სთავაზობს ქალთა მიმართ ან ოჯახში ძალადობის მსხვერპლებს. სამსახურში ასევე მოქმედებს ცხელი ხაზი.

6. პენიტენციური სისტემის რეფორმა

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს პენიტენციური სისტემის განგრძობადი რეფორმირება და მისი ტრანსფორმაცია თანამედროვე მოქნილ ინსტიტუციად, რომელიც უზრუნველყოფს თავისუფლებააღკვეთილ პირთა უფლებების დაცვას ადამიანის უფლებების სფეროში არსებული ნორმების შესაბამისად.

სასჯელაღსრულების სისტემაში საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოების მიზნით მუდმივად მიმდინარეობს საჭიროებებზე დაფუძნებით საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება. სწორედ ამ ცვლილებების შედეგად, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებები შემდეგ ოთხი ტიპის დაწესებულებად დაიყო: დაბალი რისკის, ნახევრად ღია ტიპის, დახურული ტიპის და განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება.

ამავდროულად, რესოციალიზაციის მიზნით, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემაში შემუშავდა და განხორციელდა მრავალფეროვანი სარეაბილიტაციო პროგრამები. მათ შორის, პატიმართათვის პროფესიული განათლებისა და დასაქმების პროგრამები. შეიქმნა სპეციალური ონლაინ მაღაზია მსჯავრდებულების მიერ პენიტენციურ დაწესებულებებში წარმოებული ნამუშევრების რეალიზაციისათვის. გაყიდული პროდუქციის შედეგად მიღებული თანხები პირდაპირ პატიმართა ანგარიშზე ირიცხება.

ზემოაღნიშნულის პარალელურად, დაწესებულებების რეჟიმის უზრუნველსაყოფად, განხორციელდა პატიმართა კლასიფიკაცია რისკების მიხედვით. მსჯავრდებულთა კლასიფიკაციისას მხედველობაში მიიღება მათი პიროვნული თვისებები, ქცევა სასჯელის აღსრულების პერიოდში, დაწესებულებაში ყოფნის განმავლობაში სარეაბილიტაციო/რესოციალიზაციისა და საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართულობა, ასევე, მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათი და სხვა პერსონალური მახასიათებლები. მეთოდოლოგია ასევე მოიცავს მულტიდისციპლინური გუნდის მიერ სასჯელის ინდივიდუალური გეგმის შემუშავებას.

პენიტენციური ჯანდაცვის მიმართულებით წარმატებით მოქმედებს სუიციდის პრევენციის პროგრამა, რომელშიც ჩართულნი არიან სუიციდის მომეტებული რისკის მქონე პატიმრები. ფსიქოლოგთან და ფსიქიატრთან გასაუბრების შედეგად პატიმრებს სუიციდის რისკი განესაზღვრებათ. წარმატებით ხორციელდება C ჰეპატიტის მკურნალობისა და ტუბერკულოზის პროგრამა. ამავდროულად, მიღებულ იქნა დაზიანებათა აღრიცხვის წესი „სტამბოლის პროტოკოლის“ გათვალისწინებით, რომლის

საფუძველზეც პატიმართა სხეულზე დაზიანებათა ფოტოგრაფირება მოხდება, რათა საჭიროების შემთხვევაში გამოძიებას სრულყოფილი მასალა ჰქონდეს.

რეფორმის ფარგლებში განხორციელებული ცვლილების საფუძველზე, საქართველოს სახალხო დამცველსა და მის წარმომადგენელს მიეცათ უფლება პენიტენციურ დაწესებულებაში ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა თანხმობით განახორციელონ მათი ან/და მათი უშუალო განთავსების პირობებისა და ადგილების ფოტოგადაღება.

რაც შეეხება არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის სფეროს, 2016 წელს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის საფუძველზე, შინაპატიმრობის სისტემა ამოქმედდა. ასევე, პრობაციის ეროვნული სააგენტოს მონიტორინგის ცენტრი სპეციალური აპარატურით აღიჭურვა.

2017 წელს, საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ შემუშავებული საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, რომელიც ითვალისწინებს ცვლილებებს პატიმრობის კოდექსსა და სხვა თანამდევ კანონებში. განხორციელებულ ცვლილებათა ნაწილი უკვე ამოქმედდა, ხოლო ის ცვლილებები, რომელთა რეალიზებაც საჭიროებს გარკვეულ მოსამზადებელ სამუშაოებს, ამოქმედდება 2018 წლის 1 იანვრიდან.

2017 წელს დამტკიცებული საკანონმდებლო ცვლილებებიდან, სიახლე შეეხება მსჯავრდებულებისთვის უმაღლესი განათლების მიღების ხელმისაწვდომობას. დაბალი რისკის მსჯავრდებულებს, სურვილის შემთხვევაში, უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობა დისტანციურად ექნებათ. ასევე, თავისუფლების შეზღუდვის ნაცვლად, სრულწლოვანი მსჯავრდებულებისთვის არასაპატიმრო სასჯელის ახალი სახე - შინაპატიმრობა დაინერგება. სერვერი, სამაჯურები და შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობა უკვე არსებობს სისტემაში. მიმდინარეობს მუშაობა ისეთი ტიპის სასჯელების დანერგვაზე, რომელიც, ერთი მხრივ, არ იქნება დაკავშირებული პატიმრობასთან, მაგრამ, მეორე მხრივ, სამართალდამცავ სისტემას მისცემს საშუალებას, კრიმინოგენული ვითარება გააკონტროლოს ქვეყანაში.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო საქართველოს მთავრობასთან ერთად აღკვეთის ღონისძიების ახალ ფორმაზე მუშაობს - ეს არის შინაპატიმრობა და საპრობაციო აღკვეთის ღონისძიება. აგრეთვე, იცვლება პირობით ვადამდე გათავისუფლების ინიცირების წესიც, იხვეწება ადგილობრივი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების მექანიზმი. ასევე, იმისათვის რომ აუცილებლად იყოს დაცული სარეჟიმო პირობები, წესრიგდება პენიტენციური დაწესებულების გარე აკრძალულ ზოლთან დაკავშირებული საკითხები.

წარმატებით მიმდინარეობს მუშაობა თანმიმდევრული და თანამედროვე საკადრო პოლიტიკის ჩამოყალიბებაზე, რაც უზრუნველყოფს კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებისათვის საჭირო გამართული სამართლებრივი მექანიზმების შემუშავებას, თანამშრომელთა ფუნქციების კლასიფიკაციასა და მათთვის სათანადო სამართლებრივი და სოციალური გარანტიების შექმნას.

სისტემის ყველა ახალი თანამშრომელი, საჭიროების მიხედვით, გადის როგორც საბაზისო, ასევე მისი პოზიციის შესაბამის სპეციალიზებულ თეორიულ და პრაქტიკულ სასწავლო კურსებს (მათ შორის ადმინისტრირების, მენეჯმენტის, რისკებისა და საჭიროებების შეფასების,ადამიანის უფლებების და სხვა დარგებში) სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში.

სპეციალური პენიტენციური სამსახურის შესახებ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრმა განახორციელა პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების სისტემის ორგანოს იმ მოსამსახურეების სერტიფიცირება, რომლებიც სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ლიკვიდაციის შემდეგ მუშაობას ამავე სისტემაში განაგრძობენ და თანამდებობებისათვის სერტიფიკატი მოეთხოვებათ.

მიზანი 6.1. პენიტენციურ სისტემაში მოქმედი კანონმდებლობისა და შიდა რეგულაციების სისტემატიური გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების შეტანა

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ მომზადდა და 2017 წლის პირველ ივნისს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ შემუშავებული საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, რომელიც ითვალისწინებს პატიმრობის კოდექსსა და მის თანმდევ კანონებში ცვლილებებს (სულ 19 კანონის პროექტი).

განხორციელებული ცვლილებები მიზნად ისახავს ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას, სასჯელის აღსრულების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებას, ევროპის წამების საწინააღმდეგო კომიტეტისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების შესრულებას, ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რეაბილიტაციის პროცესის ხელშეწყობასა და მათ საზოგადოებაში ინტეგრაციას.
შემუშავებული ცვლილებების ფარგლებში, პენიტენციურ სისტემაში შეიქმნა ახალი, გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება, რომელიც გათავისუფლებისთვის მოამზადებს დაბალი ან/და საშუალო რისკის იმ მსჯავრდებულებს, რომელთა თავისუფლების აღკვეთის მოსახდელი ვადა არ აღემატება 1 წელს. გათავისუფლებისთვის მომზადების დაწესებულებაში მოთავსების წესი განისაზღვრება სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით.

განხორციელებული ცვლილებებით გაუქმდა თავისუფლების შეზღუდვა, როგორც სასჯელის დამოუკიდებელი სახე და, მის ნაცვლად, დაინერგა თანამედროვე და უფრო ქმედითი სასჯელის სახე - შინაპატიმრობა.

ამასთანავე, განსხვავებულად დარეგულირდა ტელევიზორით სარგებლობის საკითხი. კერძოდ, გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულს, ასევე, დაბალი რისკისა და ნახევრად ღია ტიპის

თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულებს მიენიჭათ უფლება, ყოველგვარი ნებართვის გარეშე, შეიძინონ პირადი ტელევიზორი და რადიომიმღები, თუ ამით არ ირღვევა შესაბამისი დაწესებულების დებულების მოთხოვნები და სხვა ბრალდებულ/მსჯავრდებულთა სიმშვიდე. რაც შეეხება დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში და განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებულ ბრალდებულს/მსჯავრდებულს ან ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ჯგუფს, მათ დაწესებულების დირექტორის თანხმობით შეიძლება მიეცეთ პირადი რადიომიმღების ან/და ტელევიზორის შეძენის უფლება, თუ მათი გამოყენებით არ ირღვევა ამ დაწესებულების დებულების მოთხოვნები და სხვა ბრალდებულთა/ მსჯავრდებულთა სიმშვიდე.

შეიცვალა ბრალდებულის/მსჯავრდებულის განთავსების შესახებ ინფორმაციის მიწოდების საკითხიც. კერძოდ, პენიტენციური დაწესებულება ბრალდებულის/მსჯავრდებულის მოთავსებიდან ერთი სამუშაო დღის ვადაში ვალდებულია, პირის მოთავსების თაობაზე ინფორმაცია მიაწოდოს გამომძიებელს, პროკურორსა და სასამართლოს, ხოლო პენიტენციური დაწესებულება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეატყობინებს ბრალდებულ/მსჯავრდებულის განთავსების შესახებ ინფორმაციას მის ახლო ნათესავს, თუ თავად ბრალდებული/მსჯავრდებული არ არის აღნიშნული ინფორმაციის მიწოდების წინააღმდეგი.

განსხვავებულად დარეგულირდა მსჯავრდებულის ავადმყოფობის გამო სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გათავისუფლების საკითხი. კანონით გათვალისწინებული კრიტერიუმების არსებობის შემთხვევაში, ამგვარი გადაწყვეტილების მიღების უფლება მიენიჭება სასამართლოს. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ერთობლივ მუდმივმოქმედ კომისიას მიენიჭა უფლებამოსილება, სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გაათავისუფლოს პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებული მხოლოდ მაშინ, როცა სახეზე იქნება დაავადება ან დაავადებათა ერთობლიობა და მკურნალობის შედეგად პაციენტის ძირითადი სასიცოცხლო მაჩვენებლების შენარჩუნება ვერ მოხერხდება. ამასთან, ექიმთა კონსილიუმის მიერ კონსენსუსის საფუძველზე განსაზღვრული ლეტალობის პროგნოზი უნდა იყოს მაღალი.

აღნიშნული ცვლილება ემსახურება ჰუმანურობის პრინციპს. ერთობლივი მუდმივმოქმედი კომისიის არსებობა უზრუნველყოფს სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გათავისუფლების სწრაფ და მოქნილ მექანიზმს, რომელიც შანსს მისცემს მსჯავრდებულს, ოჯახის წევრებთან და ახლო ნათესავებთან ერთად გაატაროს სიცოცხლის დარჩენილი პერიოდი. ამასთანავე, განსახილველ საკითხზე მსჯელობისას სასამართლოს ეკისრება ვალდებულება, გარდა მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობისა, სხვა, კანონით გათვალისწინებული გარემოებებიც მიიღოს მხედველობაში გადაწყვეტილების მიღებისას.

ამასთან, ხანდაზმულობის ასაკის გამო (ქალი – 65 წლიდან, მამაკაცი – 70 წლიდან თუ მას მოხდილი აქვს სასჯელის არანაკლებ ნახევარი) მსჯავრდებულის სასჯელის შემდგომი მოხდისგან გათავისუფლების უფლებამოსილება მიენიჭა მხოლოდ სასამართლოს.

წარდგენილი პროექტით იცვლება ადმინისტრაციული პატიმრობის რეგულირების საკითხი, ტერმინოლოგიურად იცვლება ადმინისტრაციული პატიმრობა ტერმინით - დისციპლინური პატიმრობა. ამასთან, მკვეთრად შემცირდა დისციპლინური პატიმრობის გამოყენების ვადები. კერძოდ, თუკი მსჯავრდებულმა დისციპლინური სახდელის მოქმედების ვადაში განმეორებით ჩაიდინა დისციპლინური დარღვევა, მას ადმინისტრაციული პატიმრობა შეეფარდება არაუმეტეს 60 დღე-ღამის ვადის ნაცვლად 30 დღე-ღამის ვადით. 90 დღიდან 60 დღემდე შემცირდა წლის განმავლობაში დისციპლინური პატიმრობის დადების საერთო ვადა. ასევე, შემცირდა ვადები განსაკუთრებული რისკის დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებულის მიმართ ადმინისტრაციული პატიმრობის გამოყენებასთან დაკავშირებით - განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებულ მსჯავრდებულს მის მიერ პატიმრობის კოდექსის მე-80 მუხლის „გ“, „დ“, „ლ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დარღვევის ჩადენის შემთხვევაში, არაუმეტეს 90 დღე-ღამის ვადით ადმინისტრაციული პატიმრობის ნაცვლად შეეფარდება 60 დღე-ღამემდე დისციპლინური პატიმრობა. 2017 წლის პირველ ივნისამდე მოქმედი რედაქციით, ზემოაღნიშნული საფუძვლით ადმინისტრაციული პატიმრობის გამოყენება შესაძლებელი იყო განუსაზღვრელი ვადით, განხორციელებული ცვლილებებით კი განისაზღვრა ზემოაღნიშნული საფუძვლით 1 წლის განმავლობაში შეფარდებული დისციპლინური პატიმრობის ვადები, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 150 დღე-ღამეს. ცვლილებების თანახმად, დისციპლინური პატიმრობა გარდა ორსული ქალისა, აგრეთვე, არ შეეფარდება ქალ მსჯავრდებულს, რომელსაც ქალთა სპეციალურ დაწესებულებაში ჰყავს 3 წლამდე ბავშვი. დისციპლინური პატიმრობა ასევე არ გამოიყენება 65 წელს გადაცილებული მსჯავრდებულის მიმართ.

2017 წელს მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა მსჯავრდებულთა პირობით ვადამდე გათავისუფლებასთან დაკავშირებით, რამაც ხელი შეუწყო არსებული მექანიზმის დახვეწასა და ეფექტიანობას.

გაუმჯობესდა მსჯავრდებულთა საშიშროების რისკის შეფასების/გადაფასების პროცედურა. კერძოდ, მსჯავრდებული, რომელიც პენიტენციურ დაწესებულებაში მკვეთრად უარყოფითად შეიცვლის ქცევას, დამოკიდებულებას ან/და თუ მისი იმავე პენიტენციურ დაწესებულებაში დატოვება გაუმართლებელია, დეპარტამენტის დირექტორი უფლებამოსილი გახდა დროებით, მაგრამ არაუმეტეს 20 სამუშაო დღისა, აღნიშნული მსჯავრდებული გადაიყვანოს დახურული ტიპის პენიტენციურ დაწესებულებაში, რისკების გადაფასების მიზნით. ამ ვადაში გუნდი უზრუნველყოფს მსჯავრდებულის რისკების გადაფასებას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აღსანიშნავია ქალ მსჯავრდებულებთან დაკავშირებით განხორციელებული ცვლილებები. იმ ქალ მსჯავრდებულს, რომელსაც დაწესებულებაში ჰყავდა 3 წლამდე ბავშვი და 3 წლის ასაკის მიღწევის გამო ბავშვმა დატოვა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება, მიენიჭა უფლება, პენიტენციური დეპარტამენტის დირექტორის გადაწყვეტილებით, ბავშვის მიერ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დატოვებიდან ერთი წლის განმავლობაში, უქმე (შაბათ-კვირა) და დასვენების დღეებში დატოვოს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება.

საკანონმდებლო ცვლილების საფუძველზე, 2017 წლიდან გაფართოვდა იმ პირთა წრე, რომელთანაც შეუზღუდავად უნდა განხორციელდეს კორესპონდენცია. პენიტენციურ დაწესებულებას ასევე აეკრძალა ისეთი კორესპონდენციის მიღება-გაგზავნის უფლების შეზღუდვა, შეჩერება ან/და შემოწმება, რომლის ადრესატი ან ადრესანტი არის სამინისტროს ადგილობრივი საბჭო. დაიხვეწა კონფიდენციალური საჩივრის გაგზავნის პროცედურები - პენიტენციური დაწესებულება უზრუნველყოფს საჩივრის კონფიდენციალურობის დაცვას. თუ კონფიდენციალურ საჩივარზე არ არის მითითებული ადრესატი ან მითითებული ადრესატი არაიდენტიფიცირებადია, პენიტენციური დაწესებულება საჩივრის კონვერტის ნომერს და გაგზავნაზე უარის თქმის მიზეზს გამოაკრავს საჩივრის ყუთთან, თვალსაჩინო ადგილას. ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს ორი კვირის ვადაში დაიბრუნოს კონფიდენციალური საჩივარი. პენიტენციური დაწესებულება ვალდებულია შეინახოს საჩივარი არაუგვიანეს ათი სამუშაო დღის განმავლობაში, ხოლო ამ ვადის ამოწურვისთანავე - გაანადგუროს იგი.

განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები ითვალისწინებს სხვა ტექნიკური ხასიათის არაერთ ცვლილებასაც. სამინისტრომ 2017 წელს განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებებთან შესაბამისობაში მოიყვანა ყველა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი; აგრეთვე, დაამტკიცა ახალი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, მათ შორის:

- „პენიტენციური დაწესებულების დროებით დატოვების, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის აღსრულების წესის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2017 წლის 31 აგვისტოს N101 ბრძანება;
- „ქალთა სპეციალურ დაწესებულებაში დედასთან ერთად მცხოვრები ბავშვის მიერ 3 წლის მიღწევის გამო დაწესებულების დატოვების წესისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2017 წლის 31 აგვისტოს ერთობლივი №105 – №01-57/ნ ბრძანება;
- „პენიტენციური დაწესებულების გარე აკრძალულ ზოლში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი რეჟიმის დარღვევისთვის საჯარიმო ქვითრის

გამოწერის უფლებამოსილების მქონე პირისა და საჯარიმო ქვითრის ფორმის, საჯარიმო ქვითრის ფორმის შევსებისა და წარდგენის წესის განსაზღვის შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2017 წლის 25 დეკემბრის №142 ბრძანება;

- „შინაპატიმრობის აღსრულების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2017 წლის 28 დეკემბრის №146 ბრძანება.

პენიტენციური სისტემის რეფორმის ფარგლებში განხორციელდა არაერთი საკანონმდებლო ცვლილება. მათ შორის, ბრალდებულ/მსჯავრდებულთა პენიტენციურ დაწესებულებაში ყოფნის პირობების გასაუმჯობესებლად და უფლებების დასაცავად განხორციელებულია მნიშვნელოვანი ცვლილებები და გამოცემულია ბრძანებები, კერძოდ:

- "საქართველოს სახალხო დამცველის, აგრეთვე სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრის მიერ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციურ დაწესებულებებში ფოტოგადაღების უფლების განხორციელების შესახებ" სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 1 სექტემბრის N123 ბრძანება;
- "საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციურ დაწესებულებებში შესაძლო წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შედეგად ბრალდებულ/მსჯავრდებულთა დაზიანების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ" სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 26 ოქტომბრის N131 ბრძანება.

წარმოდგენილი ცვლილებებით, 2018 წლის 1 იანვრიდან არასაპატიმრო სასჯელის ახალი სახე - შინაპატიმრობა - სრულწლოვანი მსჯავრდებულებისთვისაც დაინერგება, რომლის აღსრულების კონტროლი განხორციელდება ელექტრონული მონიტორინგის მეშვეობით. სასამართლოს გარდა, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივ საბჭოებსაც ექნებათ შესაძლებლობა მსჯავრდებულებს სასჯელის მოუხდელი ნაწილი შეუცვალონ შინაპატიმრობით.

მიზანი 6.2. პენიტენციური დეპარტამენტის და დაწესებულებების ადმინისტრირების გაუმჯობესება.

ღონისძიება 6.2.1. პენიტენციური დეპარტამენტის და დაწესებულებების ადმინისტრირების სრულყოფა

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურმა 2015 წელს შეიმუშავა და მინისტრის 2015 წლის 12 იანვრის N23 ბრძანებით დამტკიცდა სამინისტროს მოხელეთა სამუშაო აღწერილობები თითოეული თანამდებობისათვის. პენიტენციური დაწესებულებების თანამშრომლების სამუშაო აღწერილობების უმრავლესობა დამტკიცდა 2016 წლის 29 დეკემბრის თარიღით.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანებით, 2016 წლის ბოლოსათვის განხორციელდა სისტემის ყველა თანამდებობისა და პოზიციისათვის განახლებული თანამდებობრივი ინსტრუქციებისა და სამუშაო აღწერილობების დამტკიცება.

ღონისძიება 6.2.2. სპეციალიზებული ტრენინგები პენიტენციური სისტემის თანამშრომლებისათვის

საანგარიშო პერიოდში პენიტენციური სისტემის თანამშრომლებისთვის შემდეგი სპეციალიზებული ტრენინგები ჩატარდა:

- "შესაძლო წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შედეგად ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დაზიანების აღრიცხვა პენიტენციურ დაწესებულებებში" - 51 მონაწილე;
- მოტივაციური ინტერვიუ - 31 მონაწილე;
- ფარმაცევტული პროდუქტისა და სამედიცინო სახარჯი მასალის ბრუნვის წესები პენიტენციურ სისტემაში - 78 მონაწილე;
- სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეთა სპეციალური პროფესიული მომზადება - 134 მონაწილე;
- სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეთა გადამზადება - 5 მონაწილე;
- ,,სარეაბილიტაციო პროგრამების განვითარების მხარდაჭერა (ადვოკატირება) პენიტენციურ და პრობაციის სისტემებში“ - 9 მონაწილე;
- სასწავლო კურსი იმ მსჯავრდებულებთან მომუშავე მოსამსახურეებისათვის, რომლებმაც არასრულწლოვანების პერიოდში ჩაიდინეს დანაშაული - 66 მონაწილე;
- საფრთხის შემცველ და სტრესულ სიტუაციებთან გამკლავება და დისციპლუნური დასჯა - 21 მონაწილე;
- პირველადი მომზადების სასწავლოკურსი - 133 მონაწილე;
- სუიციდის პრევენცია - 82 მონაწილე;
- ფსიქიკური პრობლემების მქონე პატიმრების მართვის საკითხები - 94 მონაწილე;
- ფსიქოლოგიური შეფასების ფორმები პენიტენციურ სისტემაში - 26 მონაწილე;
- ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება - 38 მონაწილე;
- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, ფსიქოლოგია, არასრულწლოვანთან ურთიერთობის მეთოდიკა - 18 მონაწილე;
- პენიტენციური დაწესებულების ეფექტიანი მართვა (სამი ეტაპი) - 45 მონაწილე;
- შემთხვევის მართვა პენიტენციურ დაწესებულებაში - 24 მონაწილე;
- შედეგების ანალიზის პედაგოგიკა - 10 მონაწილე;
- პენიტენციური სისტემის ბრალდებულ/მსჯავრდებულ არასრულწლოვნებთან მომუშავე თანამშრომელთა (სოციალური მუშაკი, ფსიქოლოგი) გადამზადება - 24 მონაწილე;
- საარჩევნო პროცესების ორგანიზება - 10 მონაწილე;
- სავალდებულო და შერჩევითი ინვერნტარიზაცია საბიუჯეტო ორგანიზაციაში - 25 მონაწილე;

- სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეთა მომზადების პირველი დონის სასწავლო კურსი - 24 მონაწილე;
- სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეთა მომზადების მეორე დონის სასწავლო კურსი - 97 მონაწილე;
- ფსიქოლოგიური შეფასების ფორმები პენიტენციურ სისტემაში /შედეგების ანალიზი - 7 მონაწილე;
- ავტომობილის უსაფრთხო მართვა - 15 მონაწილე;
- TOT-ტრენინგის ჩატარების მეთოდოლოგია და ტრენერობის უნარ-ჩვევების განვითარება - 13 მონაწილე;
- TSP-პოზიტიური უნარ-ჩვევების ინტერვენცია - 14 მონაწილე.

მიზანი 6.3. პატიმრობის პირობების გაუმჯობესება

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს რიგ დაწესებულებებში პატიმრობის პირობების გაუმჯობესების მიზნით განხორციელდა ინფრასტრუქტურული პროექტები, კერძოდ:

- N2 დაწესებულებაში 2016-2017 წელს სტანდარტების შესაბამისად მოეწყო და გარემონტდა სამედიცინო ოთახები;
- N5 დაწესებულება - აბანოებს ჩაუტარდა კაპიტალური რემონტი, 2017 წელს დამონტაჟდა სავენტილაციო სისტემა;
- N6 დაწესებულებაში 2017 წელს აბანოებს ჩაუტარდა კაპიტალური რემონტი;
- N9 პენიტენციურ დაწესებულებაში გარემონტდა სამედიცინო ოთახები;
- N15 დაწესებულებაში 2017 წელს მსჯავრდებულთა საკნებში შეიცვალა ონკანები;
- N16 პენიტენციურ დაწესებულებაში გარემონტდა საშხაპე ოთახები, მოეწყო სპორტული აქტივობებისათვის ღია მოედნები;
- N17 დაწესებულებაში 2017 წელს ჩატარდა სამედიცინო ოთახების სარემონტო სამუშაოები.

ღონისძიება 6.3.1. სასჯელაღსრულების დაწესებულებათა განახლებული კლასიფიკაციის შესაბამისად შექმნილი სხვადასხვა რისკის და საჭიროების დაწესებულებები

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 9 ივლისის №70 ბრძანებით დამტკიცდა მსჯავრდებულის რისკის სახეების, რისკის შეფასების კრიტერიუმების, რისკის შეფასებისა და გადაფასების წესის, მსჯავრდებულის იმავე ან სხვა ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გადაყვანის წესისა და პირობების, აგრეთვე რისკების შეფასების გუნდის საქმიანობისა და უფლებამოსილების განსაზღვრის წესი.

ღონისძიება 6.3.2. სასჯელაღსრულების სისტემაში არსებული დაწესებულებების გარემონტება და აღჭურვა

საჭიროებიდან გამომდინარე, ყოველწლიურად არსებული დაწესებულებები უზრუნველყოფილია რემონტ-რეკონსტრუქციით და დამატებითი აღჭურვით, შესაბამისი მანქანა დანადგარებითა და ინვენტარით. მაგალითად:

- **N5** პენიტენციურ დაწესებულებაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა გადაადგილებისთვის დამონტაჟდა ლიფტები და მოეწყო პანდუსები; **N7** პენიტენციურ დაწესებულებას ჩაუტარდა რეკონსტრუქცია და მოეწყო შესაბამისი ინფრასტრუქტურა;რუსთავის **N16** დაწესებულებაში მოეწყო სამედიცინო დახმარების ოთახები;
- **N2 , N5, N6,** პენიტენციურ დაწესებულებებში მოეწყო და მოწესრიგდა საშხაპე ოთახები;

N8 და N18 დაწესებულებებში მოეწყო ანტივანდალური და დეესკალაციის საკნები.

ღონისძიება 6.3.3. სასჯელაღსრულების სისტემაში განთავსებულ პატიმართა კვებით უზრუნველყოფა

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 13 აგვისტოს N88-№01-34/ნ ერთობლივი ბრძანებით განსაზღვრული იყო ბრალდებულ/მსჯავრდებულთა კვების ნორმები და ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, რომლებიც მოიცავდა ყველა ტიპის/რისკის დაწესებულებებში მყოფ ბრალდებულ/მსჯავრდებულთათვის დღიურ რაციონში შემავალი პროდუქტების ჩამონათვალსა და ენერგეტიკულ ღირებულებას, შესაბამისი სამედიცინო ჩვენების მქონე ბრალდებულ/მსჯავრდებულთათვის დღიურ რაციონში შემავალი პროდუქტების ჩამონათვალსა და ენერგეტიკულ ღირებულებას, ასევე ერთი პროდუქტის სხვა პროდუქტით ჩანაცვლების შესაძლებლობას (სულ 12 დანართი).

2016 წელს N88-№01-34/ნ ბრძანებაში საჭირო გახდა ცვლილებების შეტანა და 24 ივნისს გამოიცა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება „ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა კვების ნორმებისა და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების განსაზღვრის შესახებ“ ერთობლივ ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

2017 წლის ოქტომბრის ჩათვლით პატიმართა კვებას კომპანია „ელფი“უზრუნველყოფდა, ხოლო ოქტომბრიდან აღნიშნული მომსახურების გასაწევად ხელშეკრულება გაფორმდა შპს „იღი ჯგუფთან“

ღონისძიება 6.3.4. სასჯელაღსრულების სისტემაში განთავსებულ პატიმართა უზრუნველყოფა რბილი ინვენტარითა და აუცილებელი პირადი ჰიგიენისათვის საჭირო საშუალებებით

სასჯელაღსრულების დაწესებულებებში განთავსებულ პატიმართა უზრუნველყოფა რბილი ინვენტარითა და პირადი ჰიგიენის საშუალებებით დარეგულირებულია დაწესებულების შიდა რეგულაციებით. შესაბამისად, ბრალდებულ/მსჯავრდებულები არსებული ნორმებისა

და სტანდარტების შესაბამისად უზრუნველყოფილნი არიან ზემოაღნიშნული საშუალებებით.

ღონისძიება 6.3.5. მსჯავრდებულთა ოჯახთან ურთიერთობის უფლების უზრუნველსაყოფად გრძელვადიანი ვიზიტებისათვის განკუთვნილი ადგილების შექმნა

გლდანის N8 პენიტენციურ დაწესებულებაში გრძელვადიანი ვიზიტებისთვის მოწყობილია ინფრასტრუქტურა, რომელიც ექსპლუატაციაში შევა 2018 წლის მარტიდან.

ღონისძიება 6.3.6 თავისუფლებააღკვეთილთა ახლობლების, ოჯახის წევრების და სხვა დაინტერესებულ პირთათვის კანონით გათვალისწინებული ინფორმაციის სწრაფად და ეფექტურად მოძიების, მოქალაქეთა რეგისტრაციისა და პაემნების სრულყოფილად ორგანიზების მიზნით მომსახურების გაუმჯობესება

მოქალაქეთა სრულყოფილად მომსახურების მიზნით, 2017 წელს ამოქმედდა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გეგუთის N14 დაწესებულების საზოგადოებრივი მისაღები. საზოგადოებრივი მისაღები უზრუნველყოფს ბრალდებულ/მსჯავრდებულთა ხანგრძლივ და ხანმოკლე პაემნების ორგანიზებას, საბუთების შემოწმებასა და ერთჯერადი საშვის გაცემას. ასევე დაწესებულებაში შესვლის მსურველ სხვა პირებზე (კერძოდ, პროკურორი, ადვოკატი, გამომძიებელი, სასულიერო პირი და ა.შ) სპეციალური საშვის გაცემას. საზოგადოებრივი მისაღების თანამშრომლები კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებენ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ახლობლებისა და სხვა დაინტერესებულ პირთათვის სხვადასხვა სახის კონსულტაციის გაწევას.

მოქალაქეთათვის ინფორმაციის მარტივად ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე moc.gov.ge ამოქმედდა ონლაინ დახმარების სერვისი. ამ სერვისის სრულად და გამართულად მუშაობისათვის გადამზადება გაიარა საზოგადოებრივი მისაღების 22-მა თანამშრომელმა. ასევე საზოგადოებრივი მისაღები უზრუნველყოფს სამინისტროს ცხელი ხაზის 1500 ეფექტურ და სწრაფ მომსახურებას.

სამინისტროს მთავარი ადმინისტრაციული შენობის წინ საზოგადოებრივი მისაღების მშენებლობა შეჩერებულია. ამ ეტაპზე, არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, ყველა დაწესებულებაში აშენებულია და მოქმედებს საზოგადოებრივი მისაღებები.

ღონისძიება 6.3.7. პენიტენციური ჯანდაცვა

პენიტენციური ჯანდაცვის სტანდარტის ფარგლებში, პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებული ბრალდებულების/მსჯავრდებულების სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა ხდება ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ქვეყანაში დადგენილი სამედიცინო მომსახურების მოთხოვნების შესაბამისად. პირველადი ჯანდაცვის მოდელი დანერგილია ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში. სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოება მიმდინარეობს ეროვნული სტანდარტების შესაბამისად. შემუშავებული და დანერგილია სამუშაო აღწერილობები, როგორც სამედიცინო დეპარტამენტის, ისე

პენიტენციური დაწესებულებების მედ-პერსონალისთვის. შემუშავებულია პენიტენციური ჯანდაცვის ხარისხის კონტროლის უზრუნველყოფის 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმა.

გამართულად ფუნქციონირებს N18 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულება და N19 ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრი. სამედიცინო რეფერალები ხორციელდება ელექტრონული მოდულის საშუალებით, რომელიც უზრუნველყოფს გეგმური სამედიცინო რეფერალის პროცესის ეფექტურ, გამჭვირვალე და სამართლიან მართვას. სასწრაფო და გადაუდებელი შემთხვევები მოლოდინის რეჟიმს არ ექვემდებარება. ასევე, გაფორმებულია ხელშეკრულებები სამოქალაქო სექტორის სამკურნალო დაწესებულებებთან და სხვადასხვა პროფილის ექიმ სპეციალისტებთან.

პენიტენციურ სისტემაში წარმატებით ხორციელდება ჯანმრთელობის დაცვის სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამები: C ჰეპატიტის, ტუბერკულოზის, აივ-ინფექცია/შიდსი მართვის სახელმწიფო პროგრამა და ა.შ. C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, 2017 წელს, 1400-ზე მეტი ბენეფიციარი ჩაერთო ანტივირუსულ მკურნალობაში.

პენიტენციურ სისტემაში, ფსიქიკური ჯანდაცვის სერვისები მიმართულია პატიმართა ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებისა და გამოჯანმრთელების ხელშეწყობისკენ. ყველა პენიტენციურ დაწესებულებას ემსახურება ექიმი-ფსიქიატრი. სპეციალისტები მჭიდროდ თანამშრომლობენ პირველადი ჯანდაცვის რგოლთან. ხდება პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებულ პირთა ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ფსიქიატრიული მომსახურების საჭიროებების იდენტიფიცირება პირველადი შემოწმებისას. უზრუნველყოფილია სამოქალაქო სექტორში დაწყებული მკურნალობის უწყვეტობა და ახლად გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად ხელმისაწვდომია ადეკვატური სამედიცინო მომსახურება. იმ შემთხვევაში, თუ ვერ ხერხდება პირის ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მართვა, ამბულატორიულად ხდება მისი რეფერალი ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა N18 დაწესებულებაში, სადაც ფუნქციონირებს ფსიქიატრიული განყოფილება.

შესაბამისი მოვლის/მკურნალობის საჭიროების მქონე პირებისთვის, პენიტენციურ სისტემაში ხელმისაწვდომია:

- გადაუდებელი მდგომარეობების მართვა/კრიზისული ინტერვენცია;
- სუიციდის რისკის მართვა;
- მსუბუქი ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების მკურნალობა, როგორიცაა მსუბუქი და ზომიერი დეპრესია, აფექტური აშლილობები, ნევროზული, სტრესთან დაკავშირებული სომატოფორმული აშლილობები, ძილის დარღვევები და ფსიქიკური განვითარების შეფერხების მსუბუქი ფორმები (როგორიცაა დისლექსია და სხვა);
- სტაციონარული მკურნალობა;
- ფსიქოტროპული მედიკამენტები და მათი გვერდითი ეფექტების მართვა.

სამედიცინო საჭიროებიდან გამომდინარე, მსჯავრდებულს შეიძლება ჩაუტარდეს სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა, რათა დადგინდეს არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარების აუცილებლობა.

2017 წელს, შემუშავდა ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთა სკრინინგის ინსტრუმენტი, რომელიც საშუალებას იძლევა ბრალდებულებისთვის/მსჯავრდებულებისთვის პენიტენციურ სისტემაში შემოსვლისას, მიმღებ გამწყოფილებაში, განხორციელდეს სრულფასოვანი სკრინინგი, შეფასდეს ფსიქიკური ჯანმრთელობის კუთხით კონკრეტული საჭიროებები და განისაზღვროს შესაბამისი კომპეტენციის სპეციალისტთა ჩართულობის საკითხი, გარდა ამისა, ფსიქიკური ჯანმრთელობის მართვის გაუმჯობესების მიზნით, ევროპის საბჭოს და ევროკავშირის მხარდაჭერით, შემუშავდა ფსიქიატრიული პაციენტის მართვისა და ფსიქიატრიული ექთნების გადამზადების სასწავლო მოდულები, ჩატარდა ტრენერთა ტრენინგი და შერჩეულია სამედიცინო პერსონალი, რომელიც შემდგომში მოახდენს პენიტენციური სისტემის სამედიცინო პერსონალის გადამზადებას აღნიშნული მიმართულებით.

მიზანი 6.4. მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია

საანგარიშო პერიოდში მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის კუთხით პენიტენციურ სისტემაში განხორციელდა შემდეგი:

- გაიზარდა მსჯავრდებულთათვის შრომის შესაძლებლობა;
- გაიზარდა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში განათლების მიღების შესაძლებლობა პროფესიული/სახელობო კურსების დანერგვის მეშვეობით;
- წარმატებით გაგრძელდა ინდივიდუალური მიდგომების დანერგვა მსჯავრდებულებთან მიმართებაში. განახლდა რისკისა და საჭიროების შეფასების ფორმა;
- გაიზარდა მსჯავრდებულთა ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო პროგრამების ჩამონათვალი და მათი ხელმისაწვდომობა;
- მიმდინარეობდა შესაბამისი პერსონალის მომზადება პროგრამების განხორციელების უზრუნველსაყოფად.

ღონისძიება 6.4.1. მსჯავრდებულთა შრომის შესაძლებლობის გაზრდისათვის საწარმოო ზონების და მინი დასაქმების კერების შექმნა დაწესებულებების ტერიტორიაზე

მსჯავრდებულებს პენიტენციურ სისტემაში 3 მიმართულებით აქვთ დასაქმების შესაძლებლობა:

- სამეურნეო სამსახური - 2017 წელის 01 დეკემბრის მდგომარეობით, დასაქმებული იყო 709 მსჯავრდებული, მათ შორის 34 ქალი;
- დასაქმების მინი კერები და სამეწარმეო საქმიანობა - 3 დაწესებულებაში ფუნქციონირებს სადალაქოები, დასაქმებულია 5 მსჯავრდებული; N14, N15 და N16 დაწესებულებებში გაიხსნა პურის საცხობი და მასში დასაქმებულია 28

მსჯავრდებული; N8 დაწესებულებაში მიმდინარეობს საცხობის მშენებლობა; N5 ქალთა დაწესებულებაში ფუნქციონირებს სამკერვალო სალონი, მიმდინარე პერიოდში დასაქმდა 32 მსჯავრდებული ქალი;

- ინდივიდუალური საქმიანობის შედეგად შექმნილი ნაკეთობების რეალიზაცია - მიმდინარე წლის ივლისის თვეში სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ინიციატივით შეიქმნა ბრალდებულ/მსჯავრდებულთა ხელნაკეთი ნივთების გაყიდვების ვებ-გვერდი. ინდივიდუალური საქმიანობით დაკავდა და მიკრო ბიზნესის წარმომადგენლად დარეგისტრირდა 67 მსჯავრდებული. გასაყიდად წარმოდგენილი ხელნაკეთი ნივთები განთავსებულია სპეციალურად შექმნილ გაყიდვების ვებ-გვერდზე online.moc.gov.ge. და მიმდინარეობს მათი რეალიზაცია.

ღონისძიება 6.4.2. სასჯელაღსრულების დაწესებულებებში განათლების მიღების შესაძლებლობა პროფესიული/სახელობო და სატრენინგო/საგანმანათლებლო კურსების დანერგვის მეშვეობით

საანგარიშო პერიოდში საგანმანათლებლო პროფესიულ პროგრამებში 1562 მსჯავრდებული იყო ჩართული, რაც მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის 19 პროცენტს წარმოადგენს.

დასახელება	მონაწილე მსჯავრდებულთა რაოდენობა	მათ შორის:	
		არასრულწლოვანი	ქალი
სახელობო/პროფესიულისწავლება	537	52	83
რეკრეაციული პროგრამა	64	0	14
სატრენინგო/საგანმანათლებლოსწავლება	827	22	83
კომპიუტერულისასწავლოპროგრამა	104	9	11
ჯამი	**1562**	**83**	**191**

ღონისძიება 6.4.3. მსჯავრდებულებთან მიმართებით ინდივიდუალური მიდგომების შემუშავება

სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის მიდგომის იმპლემენტაცია პენიტენციურ სისტემაში სრულწლოვანთა მიმართ დაიწყო 2015 წელს:

- N16 დაბალი რისკის დაწესებულებაში მიმდინარეობს მსჯავრდებულთა სრული ჩართულობით 2015 წლიდან;

- N5 ქალთა დაწესებულებაში დაინერგა 2015 წელს, მიმდინარეობს ბენეფიციართა სრული ჩართულობით; N2 დაწესებულება, ჩართულია 85 მსჯავრდებული;
- N3 დაწესებულება, ჩართულია 6 მსჯავრდებული;
- N6 დაწესებულება, ჩართულია 7 მსჯავრდებული;
- N8 დაწესებულება, ჩართულია 445 მსჯავრდებული;
- N11 დაწესებულება, ჩართულია 19 მსჯავრდებული;
- N12 დაწესებულება, ჩართულია 144 მსჯავრდებული;
- N14 დაწესებულება, ჩართულია 61 მსჯავრდებული;
- N15 დაწესებულება, ჩართულია 344 მსჯავრდებული;
- N17 დაწესებულება, ჩართულია 110 მსჯავრდებული;
- N18 დაწესებულება, ჩართულია 4 მსჯავრდებული;
- N19 დაწესებულება, ჩართულია 28 მსჯავრდებული.

განახლდა სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის რისკისა და საჭიროების შეფასების ინსტრუმენტი, რომელსაც დაემატა ზიანის რისკის სეგმენტი. კითხვარი ობიექტურ, ქულობრივ შეფასებას მოიაზრებს და მისი პილოტირება N16 დაწესებულებაში 2017 წლის დეკემბრის თვიდან დაიწყო.

ღონისძიება 6.4.4. მსჯავრდებულთა უზრუნველყოფა ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო პროგრამებით

საანგარიშო პერიოდში ფსიქო-სოციალურ საინფორმაციო და სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართული იყო 1579 მსჯავრდებული; მათ შორის, ჯგუფურ ინტერვენციებში 416 (12 სახის პროგრამა), სხვადასხვა სახის არტ თერაპიაში - 181 (4 სახის პროგრამა), ხოლო ფსიქო-სოციალურ ტრენინგებში - 982 ბენეფიციარი (26 სახის პროგრამა).

არტ თერაპიის მიმართულებით შეიქმნა ახალი მოდული - არტ თერაპია წამალდამოკიდებულთათვის, ხოლო დამატებით 4 დაწესებულებაში დაინერგა "პოზიტიური უნარ-ჩვევების განვითარების პროგრამა (TSP)".

განახლების პროცესშია "გათავისუფლებისთვის მომზადების პროგრამა", ასევე იქმნება სარეაბილიტაციო პროგრამების ეფექტიანობის შეფასების სისტემები.

ღონისძიება 6.4.5. მსჯავრდებულთა ბიბლიოთეკებით, საზოგადოებასთან ურთიერთობის, სპორტული და კულტურული ღონისძიებებით უზრუნველყოფა

ყოველწლიურად ხორციელდება პენიტენციური დაწესებულების ბიბლიოთეკების წიგნის ფონდის განახლება. 2017 წელს კულტურულ ღონისძიებებში და სპორტულ წვრთნაში 2360-მა მსჯავრდებულმა მიიღო მონაწილეობა, მათ შორის:

- ინტელექტუალური და შემეცნებითი შეხვედრები -408
- კონკურსები - 223;
- თეატრალური დასი - 82;
- სპორტული წვრთნა - 75.

ამის გარდა დაწესებულებებში გაიმართა 338 კულტურული და 35 სპორტული ღონისძიება.

მიზანი 6.5 პირობით ვადამდე გათავისუფლება, მაჩვენებლის ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციასთან მიახლოება და ადგილობრივი საბჭოს საქმიანობა

2017 წლის 1 ივნისს პატიმრობის კოდექსში განხორციელდა ცვლილებები, რომელთა მიხედვითაც განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულებს პირობით ვადამდე გათავისუფლების უფლება მხოლოდ მას შემდეგ ენიჭებათ, რაც საშიშროების რისკს შეიმცირებენ. აღნიშნული ცვლილებით მსჯავრდებულს მიეცა უკეთესი ქცევის მოტივაცია და გაუმჯობესდა სასჯელის მიზნების (რესოციალიზაცია/რეაბილიტაციის) მიღწევის შესაძლებლობა. გარდა ამისა, მნიშვნელოვნად შემცირდა ადგილობრივი საბჭოების დატვირთვა, რასაც ასევე ემსახურება პატიმრობის კოდექსის 42-ე მუხლის მე-7 ნაწილი, რომელიც ამოქმედდება 2018 წლის 1 იანვრიდან. ცვლილების თანახმად, იმ მსჯავრდებულების პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხს, რომელთა საქმეებიც უკვე რამდენჯერმე განიხილა ადგილობრივმა საბჭომ და უარი უთხრა პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე და, ასევე, რომელთა მოსახდელი სასჯელის ვადა 6 თვეს არ აღემატება, ადგილობრივი საბჭო განიხილავს მხოლოდ მსჯავრდებულის მოთხოვნის შემთხვევაში.

განხორციელებული ცვლილების თანახმად (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი 72^1 მუხლი და 73-ე მუხლის მე-7 ნაწილი), იმ მსჯავრდებულთა საქმეებს, რომლებსაც სასჯელის სახით დანიშნული აქვთ უვადო თავისუფლების აღკვეთა, მათი პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და დარჩენილი სასჯელის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით (შინაპატიმრობა/საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა) შეცვლის საკითხს განიხილავს სასამართლო და არა ადგილობრივი საბჭო. აღნიშნული ცვლილების ამოქმედება მოხდება 2018 წლის 1 იანვრიდან.

გარდა ზემოხსენებულისა, გაიზარდა სასამართლოს როლი მსჯავრდებულთა პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხთან მიმართებაში. კერძოდ, დაიხვეწა და უფრო ეფექტური გახდა ადგილობრივი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების მექანიზმი. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოს მიიჩნევს, რომ ადგილობრივი საბჭოს მიერ მსჯავრდებულს დაუსაბუთებლად ეთქვა უარი პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე ან დარჩენილი სასჯელის უფრო მსუბუქი სახით სასჯელით (შინაპატიმრობა/საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა) შეცვლაზე, მას უკვე აქვს საშუალება პირდაპირ დაავალოს ადგილობრივ საბჭოს დადებითი გადაწყვეტილების მიღება.

ადგილობრივ საბჭოს ასევე მიენიჭა უფლებამოსილება დამატებითი პირობები განუსაზღვროს იმ მსჯავრდებულს, რომელიც პირობით ვადამდე გათავისუფლდება. აღნიშნული მექანიზმის დანერგვა განპირობებულია პენიტენციურ დაწესებულებაში სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვის საფუძველზე დაწყებული სარეაბილიტაციო პროგრამების პირობით ვადამდე გათავისუფლების შემდეგ, პრობაციის სისტემაში ეფექტურად გაგრძელების აუცილებლობით.

ადგილობრივ საბჭოებს შორის საქმეების თანაბრად გადანაწილებისა და მსჯავრდებულთა საქმეების სიღრმისეულად შესწავლის მიზნით, 2017 წლის 1 ივლისიდან გაიზარდა საბჭოების რაოდენობა და ნაცვლად 5 ადგილობრივი საბჭოსა, დღეს მოქმედებს 6 ადგილობრივი საბჭო, რომელთა შორის საქმეები თანაბრადაა გადანაწილებული. აღნიშნული ცვლილება მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საქმეების სრულყოფილად შესწავლასა და თითოეულ მსჯავრდებულთან მიმართებაში ინდივიდუალური მიდგომის გაძლიერებას.

ადგილობრივი საბჭოების მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მსჯავრდებულთა ჩართულობის გაზრდის მიზნით უკვე შესაძლებელია პირობით ვადამდე გათავისუფლების ზეპირი მოსმენის სხდომების ვიდეოკავშირის (პირდაპირი ტელეხიდი) საშუალებათა გამოყენებით ჩატარება შესაბამის პენიტენციურ დაწესებულებებში. ამასთან, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ადგილობრივი საბჭოების მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში არასრულწლოვან მსჯავრდებულებთან და ქალ მსჯავრდებულებთან მიმართებაში ასევე ფასდება ოჯახისა და სოციალური გარემოს რისკები და საჭიროებები ამისთვის განსაზღვრული ფორმისა და წესის შესაბამისად.

2017 წლის 1 დეკემბრიდან დაბალი რისკის მქონე სრულწლოვან მამაკაც მსჯავრდებულთა გათავისუფლებისათვის მომზადების პროცესში მათი ოჯახისა და სოციალური გარემოს რისკების შეფასებისა და საჭიროებების განსაზღვრაც მოხდება. 2018 წლის 1 იანვრიდან ეტაპობრივად გაგრძელდება სხვა სრულწლოვან მამაკაც მსჯავრდებულთა საქმეების შესწავლა.

2018 წლის 1 იანვრიდან ინერგება არასაპატიმრო სასჯელის ახალი სახე - შინაპატიმრობა. შინაპატიმრობა ნიშნავს მსჯავრდებულისათვის დღე-ღამის განსაზღვრულ პერიოდში თავის საცხოვრებელ ადგილას ყოფნის ვალდებულების დაკისრებას. შინაპატიმრობა ენიშნება ნასამართლობის არმქონე პირს ექვსი თვიდან ორ წლამდე ვადით, გარდა ამისა, პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფ მსჯავრდებულს ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილებით შესაძლებელია თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი შეეცვალოს შინაპატიმრობით. შინაპატიმრობა, როგორც წესი, აღსრულდება ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების გამოყენებით. შინაპატიმრობა არ დაენიშნება გაწვეულ სამხედრო მოსამსახურესა და ოჯახური დანაშაულის ჩამდენ პირს. შინაპატიმრობის მოხდის პერიოდში მსჯავრდებულს ეკრძალება საქართველოს საზღვრის გადაკვეთა.

ადგილობრივი საბჭოების საქმიანობის მეტი გამჭვირვალობისა და ეფექტურობის მიზნით, შესაძლებელია ადგილობრივი საბჭოს სხდომაში მონაწილეობა მიიღოს საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის შესაბამისად საამისოდ უფლებამოსილმა ერთმა პარლამენტის წევრმა. მას საბჭოს სხდომაზე დასწრების შემთხვევაში აქვს საბჭოს წევრის ტოლფასი ხმის უფლება.

ღონისძიება 6.5.1 მსჯავრდებულთა პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლება და დანიშნული სასჯელის უფრო მსუბუქით შეცვლა გამოიყენება აქტიურად

- პირობით ვადამდე გათავისუფლება:

  შემოვიდა: 11 490 შუამდგომლობა;
  განხილული იქნა: 11 391 შუამდგომლობა;
  გათავისუფლდა: 1036 მსჯავრდებული.

დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლა:

- საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა:
  შემოვიდა: 218 შუამდგომლობა;
  განხილული იქნა: 217 შუამდგომლობა;
  დაკმაყოფილდა : 33 შუამდგომლობა.

- თავისუფლების შეზღუდვა:
  შემოვიდა: 335 შუამდგომლობა;
  განხილულიიქნა: 335 შუამდგომლობა;
  დაკმაყოფილდა: 22 შუამდგომლობა.

მიზანი 6.6. პატიმართა სამართლებრივი გარანტიების გაძლიერება

პენიტენციურ დაწესებულებებში გამართულად ფუნქციონირებს გასაჩივრების მექანიზმი. დალუქული საჩივრის ყუთები ხელმისაწვდომია ყველა დაწესებულებაში, ხოლო საჩივრის კონფიდენციალურობა დაცულია კანონით. არსებობს სპეციალური კონვერტები კონფიდენციალური საჩივრებისათვის. შიდა რეგულაციებისა და წერილობითი საჩივრის განხილვის შედეგების შესახებ ეცნობება საჩივრის ავტორს.

პენიტენციური დაწესებულებებიდან 2017 წლის 1-ლი დეკემბრისთვის 5932 კონფიდენციალური საჩივრის კონვერტი დარეგისტრირდა და გაიგზავნა შესაბამის ადრესატზე.

2015 წლის სექტემბრიდან ანალიტიკური დეპარტამენტი აწარმოებს შიდა საჩივრების სტატისტიკას საჩივრის ტიპების მიხედვით, რაც საშუალებას აძლევს სამინისტროს, მოახდინოს საჩივრების საფუძვლების ერთიანი შეფასება და მიიღოს შესაბამისი ზომები.

ამასთანავე, შიდა მონიტორინგის გაძლიერების მიზნით, გენერალური ინსპექციის დეპარტამენტში შეიქმნა სისტემური მონიტორინგის სამმართველო, რომელიც განიხილავს პატიმართა საჩივრებს.

2016 წლის 30 დეკემბრის სასჯელაღსრულების და პრობაციის მინისტრის N8756 ბრძანებით დამტკიცებულ იქნა გენერალური ინსპექციის მიერ 2017 წელს განსახორციელებელი სისტემური მონიტორინგის წლიური გეგმა, რომლის შესაბამისად სისტემური მონიტორინგის სამმართველომ ჩაატარა გეგმური თემატური სისტემური მონიტორინგი N8, N19, N9, N5, N2 პენიტენციურ დაწესებულებებში და გეგმური სრული სისტემური მონიტორინგი N6 და N3 პენიტენციურ დაწესებულებებში.

ასევე N14 პენიტენციურ დაწესებულებაში ჩატარდა არაგეგმური თემატური მონიტორინგი, ხოლო N11 პენიტენრიურ დაწესებულებაში არაგეგმური სრული მონიტორინგი. მონიტორინგის შედეგების საფუძველზე 2017 წელს გაცემულია 60-მდე რეკომენდაცია.

ღონისძიება 6.6.1. პატიმართა ცნობიერების ამაღლება მათი უფლებების შესახებ საჩივრების, დისციპლინარულ და ადმინისტრაციულ პროცედურებთან მიმართებაში

დაიბეჭდა:

- 5000 ბროშურა სრულწლოვან ბრალდებულ/მსჯავრდებულთა უფლებების შესახებ ქართულ ენაზე;
- 100 ბროშურა არასრულწლოვან ბრალდებულ/მსჯავრდებულთა უფლებების შესახებ ქართულ ენაზე;
- 500 ბროშურა სრულწლოვან ბრალდებულ/მსჯავრდებულთა უფლებების შესახებ 5 ენაზე (აზერბაიჯანული, სომხური, თურქული, რუსული და ინგლისური).

საანგარიშო პერიოდში ბრალდებულ/მსჯავრდებულთა უფლებების შესახებ ტრენინგი 385-მა მსჯავრდებულმა გაიარა; მათ შორის, არასრულწლოვანმა ბრალდებულ/მსჯავრდებულებმა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით, ხოლო ქალმა მსჯავრდებულებმა - ბანგკოკის წესების გათვალისწინებით.

ღონისძიება 6.6.2. პატიმრობის კოდექსით გათვალისწინებული საჩივრების პროცედურების ხელმისაწვდომობა

პენიტენციური დაწესებულებებიდან 2017 წლის 1-ლი დეკემბრისთვის 5932 კონფიდენციალური საჩივრის კონვერტი დარეგისტრირდა და გაიგზავნა შესაბამის ადრესატზე.

მიზანი 6.7. გენერალური ინსპექციის სისტემური მონიტორინგის სამმართველოს ინსტიტუციონალური განვითარება

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის სისტემური მონიტორინგის სამმართველო შეიქმნა მინისტრის 2015 წლის 25 ივნისის N55 ბრძანებით. ამავე დღეს დამტკიცდა საშტატო ნუსხა. სამმართველო უზრუნველყოფს სამინისტროს გამგებლობის სფეროში სისტემური მონიტორინგის განხორციელებას, მონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაციის დამუშავებასა და ანგარიშის მომზადებას. აგრეთვე სისტემური მონიტორინგის დროს აღმოჩენილი ხარვეზებისა და პრობლემების ანალიზს და, მათი აღმოფხვრის მიზნით, მინისტრისათვის შესაბამისი რეკომენდაციების წარდგენას.

2016 წლის 23 დეკემბრის საკანონმდებლო ცვლილების საფუძველზე, გენერალურ ინსპექციას დაემატა სამედიცინო მომსახურების ხარისხის კონტროლის სამმართველო, რომელიც სამედიცინო სერვისების მაკონტროლებელი სტრუქტურული ერთეულია და, კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოფს დაწესებულების საექიმო-სამედიცინო პუნქტის/სამედიცინო ნაწილის და თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების პირველადი სამედიცინო დახმარების პუნქტის მიერ

ბრალდებულისთვის/მსჯავრდებულისთვის გაწეული სამედიცინო მომსახურების ხარისხის კონტროლს და უფლებამოსილების ფარგლებში შეიმუშავებს რეკომენდაციებს.

2017 წელს აღნიშნული სამმართველოს მიერ განხილულ იქნა ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ჯანმრთელობასთან დაკავშირებით შემოსული 700-ზე მეტი განცხადება/საჩივარი, ჩატარდა სამსახურებრივი შემოწმებები, პენიტენციური სისტემის თანამშრომელთა მხრიდან გამოვლენილი დარღვევების შემთხვევაში, სამინისტროს ცალკეულ თანამშრომელთა მიმართ გატარდა დისციპლინური ხასიათის ღონისძიებები. გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით, გაცემულია 6 რეკომენდაცია, რომელთა ძირითადი ნაწილი ასახულია ნორმატიულ აქტებში და, ამ ეტაპზე, გათვალისწინებულია სამინისტროს შესაბამისი სამსახურების მიერ.

სამმართველოს მიერ 2017 წელს განხორციელდა სამინისტროს №3 და №6 პატიმრობისა და განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში კანონმდებლობით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის უფლების უზრუნველყოფისა და მიწოდებული სამედიცინო მომსახურების ხარისხის შესწავლა, ასევე პენიტენციური დაწესებულებების საექიმო-სამედიცინო პუნქტებში სამედიცინო პერსონალის მიერ წარმოებული სამედიცინო ბარათების შესაბამისობის განხილვა კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან მიმართებაში. შედგა შესაბამისი ანგარიშები და სამინისტროს სხვადასხვა სამსახურებს მიეცათ რეკომენდაციები.

2017 წლის სექტემბრს, ევროკავშირი საქართველოსათვის, პენიტენციური და პრობაციის სისტემების მხარდაჭერის პროექტის ფარგლებში გაიმართა შეხვედრები გენერალური ინსპექციის წარმომადგენლებთან და ევროკავშირის ექსპერტთან მონტორინგის მექანიზმისა და მუშაობის მეთოდოლოგიის შემუშავების საკითხებზე. აღნიშნულ შეხვედრებს გენერალური ინსპექციის უფროსთან და მოადგილესთან ერთად ესწრებოდა სისტემური მონიტორინგის სამმართველო სრული შემადგენლობით.

7. პრობაციის სისტემის რეფორმა

2017 წელს პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ პრობაციონერთა სხვადასხვა სარეაბილიტაციო პროგრამებსა და სასჯელის ინდივიდუალურ დაგეგმვაში ჩართვამ შეამცირა პირობით მსჯავრდებულებს შორის განმეორებითი დანაშაულის რაოდენობრივი მაჩვენებელი, რამაც საანგარიშო პერიოდში 1.35% შეადგინა. მიმდინარე წელი ასევე მნიშვნელოვანი იყო საკანონმდებლო ცვლილებების თვალსაზრისით. 2017 წელს განხორციელებული რეფორმების შედეგად, 2018 წლის 1 იანვრიდან სრულწლოვანი მსჯავრდებულების მიმართ ამოქმედდება ახალი არასაპატიმრო სასჯელის სახე - შინაპატიმრობა. შინაპატიმრობა შეეფარდებათ ნასამართლობის არმქონე მსჯავრდებულებს ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში. ასევე, 2018 წლის 1 იანვრიდან გაუქმდება სასჯელის სახე - თავისუფლების შეზღუდვა და, შესაბამისად, ლიკვიდირებული იქნება სრულწლოვან მსჯავრდებულთა თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულება. აღნიშნული დაწესებულების უფლებამონაცვლე საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროა.

მიზანი 7.1. პრობაციის სააგენტოს ადმინისტრაციული შესაძლებლობების განვითარება2017 წელს ოზურგეთში ფუნქციონირება დაიწყო გურიის პრობაციის ბიუროს ახალმა ოფისმა, რომელიც თანამედროვე სტანდარტების მიხედვით მოეწყო. ახალ ოფისში ფუნქციონირებს პრობაციონერთა სარეგისტრაციო სივრცე, ინდივიდუალური გასაუბრების და ჯგუფური თერაპიის ოთახები, ასევე ოფიცერთა, სოციალურ მუშაკთა და ფსიქოლოგთა კაბინეტები. ახალი ოფისიდან, ვიდეო-პაემნის საშუალებით, მოქალაქეებს შესაძლებლობა აქვთ, დაამყარონ პირდაპირი ვიზუალური და ხმოვანი კავშირი სასჯელაღსრულების დაწესებულებებში განთავსებულ მსჯავრდებულებთან.

პრობაციის სისტემაში ეფექტურად ფუნქციონირებს მონაცემთა ერთიანი ელექტრონული ბაზა. საჭიროებიდან გამომდინარე, პერმანენტულად მიმდინარეობს ბაზის განახლება და დახვეწა.

ღონისძიება 7.1.1. - პრობაციის სააგენტოს ადმინისტრაციული ხარჯები

პრობაციის ეროვნული სააგენტოს თანამშრომელთა რაოდენობა შემცირდა 42 საშტატო ერთეულით. ამჟამად სააგენტოში 316 ბიუჯეტით დაფინანსებული საშტატო ერთეული და 70 შტატგარეშე მოსამსახურეა.

ღონისძიება 7.1.3. – ყველა რეგიონული პრობაციის ბიუროსა და ოფისის გახსნა, გარემონტება და აღჭურვა; ინტერნეტითა და კომუნიკაციის სხვა საშუალებებით უზრუნველყოფა

ოზურგეთში ფუნქციონირება დაიწყო გურიის პრობაციის ბიუროს ახალმა ოფისმა. კაპიტალური და მიმდინარე რემონტი ჩაუტარდა სენაკისა და ქუთაისის პრობაციის ოფისებს.

ღონისძიება 7.1.4. პრობაციის ოფიცერთა დატვირთვის შემცირება ისე, რომ ქვეყნის მასშტაბით, ერთ პრობაციის ოფიცერი საშუალოდ 150-მდე პრობაციონერის საქმეს აწარმოებდეს

საანგარიშო პერიოდში, ქვეყნის მასშტაბით, პრობაციის ოფიცერს საშუალოდ წარმოებაში 135 საქმე აქვს. პრობაციის ეროვნული სააგენტო მაქსიმალურად ცდილობს ოფიცრების დატვირთვა არ გაიზარდოს. ოფიცრების ნაკლები დატვირთვა ხელს უწყობს პრობაციონერებთან უფრო აქტიურ და ხარისხიან ინდივიდუალურ მუშაობას.

ღონისძიება 7.1.5. პრობაციის სამსახურის ფინანსური ადმინისტრირების სისტემის შეფასება და საჭიროებისამებრ გაუმჯობესება

2017 წელს პრობაციის ეროვნული სააგენტოს მოსამსახურეებმა მონაწილეობა მიიღეს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის მიერ და სასწავლო ცენტრის ევროკავშირის პროექტთან - „პენიტენციური და პრობაციის სისტემების მხარდაჭერა“ - თანამშრომლობის ფარგლებში ორგანიზებულ ტრენინგებში:

- საბაზისო სასწავლო პროგრამა;
- სარეაბილიტაციო პროგრამები და მათი მნიშვნელობა;
- კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვნებთან მუშაობა;
- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, ფსიქოლოგია, არასრულწლოვანთან ურთიერთობის მეთოდიკა; რისკების და საჭიროებების შეფასების ინსტრუმენტის პილოტირება;
- TOT-ტრენინგის ჩატარების მეთოდოლოგია და ტრენერობის უნარ-ჩვევების განვითარება;
- მოტივაციური ინტერვიუ;
- შედეგების ანალიზის პედაგოგიკა;
- სარეაბილიტაციო პროგრამების განვითარების მხარდაჭერა პენიტენციურ და პრობაციის სისტემებში.

ასევე, 2017 წლის განმავლობაში პრობაციის სამსახურის პერსონალი გადამზადდა და დამატებით მიიღო მონაწილეობა სხვადასხვა ტრენინგში (მაგ., კლინკური ფსიქოლოგია, სახელმწიფო შესყიდვები, საჯარო მოსამსახურის ეთიკა და სხვ.).

ღონისძიება 7.1.6. პრობაციის სამსახურის სტრუქტურისა და პერსონალის როლის ანალიზი და საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების შეტანა; სამუშაოზე აყვანისა და თანამშრომელთა შეფასების პროცედურის განსაზღვრა. სააგენტოს თანამშრომელთა თვის ხელფასის ზრდა

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით პრობაციის ეროვნული სააგენტოს თანამშრომელთა რაოდენობა განისაზღვრა 316 შტატიანი და 70 შტატგარეშე ერთეულით. აქედან გამომდინარე სააგენტოში სულ მუშაობს 428 თანამშრომელი.

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანებების საფუძველზე განსაზღვრულია სამუშაოზე აყვანისა და თანამშრომელთა შეფასების პროცედურა;
- სააგენტოს თანამშრომელთა ხელფასის ზრდა 2017 წლის განმავლობაში არ მომხდარა.

ღონისძიება 7.1.7. ცენტრალურ დონეზე ადამიანური რესურსების საკითხების კოორდინატორების დანიშვნა

2017წელს ჩატარებული კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების თემატიკამოიცავდა ადამიანური რესურსების მართვის საკითხებს.

ღონისძიება 7.1.8. თანამშრომელთა სწავლების გაუმჯობესება: პრობაციის სამსახურის ტრენინგის სტრატეგიის და ყოველწლიური ტრენინგის გეგმების შემუშავება, ტრენინგის მოდულების სტანდარტების შემუშავება, მიღება და გამოყენება, სასწავლო პროგრამების პერიოდული შეფასება და განვითარება, პრობაციის ეროვნული სააგენტოს თანამშრომელთა და სტაჟიორ ოფიცერთა მომზადება შემუშავებული ტრენინგ-მოდულების მიხედვით

პრობაციის სამსახურის ყველა ოფიცერს გავლილი აქვს საბაზისო ტრენინგი. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრთან თანამშრომლობით დგება ყოველწლიური ტრენინგ-გეგმა. გეგმის მიხედვით თანამშრომლებმა 2017 წლის განმავლობაში პრობაციის ეროვნული სააგენტოს 318 მოსამსახურემ გაიარა სწავლება 9 სხვადასხვა სასწავლო პროგრამის ფარგლებში.

ღონისძიება 7.1.9. არასრულწლოვნებთან კოორდინირებულ მუშაობაზე პასუხისმგებელი პრობაციის ოფიცრების დანიშვნა

პრობაციის ეროვნულ სააგენტოში არასრულწლოვან პირობით მსჯავრდებულებს განსაკუთრებული ყურადღება ექცევათ. 2017 წელს არასრულწლოვნებთან მუშაობის მიმართულებით დამატებით გადამზადდა პრობაციის ეროვნული სააგენტოს 25 თანამშრომელი: 8 სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველოს თანამშრომელი და 17 პრობაციის ოფიცერი.

ღონისძიება 7.1.10. მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება თანასაწორთა ინსპექტირების სისტემის დანერგვით

საჭიროებების გათვალისწინებით, თანამშრომელთა შორის ხორციელდება თანასწორთა ინსპექტირება, რეგიონების მიხედვით.

მიზანი 7.2. საკანონმდებლო ბაზის განვითარება

2017 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების თანახმად, 2018 წლის 1 იანვრიდან სრულწლოვანი მსჯავრდებულების მიმართ ამოქმედდება ახალი არასაპატიმრო სასჯელის სახე - შინაპატიმრობა. შინაპატიმრობა შეეფარდებათ ნასამართლობის არმქონე მსჯავრდებულებს ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში. გარდა ამისა, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინიტროს ადგილობრივი საბჭო უფლებამოსილი იქნება საპატიმრო სასჯელის მოუხდელი ნაწილი შეუცვალოს მსჯავრდებულს შინაპატიმრობით. შინაპატიმრობის აღსრულების წესი, პირობები და შინაპატიმრობის ელექტრონული ზედამხედველობის საშუალებით აღსრულების საფასურის ოდენობა; შინაპატიმრობის ელექტრონული ზედამხედველობის საშუალებით აღსრულების საფასურის გადახდის წესი და პირობები და დეპოზიტზე თანხის განთავსების წესი და პირობები განისაზღვრება სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანებით. ასევე, 2017 წელს განხორციელებული საკანონმდებლო

ცვლილების შედეგად 2018 წლის 1 იანვრიდან გაუქმდება სასჯელის სახე - თავისუფლების შეზღუდვა და, შესაბამისად, ლიკვიდირებული იქნება სრულწლოვან მსჯავრდებულთა თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულება. აღნიშნული დაწესებულების უფლებამონაცვლე არის საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო.

2017 წლიდან ამოქმედდა საკანონმდებლო ცვლილება, რომლის მიხედვითაც საზღვარგარეთ გამგზავრების ნებართვის გარეშე საქართველოს საზღვრის გადაკვეთა ან გადაკვეთის მცდელობისათვის ადმინისტრაციული პატიმრობა გაუქმდა და განისაზღვრა მხოლოდ ჯარიმა

ღონისძიება 7.2.1. პრობაციის საკანონმდებლო ბაზის შეფასება ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით და რეკომენდაციების მომზადება

ექსპერტების რეკომენდაციების გათვალისწინებით, საჭიროებებიდან გამომდინარე, ხდება პრობაციის კანონმდებლობის განახლება.

2017 წლის საკანონმდებლო ცვლილებების თანახმად, საზღვარგარეთ გამგზავრების ნებართვის შესაძლებლობა, პირობით მსჯავრდებულების მსგავსად, ასევე მიეცათ არასაპატიმრო სასჯელით მსჯავრდებულ პირებს (გარდა შინაპატიმრობისა).

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის გასაჩივრებისას საკითხზე გადაწყვეტილების მიღებამდე ჯარიმის ნებაყოფლობით გადახდისთვის გათვალისწინებული 30-დღიანი ვადა შეჩერდება.

ჯარიმის გადახდის ნებაყოფლობითი აღსრულებისთვის დადგენილი ვადის გასვლიდან 7 დღის განმავლობაში ბიუროს უფროსი განახორციელებს ჯარიმის გადახდის იძულებით აღსრულებას.

მსჯავრდებულის საზღვარგარეთ გამგზავრების ნებართვის გაცემის, მისი ვადის გაგრძელების და ნებართვის გაუქმების კრიტერიუმები, წესები და სხვა პროცედურული საკითხები განისაზღვრა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანებით.

საქართველოს სახელით ოფიციალურ, საერთაშორისო კულტურულ, სპორტულ, პროფესიულ და საგანმანათლებლო-სამეცნიერო ღონისძიებებში მსჯავრდებულის მონაწილეობის ან/და მისთვის აუცილებელი სამედიცინო დახმარების საზღვარგარეთ გაწევის საჭიროების შემთხვევაში, რაც დასტურდება კომპეტენტური პირის მიერ გაცემული შესაბამისი დოკუმენტით, მსჯავრდებული პრობაციის ეროვნული სააგენტოს უფროსის გადაწყვეტილებით შეიძლება გათავისუფლდეს კანონით დადგენილი საფასურების გადახდის ვალდებულებისაგან.

საზღვარგარეთ გამგზავრების ნებართვის მოქმედების პერიოდში, თუ მსჯავრდებული იმყოფება საქართველოში, იგი ვალდებულია დადგენილი რეჟიმის მიხედვით გამოცხადდეს შესაბამის პრობაციის ბიუროში.

ასევე, გაუქმდა მსჯავრდებულის მიერ მსჯავრდებულის საზღვარგარეთ გამგზავრების ნებართვის გარეშე საქართველოს საზღვრის გადაკვეთის ან მისი გადაკვეთის მცდელობის

შემთხვევაში ადმინისტრაციული პატიმრობა და აღნიშნული წესის დარღვევა გამოიწვევს მსჯავრდებულის დაჯარიმებას: პირველ შემთხვევაში – 500 ლარის ოდენობით, ხოლო პირველი შემთხვევიდან ერთი წლის განმავლობაში განმეორებით (მეორედ ან მეტჯერ) ჩადენისას –1000 ლარის ოდენობით.

პრობაციის ბიუროს მიერ მსჯავრდებულისთვის გასაგზავნი დოკუმენტების ჩაბარებაზე ვრცელდება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე, 73-ე და 76-ე მუხლებით დადგენილი წესი.

ღონისძიება 7.2.2. ახალი ალტერნატიული სანქციების (საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა – პატიმრობის კანონის 681 მუხლი) ტესტირება და პილოტირება (საცდელი ღონისძიების გატარება) პრობაციის სააგენტოს მიერ

საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის აღსრულება პრობაციის ეროვნული სააგენტოს საქმიანობის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული მიმართულებაა. აღნიშნული ალტერნატიული სასჯელის აღსასრულებლად პრობაციის ეროვნული სააგენტო მჭიდროდ თანამშრომლობს სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოებთან საჭირო სამუშაო ადგილების უზრუნველყოფის მიზნით.

სამუშაო ადგილების ბაზა პერმანენტულად ახლდება. 2017 წლის 22 დეკემბრის მდგომარეობთ პრობაციის ეროვნულ სააგენტოში აღსასრულებლად შემოვიდა საზოგადოებისთის სასარგებლო შრომის 2654 საქმე, ხოლო დასრულდა - 2585.

ღონისძიება 7.2.3. არასრულწლოვანთა საქმეებზე პილოტირებული სქემების განხორციელებით, პირობით ვადამდე გათავისუფლების კომისიებში და სასჯელის მისჯამდე პრობაციის სოციალური მუშაკების ჩართულობის მექანიზმების შემუშავება

კანონმდებლობაში შესულია ცვლილება, რომლის მიხედვითაც არასრულწლოვნის ინდივიდუალური შეფასების ანგარიშს ამზადებს პრობაციის ეროვნული სააგენტოს სოციალური მუშაკი, რომელსაც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში სპეციალიზაცია გააჩნია.

2017 წლის განმავლობაში წარმატებით მიმდინარეობდა სასამართლო პროცესისთვის არასრულწლოვანთა და 21 წლამდე პირთა საქმეებზე ინდივიდუალური შეფასების ანგარიშების მომზადება. პრობაციის ეროვნული სააგენტოს სოციალურ მუშაკი, ანგარიშის მომზადების პროცესში, იკვლევს ბრალდებულის ბიო-ფსიქო-სოციალურ მდგომარეობას. ანგარიშის მიზანია, მოხდეს მრავალმხრივი და ობიექტური ინფორმაციის მიწოდება მოსამართლის მიერ სათანადო სასჯელის შეფარდებისთვის.

მიზანი 7.3. ზედამხედველობის სისტემის გაუმჯობესება

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმით მუშაობდა ყველა ბიურო. სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვის სისტემაში ჩართულია პრობაციონერთა 90%.

ღონისძიება 7.3.1. საქმის წარმოებისთვის სპეციალური ელექტრონული მონაცემთა ბაზის შექმნა, გამოყენება (დანერგვა) და რეგულარული განახლება

საანგარიშო პერიოდის მანძილზე საქმის წარმოებისთვის სპეციალური ელექტრონული მონაცემთა ბაზა მუშაობდა გამართულად და საჭიროებიდან გამომდინარე,მიმდინარეობდა მისი განახლება.

ღონისძიება 7.3.2. თითის ანაბეჭდების რეგისტრაციის სისტემის პილოტირება და გამოყენება (დანერგვა)

2017 წლის განმავლობაში, თითის ანაბეჭდების რეგისტრაციის სისტემა გამართულად ფუნქციონირებდა ყველა რეგიონულ ოფისში. ბაზაში რეგისტრირებულია პრობაციონერთა 100%.

ღონისძიება 7.3.3. მსჯავრდებულებზე რისკის-შეფასების ინსტრუმენტისა და ინდივიდუალური გეგმის შედგენის მეთოდოლოგიის შემუშავება, პილოტირება შესაბამისი ტრენინგების მხარდაჭერით

საანგარიშო პერიოდში რისკის შეფასების მეთოდოლოგიით მუშაობა წარმატებით მიმდინარეობდა ქვეყნის ყველა რეგიონში.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის ევროკავშირის პროექტთან - „პენიტენციური და პრობაციის სისტემების მხარდაჭერა“ - თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელებულ ტრენინგში - „რისკების და საჭიროებების შეფასების ინსტრუმენტის პილოტირება“, რომელიც მიზნად ისახავდა მონაწილეებისათვის რისკების და საჭიროებების შეფასების ახალი ინსტრუმენტის გაცნობას - მონაწილეობა მიიღო პრობაციის სააგენტოს 25-მა მოსამსახურემ;

ამ ეტაპზე ევროკავშირის პროექტის მხარდაჭერით მიმდინარეობს ახალი რისკისა და საჭიროებების შეფასების მექანიზმის შექმნა/გაუმჯობესება; 3 რეგიონში უკვე ხორციელდება ახალი ფორმის პილოტირება.

ღონისძიება 7.3.4. პრობაციის ოფიცრები რისკისა და საჭიროებების შეფასებისა და სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის მიხედვით მუშაობენ მსჯავრდებულებთან

საანგარიშო პერიოდში სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმით მუშაობდა ყველა ბიურო. სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვის სისტემაში ჩართული იყო პრობაციონერთა 90%.

ღონისძიება 7.3.5. საქმის წარმოების სისტემის დანერგვა; სახელმძღვანელოს შემუშავება, სადაც გაწერილი იქნება სტანდარტული სამუშაო პროცესი (პროცედურები) და შესაბამისი ტრენინგების ჩატარება; შემუშავებული ინსტრუქციითა და მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოთი მუშაობა; საჭიროებისამებრ განახლების პროცესი.

2016 წელს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანების საფუძველზე, დამტკიცდა "არასაპატიმრო სასჯელთა და პრობაციის აქტების სააღსრულებო წარმოების შესახებ ინსტრუქცია".

2017 წელს ამავე ინსტრუქციაში განისაზღვრა მსჯავრდებულის საზღვარგარეთ გამგზავრების ნებართვის გაცემის, მისი ვადის გაგრძელების და ნებართვის გაუქმების კრიტერიუმების, წესებისა და სხვა პროცედურული საკითხები.

,,შემუშავდა შინაპატიმრობის აღსრულების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანების პროექტი, რომელიც უნდა ამოქმედდეს 2018 წლის 1 იანვრიდან.

ღონისძიება 7.3.6. საზოგადოებრივი სანქციების (საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის) დაკისრების იმპლემენტაციის გაუმჯობესება

პრობაციის ეროვნული სააგენტოს საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება პირობით მსჯავრდებულთათვის სასჯელის სახით დანიშნული საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის აღსასრულებლად საჭირო სამუშაო ადგილებით უზრუნველყოფაა. სწორედ ამ მიზნით სააგენტო მჭიდროდ თანამშრომლობს სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოებთან.

საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის აღსრულება, ძირითადად, ხდებოდა მუნიციპალურ სამსახურებში, სანერგე მეურნეობებში, ეკლესია–მონასტრების ტერიტორიაზე, კულტურისა და დასვენების პარკებში, საჯარო სკოლებსა და საბავშვო ბაღებში.

აღსანიშნავია, რომ სამუშაო ადგილების ბაზა პერმანენტულად ახლდება.

ღონისძიება 7.3.7. საზოგადოებრივი სანქციების იმპლემენტირებისა და ეფექტურობის (ასევე საზოგადოებრივი სანქციების ღონისძიებების გატარების) თაობაზე რეგულარული ინფორმაციის არსებობა და ხელმისაწვდომობა

საზოგადოებრივი სანქციების იმპლემენტირებისა და ეფექტიანობის (ასევე საზოგადოებრივი სანქციების ღონისძიებების გატარების) თაობაზე პერიოდული ანგარიში მომზადებულია და განთავსებულია ვებგვერდზე.

ღონისძიება 7.3.8. პენიტენციურ დეპარტამენტსა და პრობაციას შორის კავშირის გაუმჯობესება რეგულარული შეხვედრებით, გაუმჯობესებული ინფორმაციის გაცვლითა და თანამშრომლობით

საანგარიშო პერიოდში თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებსა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოს შორის თანამშრომლობის გაუმჯობესების მიზნით მიმდინარეობდა მუშაობა სხვადასხვა მიმართულებით. პრობაციის ეროვნული სააგენტოს სოციალური მუშაკები სასჯელაღსრულების დაწესებულებების მომართვის საფუძველზე პირობით ვადამდე განთავისუფლების კომისიისათვის ამზადებდნენ არასრულწლოვნის ოჯახისა და სოციალური გარემოს შეფასებას. გარდამავალი მენეჯმენტის ფარგლებში, პრობაციის

ეროვნული სააგენტო, პენიტენციური დეპარტამენტის მომართვის საფუძველზე, ამზადებს ქალი მსჯავრდებულების ოჯახების შეფასებას, ხოლო 2017 წლის დეკემბრიდან, #16 დაწესებულების მომართვის საფუძველზე, დამატებით ამზადებს მამაკაცი მსჯავრდებულების ოჯახების შეფასებებს.

ევროკავშირის მხარდაჭერით აქტიურად მიმდინარეობს შეხვედრები ამ მიმართულებით.

მიზანი 7.4 სარეაბილიტაციო პროგრამების და საზოგადოების ჩართულობის განვითარება

2017 წლის მდგომარეობით, პრობაციის ეროვნულ სააგენტოში არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით ფუნქციონირებს 23 სარეაბილიტაციო პროგრამა 3 ძირითადი მიმართულებით:

- ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია;
- დამოკიდებულებების დაძლევა;
  პროსოციალური ქცევის ფორმირება.

ამასთან, მსჯავრდებულებთან მიმდინარეობს მუშაობა მათი განათლების, ჯანმრთელობისა და დასაქმების ხელშეწყობის მიზნით.

ღონისძიება 7.4.1. სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველოს გამართული ფუნქციონირება

სოციალური მუშაკის რესურსი ხელმისაწვდომია პრობაციის ეროვნული სააგენტოს 22 ოფისში, ხოლო ფსიქოლოგის - 10რეგიონულ ოფისში.

გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით, სამმართველოს სოციალურ მუშაკებს, ფსიქოლოგებს და არასრულწლოვნებთან მომუშავე ოფიცრებს ჩაუტარდათ კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები. ტრენინგის სიღრმისეულად გააზრებისთვის, შეიქმნა სახელმძღვანელო ტიპის მოდულები და, შესაბამისად, სამმართველოს დაემატა 5 (ხუთი) ახალი სარეაბილიტაციო პროგრამა შემდეგი თემატიკით:

- ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის ფსიქოლოგიური ასპექტები;
- მოზარდის ფსიქო-სოციალური განვითარება და ქცევითი თავისებურებები;
- მოზარდის სოციალურ გარემოსთან მუშაობის ასპექტები;
- სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა;
- ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებით გამოწვეული დამოკიდებულების სინდრომი და მისი მართვა.

ღონისძიება 7.4.2. შერჩეულ პრობაციონერთა ჯგუფისათვის არასამთავრობო ორგანიზაციის სექტორთან თანამშრომლობით სულ მცირე ერთი სარეაბილიტაციო პროგრამის შემუშავება და პილოტირება

პრობაციის ეროვნული სააგენტოს ბენეფიციარებისთვის შემუშავებულია 23 სარეაბილიტაციო მოდული. დაგეგმილია სარეაბილიტაციო პროგრამების ოპტიმიზაცია,

მოდულების გაუმჯობესება. პირობით მსჯავრდებულთა საჭიროებების გათვალისწინებით ხდება მათი სარეაბილიტაციო პროგრამებში მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველყოფა.

პირობით მსჯავრდებულთა რეაბილიტაციის პროცესში პრობაციის ეროვნული სააგენტო მემორანდუმების ფარგლებში თანამშრომლობს სხვადასხვა ორგანიზაციებთან. ეს ორგანიზაციებია:

- სსიპ სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრი;
- სრულიად საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ანტინარკოტიკული ცენტრი;
- ორგანიზაცია ,,ქალი და ბიზნესი'', რომელიც მიზნად ისახავს პატიმარ, პრობაციონერ და ყოფილმსჯავრდებულ ქალთა რეინტეგრაციის ხელშეწყობას თბილისში, კახეთსა და იმერეთში; ასევე, ორგანიზაცია სთავაზობს ქალ მსჯავრდებულებს თავშესაფრის პროგრამას თბილისში;
- „ჰეპა +“ მსჯავრდებულებს სთავაზობს ჰეპატიტებზე უფასო სკრინინგს;
- სოციალური მომსახურების სააგენტოს თანამშრომლობის მიზანია არასრულწლოვნებთან დაკავშირებული საკითხების გადაჭრა და მსჯავრდებულთათვის სოციალური შემწეობის დანიშვნა;
- ორგანიზაცია ,,ჯი სი არტი'' სთავაზობს ფსიქო-სამედიცინო მომსახურებას;
- ორგანიზაცია ,,კამარა'' სთავაზობს დამოკიდებულებების მქონე პირთა რეაბილიტაციას;
- ორგანიზაცია ,,თანადგომა''-სთან თანამშრომობა ხდება, ძირითადად, სამედიცინო მომსახურების მიღების მიზნით;
- ორგანიზაცია ,,თანხმობა''-სთან თანამშრომლობა ხდება მსჯავრდებულთა პროფესიული გადამზადების მიზნით;
- სამოქალაქო განვითარების სააგენტოსთან (სიდა) თანამშრომლობის მიზანია პროფესიული გადამზადებისა და დასაქმების შესაძლებლობების განვითარება;
- საქართველოს არბაითერ-სამარიტერ-ბუნდი ASB-სთან თანამშრომლობის მიზანია კანონთან კონფლიქტში მყოფი პირების საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა. მსჯავრდებულების, ყოფილი მსჯავრდებულების და პრობაციონერების მომზადება შრომის ბაზარზე ინტეგრაციისთვის;
- დემოკრატიის ინსტიტუტთან თანამშრომლობის მიზანია საერთო და ინდივიდუალური პრობლემებისა და საჭიროებების კვლევა. კვლევის ანალიზის საფუძველზე რეაბილიტაციის, რესოციალიზაციის, ადვოკატირების, დასაქმების ხელშეწყობის პროგრამების შემუშავება.

ღონისძიება 7.4.3. საზოგადოების მონაწილეობის გაზრდა რეგიონებში მოხალისეების ჩართულობით

პრობაციის ეროვნული სააგენტოს ბენეფიციარები ჩართულები არიან სხვადასხვა მოხალისეობრივ აქტივობებში. რეგიონებში არსებულ უფასო სასადილოებში ბენეფიციარები ეხმარებიან პერსონალს და საჭიროების შემთხვევაში სადილი ადგილზე მიაქვთ მათთან, ვისაც სასადილოში მისვლა არ შეუძლია. პრობაციონერები, როგორც მოხალისეები, ასევე ჩართულები არიან შშმ პირთა დღის ცენტრის, „კათარზისისა“ და

ხანდაზმულთა პანსიონატების დახმარების პროცესში. ბენეფიციარები პრობაციის ოფიცრებთან ერთად ხშირად მონაწილეობენ ეკლესია-მონასტრების მშენებლობასა და დასუფთავებაში, ჩართულები არიან ქალაქების გამწვანებისა და დასუფთავების აქციებში.

ღონისძიება 7.4.4. პრობაციის ოფიცრებისათვის რეაბილიტაციის საქმიანობასთან დაკავშირებული ტრენინგების დაწყება

საანგარიშო პერიოდში პრობაციის ოფიცრებმა გადამზადება სხვადასხვა სახის 7 სარეაბილიტაციო პროგრამაში გაიარეს.

პრობაციის ეროვნული სააგენტოს 190-მა მოსამსახურემ მონაწილეობა მიიღო სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის ევროკავშირის პროექტთან („პენიტენციური და პრობაციის სისტემების მხარდაჭერა“) თანამშრომლობის ფარგლებში ორგანიზებულ შემდეგ ტრენინგებში: „სარეაბილიტაციო პროგრამები და მათი მნიშვნელობა“, „შედეგების ანალიზის პედაგოგიკა“ და ,,სარეაბილიტაციო პროგრამების განვითარების მხარდაჭერა პენიტენციურ და პრობაციის სისტემებში“.

2017 წელს ევროკავშირის პენიტენციური და პრობაციის სისტემების მხარდაჭერის პროექტის ფარგლებში, სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველოს თანამშრომლებმა, კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, სამმართველოს ბაზაზე არსებული ყველა სარეაბილიტაციო პროგრამის შესახებ ჩაატარეს ტრენინგი, რომლის მონაწილეებიც იყვნენ სააგენტოს ოფიცრები, სოციალურ მუშაკები და ფსიქოლოგები.

ღონისძიება 7.4.5. სავალდებულო და ნებაყოფლობითი სარეაბილიტაციო პროგრამების ამოქმედება

სავადებულო და ნებაყოფლობით პროგრამები ხელმისაწვდომია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, 11-ვე რეგიონულ ბიუროში.

ღონისძიება 7.4.6. კვლევების დაგეგმვა სარეაბილიტაციო პროგრამების ეფექტიანობის გასაზომად (საბოლოო შედეგების გაზომვა)

ევროკავშირის პენიტენციური და პრობაციის სისტემების მხარდაჭერის პროექტის ფარგლებში და, ასევე, ამერიკის საელჩოს INL-ის ექსპერტების დახმარებით, მიმდინარეობს არსებული მექანიზმის შექმნა/გაუმჯობესება.

მიზანი 7.5. უწყებათა შორის კოორდინაციის უზრუნველყოფა და პრობაციის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის გაუმჯობესება

2017 წელს პრობაციის ეროვნულმა სააგენტომ სასამართლოს მიერ პირობით მსჯავრდებულთათვის გადასაცემი ინფორმაციული ხასიათის ბუკლეტები დაბეჭდა.

ასევე, დაიბეჭდა პოსტერები შინაპატიმრობისა და საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის შესახებ: 30 ეგზემპლარი რუსულ ენაზე და 60-60 ეგზემპლარი აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე.

ღონისძიება 7.5.1. უწყებათაშორის კოორდინაციის გაუმჯობესებისთვის რეფორმის სტრატეგიის იმპლემენტაციისთვის შექმნილ შესაბამის სამუშაო ჯგუფებთან თანამშრომლობა და შეხვედრებში მონაწილეობა

2017 წელს სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში, ჩატარდა პრობაციის სამუშაო ჯგუფის შეხვედრები; გარდა ამისა პრობაციის ეროვნული სააგენტო მონაწილეობას იღებდა სხვადასხვა უწყებების სამუშაო ჯგუფების შეხვედრებში.

სააგენტო ასევე ჩართული იყო:

- ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სამუშაო ჯგუფში;
- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმაზე მომუშავე სამუშაო ჯგუფში;
- დანაშაულის პრევენციის სტრატეგიის შემუშავებაზე მომუშავე ჯგუფში;
- არასრულწლოვანთა დელიქვენტობის კვლევის მეთოდოლოგიის შემუშავებაზე მომუშავე ჯგუფში;
- სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში რეაბილიტაცია რესოციალიზაციის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებაზე მომუშავე ჯგუფში;
- რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის სტრატეგიაზე მომუშავე სამუშაო ჯგუფში;
- ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა დასაცავადგასატარებელ ღონისძიებათა გეგმის შედგენის სამუშაო ჯგუფში.

ღონისძიება 7.5.2. ყოველწლიურად რეგულარული მრგვალი მაგიდების მოწყობა რეგიონულ და სახელმწიფო დონეებზე პარტნიორების მონაწილეობით

2017 წელს რეგულარულად ტარდებოდა პრობაციის რეგიონული ბიუროების თანამშრომელთა და ხელმძღვანელთა შეხვედრები, რომელზეც განიხილებოდა პრობაციის ეროვნული სააგენტოს განვითარების სხვადასხვა ასპექტი.

2017 წელს, პრობაციის ეროვნული სააგენტოს ორგანიზებით, გაიმართა შეხვედრა ერთგვაროვანი სამუშაო პრაქტიკის დასანერგად. მასში მონაწილეობდნენ სააგენტოს ბიუროების და სამმართველოების ხელმძღვანელები. სამუშაო შეხვედრაზე მოხდა პრობაციის სისტემაში განხორციელებული და დაგეგმილი საკანონმდებლო ცვლილებების, აგრეთვე სარეაბილიტაციო სფეროში დანერგილი ახალი სტანდარტების გაცნობა და ანალიზი. შეხვედრის მონაწილეებს დამატებით მიეწოდათ დეტალური ინფორმაცია არასრულწლოვანთა შინაპატიმრობის აღსრულების ერთწლიანი გამოცდილების შესახებ და რეკომენდაციები სრულწლოვანი ბრალდებულების მიმართ შინაპატიმრობის აღსრულებასთან დაკავშირებით.

პრობაციის ეროვნული სააგენტო ასევე ზრუნავს რეგიონში მეზობელი სახელმწიფოების შესაბამის სტრუქტურებთან თანამშრომლობის განმტკიცებაზე. საქართველოს პრობაციის სისტემაში განხორციელებული რეფორმების გაცნობის მიზნით, 2017 წელს პრობაციის

ეროვნულ სააგენტოს ეწვივნენ აზერბაიჯანის, ინდონეზიის და ბელარუსის რესპუბლიკის სახელმწიფო უწყებათა დელეგაციები . ამავე მიზნით საქართველოში სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდნენ პრობაციის ევროპული კონფედერაციის (CEP) პრეზიდენტი და გენერალურიმ დივანი, ასევე „აღმოსავლეთ ევროპის პრობაციის სერვისების განვითარების ასოციაციის“ (VEBO)-ს წარმომადგენლები.

ღონისძიება 7.5.3. საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების კამპანიის ინიცირება – მუდმივად განახლებული ინფორმაციის მედიისთვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

საანგარიშო წლის განმავლობაში სააგენტო ახორციელებდა სხვადასხვა სახის PR აქციებს.

2017 წელს პრობაციის ეროვნულმა სააგენტომ „ციხის საერთაშორისო რეფორმისა“ და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ხელშეწყობით დაბეჭდა სასამართლოს მიერ პირობით მსჯავრდებულთათვის გადასაცემი ინფორმაციული ხასიათის ბუკლეტები. ასევე, დაიბეჭდა პოსტერები შინაპატიმრობისა და საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის შესახებ.

მუდმივად ხდება პრობაციის ეროვნული სააგენტოს ოფიციალური ვებ-გვერდის განახლება. სიახლეების შესახებ რეგულარულად მიეწოდებათ ინფორმაცია სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებს. რეგიონებში პერმანენტულად ეწყობა საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები.

8. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმა

მიზანი 8.1. კანონმდებლობის დახვეწა

ღონისძიება 8.1.1. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიღება

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი მიღებულია და ამოქმედდა 2016 წლის 1 იანვარს.

ღონისძიება 8.1.2. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის იმპლემენტაცია

სისხლის სამართლის რეფორმის საკოორდინაციო საბჭოს სამდივნოსთან კოორდინირებული მუშაობის შედეგად საანგარიშო პერიოდში შემუშავდა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ნორმების შესაბამისად და ამოქმედდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსთან ერთად, 2016 წლის 1 იანვრიდან.

2017 წელს, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ შემუშავებულ იქნა საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, რომლითაც სხვადასხვა სახის ცვლილებები განხორციელდა 19 საკანონმდებლო აქტში. აღნიშნული საკანონმდებლო პაკეტი 2017 წლის 1 ივნისს სამი მოსმენით მიიღო საქართველოს პარლამენტმა და მათი ნაწილი 2017 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედდა, ხოლო ნაწილი ამოქმედდება 2018 წლის 1 იანვრიდან, რისთვისაც სამინისტრო მოცემულ დრომდე ინტენსიურად მუშაობს და თანამშრომლობს სხვადასხვა უწყებებთან, რათა დროულად და ეფექტურად განხორციელდეს დარჩენილ ცვლილებათა იმპლემენტაცია.

ზემოაღნიშნული ცვლილებები შეეხო არასრუწლოვან მსჯავრდებულებსაც, რითაც ხელი შეეწყო მათი უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას და რესოციალიზაციას, კერძოდ, არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში მოთავსებულ მსჯავრდებულს მიენიჭა უფლება, ისარგებლოს აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე (ბაკალავრიატი) განათლების მიღების უფლებით. ამასთან, აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე (ბაკალავრიატი) განათლების მიღების წესი და პირობები და შესაბამისი სპეციალობათა ჩამონათვალი განისაზღვრება საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ერთობლივი ბრძანებით. აღნიშნული ბრძანება ამოქმედდება 2018 წლის 1 იანვრიდან, რისთვისაც უკვე შემუშავებულია შესაბამისი ნორმატიული აქტის პროექტი და სამინისტროები ატიურად თანამშრომლობენ მისი საბოლოო ვერსიის შეთანხმების მიზნით.

გარდა ზემოხსენებულისა, სამინისტრო აქტიურადაა ჩართული სისხლის სამართლის რეფორმის საკოორდინაციო საბჭოს სამდივნოსა და გაეროს ბავშვთა ფონდის ინიციატივითა და მხარდაჭერით შექმნილი მულტიდისციპლინური გუნდის საქმიანობაში, რომელიც მუშაობს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებზე. შეხვედრების ფარგლებში, სამინისტრო ახორციელებს არსებული კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზს, რის საფუძველზეც შეიმუშავებს შესაბამის წინადადებებს.

2017 წელს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზაცია გაიარა პენიტენციური და პრობაციის სისტემის 43-მა მოსამსახურემ.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის პრაქტიკაში იმპლემენტაციის მიზნით, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ სამუშაოები სამი მიმართულებით წარმართა: ა) სამუშაო შეხვედრები გაიმართა სასამართლოს, პროკურატურის, იურიდიული დახმარების სამსახურის, სოციალური მომსახურების სააგენტოს, პრობაციის სამსახურის და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციის (UNICEF) მონაწილეობით; სამუშაო შეხვედრების მიზანს წარმოადგენდა პრაქტიკაში არსებული ხარვეზების თაობაზე ინფორმაციის გაზიარება უწყებებს შორის. მომზადდა ანგარიში, რომელიც შეიცავს რეკომენდაციებს საკანონმდებლო ცვლილებების და კანონის უკეთ იმპლემენტაციის მიზნით პროცესის მონაწილე უწყებების შეთანხებულ პოზიციებს; ბ) უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის განზოგადების განყოფილებამ მოამზადა სასამართლო საქმეების პრაქტიკის განზოგადება სისხლის სამართლის საქმეებზე, სადაც არასრულწლოვანი მონაწილეობდა; გ) მომზადდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა თემატური საძიებელი, რომელიც მოიცავს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს ბავშვის საუკეთესო ინტერესის დაცვის საკითხებზე 2014-2016 წლის პრაქტიკაზე ქართულ ენაზე თარგმნილ გადაწყვეტილებებს (მოკლე ანოტაცია).

კოდექსის პრაქტიკაში იმპლემენტაციისთვის, 2015-2016 წლებში 212-მა მოსამართლემ გაიარა სერთიფიცირებული ტრენინგ-კურსი, რომელიც საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით, გაეროს ბავშვთა ფონდისა (UNICEF) და ევროკავშირის პროექტის "სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მხარდაჭერა საქართველოში" დახმარებით განხორციელდა.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მიზნით, შსს აკადამიის და იუსტიციის თანამშრომლობით შემუშავდა სპეციალური კურსი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებზე. აღნიშნული კურსის სწავლებას, საკუთარი ბიუჯეტით, უზრუნველყოფს შსს აკადემია, რომელიც ითვალისწინებს კურსის დასრულების შემდგომ პოლიციელთა ტესტირებას. ტესტირების წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში, ხდება სამართალდამცავის შესაბამისი სერთიფიცირება.

არასრუწლოვანთა კოდექსის იმპლემენტაციის მიზნით ყველა პროკურორმა გაიარა შესაბამისი ტრენინგი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში. პრაქტიკაში წამოჭრილი პრობლემების პარალელურად, ხდება რეკომენდაციების მომზადება და პროკურორებისთვის მიწოდება. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ეფექტური განხორციელების მიზნით, გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდჭერით, ყველა რეგიონში გაიმართა მულტიდისციპლინური შეხვედრები სპეციალიზებული პროკურორების, მოსამართლეების, ადვოკატების, სოციალური მუშაკებისა და მედიატორების მონაწილეობით. აღნიშნულ შეხვედრებზე იდენტიფიცირებულ იქნა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის იმპლემენტაციისას გამოკვეთილი საკანონმდებლო და პრაქტიკული პრობლემები, რის საფუძველზეც საკანონმდებლო ნორმების ერთგვაროვანი გაგებისა და პრაქტიკაში არსებული პრობლემების გადაჭრის მიზნით შემუშავებული იქნა დამატებითი რეკომენდაციები. არასრულწლოვანთა

მართლმსაჯულების კოდექსის ეფექტური იმპლემენტაციის მიზნით ხორციელდება არასრულწოვანთა სისხლის სამართლის საქმეთა მუდმივი მონიტორინგი.

საქართველოს პროკურატურა მუდმივ რეჟიმში ახორციელებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროგრამის მონიტორინგს წინასწარ დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით (შემუშავებულია მონიტორინგის განხორციელების ცხრილები, შესაბამისი პარამეტრებით) და ყოველ 6 თვეში ერთხელ ამზადებს მონიტორინგის ანგარიშებს განრიდების პროგრამისა და დევნადაწყებული არასრულწლოვნების შესახებ. აღნიშნულ დოკუმენტებში მოცემულია როგორც სტატისტიკური მონაცემების ანალიზი, ასევე პრაქტიკის ანალიზი და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში არსებული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი. შემუშავებული დოკუმენტების გაცნობა ხდება პროკურორებისთვის მათთან შეხვედრების გზით.

მონიტორინგის შედეგად, 2017 წელს იდენტიფიცირდა საკითხები, რომლებიც საჭიროებს კანონში ცვლილებას. აღნიშნული საკითხების მიწოდება და განხილვა მოხდა იუსტიციის სამინისტროში არსებულ არასრულწლოვანთა მულტიდისციპლინური ჯგუფის შეხვედრებზე.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის და „იურიდიული დახმარების შესახებ“ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურში ფუნქციონირებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული ადვოკატების მუდმივმოქმედი ჯგუფი, რომელშიც შედიან როგორც იურიდიული დახმარების ბიუროებში მომუშავე, ისე მოწვეულ საზოგადოებრივ რეესტრში რეგისტრირებული ადვოკატები.

გაეროს ბავშვთა ფონდისა (UNICEF) და ევროკავშირის ერთობლივი პროექტის „საქართველოში ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების სისტემის განვითარების“ ფარგლებში შექმნილმა პოლიტიკის საკითხებზე მომუშავე მულტიდისციპლინურმა ჯგუფმა, რომელიც მართლმსაჯულების სისტემის, მათ შორის იურიდიული დახმარების სამსახურის, წარმომადგენლებითაა დაკომპლექტებული და მეთვალყურეობას უწევს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის განხორციელებას, 2017 წლის მარტსა და დეკემბერში, შეხვედრები მოაწყო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის იმპლემენტაციის პროცესში შესაბამისი უწყებების მიერ გამოვლენილი სირთულეების განხილვის მიზნით.

სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრის 17-მა მედიატორმა გაიარა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზაცია.

კოდექსის იმპლემენტაცია პრაქტიკაში მულტიდისციპლინარული შეხვედრებითა და სასამართლო გადაწყვეტილებების მონიტორინგით მიმდინარეობს. მომზადებული ანგარიშების მიხედვით, სასამართლო პრაქტიკის განზოგადების შედეგად, სამეცნიერო-საკონტსულაციო საბჭოს ფორმატში მიმდინარეობს მსჯელობა საკანონმდებლო ცვლილებებზე იუსტიციის სამინისტროსთან და პარლამენტთან მჭიდრო

თანამშრომლობის ფარგლებში. მულტიდისციპლინარულ შეხვედრებს მხარს უჭერდა გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF).

შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის მომზადების და გადამზადების კურსების სასწავლო კურიკულუმში ინტეგრირებულია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ნორმები და შესაბამისი ნორმატიული აქტები.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მიზნით, შსს აკადამია, საკუთარი ბიუჯეტით, უზრუნველყოფს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებზე სპეციალური კურსით გამომძიებლების გადამზადებას. 7-დღიანი სასწავლო კურსი ითვალისწინებს მისი დასრულების შემდგომ პოლიციელთა ტესტირებას. ტესტირების წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში ხდება სამართალდამცავის შესაბამისი სერთიფიცირება.

მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობაში არასრულწლოვანთა ხვედრითი წილი 2011 წლის 4%-დან შემცირდა 2016 წლის 0,9%-მდე (2015 წელს - 2%). შეიცვალა სასამართლოების მიერ მსჯავრდებული არასრულწლოვნების მიმართ გამოყენებული სასჯელები: თუ თავისუფლების აღკვეთა 2015 წელს 87 არასრულწლოვანის მიმართ იყო გამოყენებული, 2016 წელს - მხოლოდ 43 ბავშვის მიმართ გამოიყენა სასამართლომ თავისუფლების აღკვეთა განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულის შემთხვევაში. მნიშვნელოვანია, რომ 14-დან 16 წლამდე ასაკის არასრულწლოვნისთვის დანიშნული თავისუფლების აღკვეთის საბოლოო სასჯელის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 10 წელს, ხოლო 16-დან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვნის შემთხვევაში 12 წელს. სასამართლოში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ასევე არასრულწლოვანთა განრიდების საკითხსაც: 2016 წელს განრიდების გამოსაყენებლად 14-დან 21 წლამდე ასაკის 105 არასრულწლოვანის საქმე დაბრუნდა პროკურატურაში (მათ შორის 32 ბავშვი იყო 14-17 წლის). რაც ნიშნავს, რომ ბავშვთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, არასრულწლოვნის რეაბილიტაციის პროგრამებზე მეტი ყურადღება გამახვილდა.

2017 წლის 19 დეკემბერს, საქართველოს პროკურატურის ინიციატივით, არასრულწლოვანთა ადგილობრივი მულტიდისციპლინური ჯგუფების კონცეფციის პრეზენტაცია გაიმართა. საქართველოს პროკურატურის ინიციატივით შეიქმნა 8 მულტიდისციპლინური ჯგუფი: თბილისში, კახეთში, შიდა ქართლში, ქვემო ქართლში, სამცხე-ჯავახეთში, იმერეთში, სამეგრელო-ზემო სვანეთსა და აჭარაში.

თითოეულ ჯგუფში წარმოდგენილია ყველა იმ უწყების წარმომადგენელი, რომლებსაც არასრულწლოვნებთან სხვადასხვა ეტაპზე აქვთ შეხება, მათ შორის არიან სასამართლოს, პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, იურიდიული დახმარების სამსახურის, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს, იუსტიციის სამინისტროსა და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენლები.

ამგვარი ჯგუფების შექმნა ადგილობრივ ორგანოებს შორის კოორდინაციის გაძლიერებას, რეგიონალურ დონეზე არსებული პრობლემების ადრეულ ეტაპზე იდენტიფიცირებასა და მათ დროულ მოგვარებას ისახავს მიზნად.

2017 წელს ჩატარდა რვავე ჯგუფის შეხვედრა: 4 ჯგუფის (თბილისის, კახეთის, ქვემო ქართლისა და შიდა ქართლის ჯგუფების) შეხვედრა თბილისში ჩატარდა, ხოლო 4 ჯგუფის (იმერეთის, აჭარის, სამეგრელო-ზემო სვანეთისა და სამცხე-ჯავახეთის) შეხვედრა - წყალტუბოში. ჯგუფებმა განიხილეს არასრულწლოვანთა სფეროში არსებული პრობლემები, ხარვეზები, გამოწვევები. ადგილობრივი მულტიდისციპლინური ჯგუფები აქტიურ მუშაობას 2018 წლიდან დაიწყებენ.

2017 წლის 19 ოქტომბერს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს სხდომა გაიმართა თემაზე ,,სასჯელის დასაბუთების პრაქტიკა არასრულწლოვანთა საქმეებზე.“ შეხვედრის მიზანი იყო პროფესიული დისკუსიის წარმართვა მოსამართლეებსა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს სოციალურ მუშაკებს შორის სასჯელის დანიშვნისას ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადებისა და სასჯელის დასაბუთების არსებულ პრაქტიკასთან დაკავშირებით, ასევე, ამ საკითხებზე ევროპული სტანდარტების გაცნობა.

2017 წელს, 11 თვის განმავლობაში მსჯავრი დაედო 176 არასრულწლოვანს, რაც სულ მსჯავრდებულთა 1,3%-ს შეადგენს (2016 წლის 11 თვეში - 0,9%). გასულ წელთან შედარებით მნიშვნელოვნად შეცვლილია სასამართლოების მიერ მსჯავრდებული არასრულწლოვნების მიმართ გამოყენებული სასჯელები.

შემცირდა: თავისუფლების აღკვეთის ხვედრითი წილი 2016 წლის 11 თვის 32,6%-დან 2017 წლის 25%-მდე, პირობითი მსჯავრის ხვედრითი წილი - 2016 წლის 11 თვის 52,3%-დან 2017 წლის 44,9%-მდე, ჯარიმის ხვედრითი წილი - 4,5%-დან 2,8%-მდე.

გაიზარდა: შინაპატიმრობის ხვედრითი წილი 2016 წლის 11 თვის 6,1%-დან 2017 წლის 20,5%-მდე, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის ხვედრითი წილი 2016 წლის 11 თვის 3,8%-დან 2017 წლის 6,8%-მდე.

ღონისძიება 8.1.3. არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით სამოქალაქო კანონმდებლობის რეფორმის კონცეფციის შემუშავება

2017 წლის ფარგლებში, აღნიშნული მიმართულებით ცვლილებები არ მომხდარა.

ღონისძიება 8.1.4. კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანთათვის მომსახურების მიწოდების სტანდარტების დამტკიცება

2014 წლის 8 ივლისს, სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს რიგით მე-12 სხდომაზე დამტკიცდა ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო მომსახურების მიმწოდებელთა სტანდარტები კანონთან კონფლიქტში მყოფი და დევიაციური ქცევსი მქონე მოზარდებისთვის. დანაშაულის პრევენციის ცენტრი გეგმავს აღნიშნული სტანდარტების არარულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის

სამუშაო ჯგუფის ფარგლებში განხილვას, რეკომენდაციების მომზადებას და საჭიროებისამებრ ცვლილებების შეტანას.

ღონისძიება 8.1.5. პატიმრობის კოდექსში საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტებში ცვლილებების შეტანა

2016 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, რომელმაც დაარეგულირა „პატიმრობის კოდექსით“ გათვალისწინებული საკითხები. შესაბამის საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში განხორციელებული ცვლილებები ძალაში შევიდა, როგორც უკვე აღინიშნა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსთან ერთად. მიმდინარე წელს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ შეიმუშავა საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, რომლითაც სხვადასხვა სახის ცვლილებები განხორციელდა 19 საკანონმდებლო აქტში. აღნიშნული საკანონმდებლო პაკეტი 2017 წლის 1 ივნისს სამი მოსმენით მიიღო საქართველოს პარლამენტმა. მათი ნაწილი 2017 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედდა, ხოლო ნაწილი ამოქმედდება 2018 წლის 1 იანვრიდან. აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებებიდან გამომდინარე ნორმები ასახულია „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს №11 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს №148 ბრძანებაში, ასევე, სხვა სახის საკანონმდებლო აქტებში. მომავალში დამატებითი ცვლილებების შემუშავების საჭიროების შემთხვევაში, სამინისტრო მიიღებს შესაბამის ზომებს.

ღონისძიება 8.1.6. ბავშვთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმის აკრძალვასთან დაკავშირებული კანონმდებლობის დახვეწა საჭიროებისამებრ

შსს წარმომადგენლები ჩართულნი იყვნენ/არიან მულტიდისციპლინული ჯგუფის მუშაობაში, რომელმაც შეიმუშავა ცვლილებები ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის პროცედურების დოკუმენტი. ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის N437 დადგენილების საფუძველზე, შინაგან საქმეთა სამინისტრომ მოამზადა ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი თანამშრომლებისთვის.

რეფერალი არეგულირებს ბავშვის მიმართ ძალადობრივ ქმედებებზე, მათ შორის აღზრდის მიზნით, ბავშვზე განხორციელებულ ძალადობაზე რეაგირების კომპეტენციებს. პარალელურად, მომზადდა შესაბამის ნორმატიულ აქტებში ცვლილებების კანონპროექტები.

ღონისძიება 8.1.7. მართლმსაჯულების სისტემაში მოხვედრილ არასრულწლოვნებთან მომუშავე პროფესიონალების ქცევის მარეგულირებელი ნორმების, ეთიკის ნორმებისა და სახელმძღვანელო პრინციპების გადასინჯვა

პრობაციის ეროვნული სააგენტოს სპეციალისტებისთვის (პრობაციის ოფიცერი, სოციალური მუშაკი და ფსიქოლოგი) პროფესიული ეთიკის სტრანდარტები შემუშავებული და დამტკიცებულია.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ამოქმედებასთან ერთად, სრულიად შეიცვალა სამართალწარმოების წესები და სისხლის სამართლის პროცესი მიმდინარეობს სპეციალიზებული მოსამართლის, პროკურორის, იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატის, სოციალური მუშაკისა და ფსიქოლოგის ჩართულობით.

გადაიხედა პროკურატურის მიერ შემუშავებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სახელმძღვანელო, რომელშიც გაწერილია არასრულწლოვანთან მუშაობის თავისებურებები. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სახელმძღვანელოში მოცემულია არასრულწლოვანთან მომუშავე პროფესიონალის ქცევის მარეგულირებელი ნორმები, რომლებიც უზრუნველყოფს არასრულწლოვნის ჭეშმარიტი ინტერესის გათვალისწინებას საქმის წარმოების ყველა ეტაპზე.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის მიერ დამტკიცებულია 2015 წლის 19 ოქტომბრის №144 ბრძანება „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეთა დისციპლინური წესდებისა და ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ“.

საქართველოს მთავარი პროკურორის 2017 წლის 31 იანვრის ბრძანებით დამტკიცდა რაიონული და საოლქო პროკურატურის პროკურორთა შეფასების კრიტერიუმები.

პროკურორთა შეფასების კრიტერიუმების საფუძველზე, ხორციელდება პროკურორთა შეფასება როგორც საპროცესო ხელმძღვანელობისა და სასამართლოში სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის ხარისხით, ასევე საპროცესო დოკუმენტების დასაბუთებულობის, სისხლის სამართლის საქმისწარმოების ელექტრონულ პროგრამაში პროკურორის მუშაობის, დისციპლინისა და ეთიკის ნორმების დაცვის, ტრენინგებზე მიღწეული შედეგებისა და სხვა აქტივობების მიხედვით. აღნიშნული სისტემა მინიმუმამდე დაიყვანს პროკურორთა სუბიექტური შეფასების რისკებს, აამაღლებს პროკურორების მოტივაციას, უზრუნველყოფს პროკურორის მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხის გაუმჯობესებას და გაზრდის თითოეული პროკურორის დამოუკიდებლობას. მიუხედავად იმისა, რომ შეფასების სისტემა ეხება არასრულწლოვანთა სპეციალიზებულ პროკურორებსაც, საქართველოს პროკურატურამ დაიწყო მუშაობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პოლიტიკის დოკუმენტზე, რომელშიც გაწერილი იქნება არასრულწლოვანთა სპეციალიზებული პროკურორების შერჩევის, მათი მონიტორინგისა და შეფასების სპეციფიკური კრიტერიუმები, რომელიც უფრო იქნება მორგებული არასრულწლოვანთა სპეციალიზებულ პროკურორებზე.

შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის მომზადების და გადამზადების კურსების სასწავლო კურიკულუმში ინტეგრირებულია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ნორმები და შესაბამისი ნორმატიული აქტები.

ღონისძიება 8.1.8. დაზარალებულ და მოწმე ბავშვთა დაკითხვის მეთოდოლოგიის შემუშავება

დაზარალებულ და მოწმე არასრულწლოვანთა დაკითხვის მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით მომზადებულია სახელმძღვანელო, რომლითაც ხელმძღვანელობენ პროკურორები.

UNICEF რეკომენდაციების საფუძველზე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის განმახორციელებელ სპეციალიზებულ პოლიციელთა და გამომძიებელთა მომზადების პროგრამაში, შსს აკადემიის მიერ შემუშავდა საგანი - არასრულწლოვანი მოწმისა და დაზარებულის დაკითხვის ფსიქოლოგიური ასპექტები, რომელიც მოიცავს:

- არასრულწლოვანი მოწმისა და დაზარალებულის გამოკითხვის/დაკითხვის მეთოდიკას - დაკითხვის პროტოკოლი (NICHD – პროტოკოლი) - პროტოკოლის არსი და პრაქტიკაში გამოყენების შეფასება;
- გარემოს მოწყობის პრინციპებს არასრულწლოვანი მოწმისა და დაზარებულის გამოკითხვის/დაკითხვის პროცესში;
- დროისა და ხანგრძლივობის განსაზღვრას არასრულწლოვანი მოწმისა და დაზარალებულის ასაკობრივი განვითარების, განცდილი ტრავმისა და სიტუაციური ფაქტორების გათვალისწინებით;
- ბავშვის შთაგონებას გამოკითხვის/დაკითხვის პროცესში - შთაგონების არსი, მისი ზეგავლენა ბავშვის მიერ ჩვენების ფორმირებაზე და გამომძიებლის მიერ გამოსაყენებელი ინსტრუქციები შთაგონებასთან გამკლავების მიზნით;
- შეკითხვის ტიპებს - შეკითხის ტიპების მიმოხილვა და მათი მნიშვნელობა ბავშვისაგან ობიექტური ინფორმაციის მიღების პროცესში. ბავშვის გამოკითხვის/დაკითხვის დროს რეკომენდირებული და არარეკომენდირებული შეკითხვის ფორმები;
- აქტიურ მოსმენას - აქტიური მოსმენის არსი და ტექნიკები. აქტიური მოსმენის მნიშვნელობა არასრულწლოვანთან კომუნიკაციის პროცესში.

შსს აკადემიის მიერ შემუშავებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კურსი, მოიცავს არასრულწლოვანთა გამოკითხვა/დაკითხვის კომპონენტს.

პროკურატურის მიერ შემუშავებულ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სახელმძღვანელოში გაიწერა ბავშვისადმი კეთილგანწყობილი დაკითხვის პროცედურა NICHD პროტოკოლის შესაბამისად. განისაზღვრა მცირეწლოვან და არასრულწლოვან პირთა დაკითხვის სტრუქტურა NICHD პროტოკოლის ფაზების შესაბამისად, რაც გულისხმობს არასრულოვანთან ეფექტური კომუნიკაციის, მისგან საჭირო ინფორმაციის მიღებისა და არასრულწლოვნის მეორეული ვიქტიმიზაციის თავიდან აცილებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და გამოყენებას არასრულწლოვნის დაკითხვის პროცესში. შემუშავდა ასევე არასრულწლოვნის დაკითხვის მეთოდოლოგია (პროცედურები), რომელშიც გაწერილია არასრულწლოვნის გამოკითხვაზე გამოძახების,

გამოკითხვისთვის დამსწრე პირების მოწვევის, ადვოკატის, მშობლის, ფსიქოლოგის მოწვევის პროცედურები.

ღონისძიება 8.1.9. ბავშვზე ორიენტირებული გარემოს შექმნის კონცეფციის შემუშავება

2016 წლის 1 იანვრიდან, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ძალაში შესვლასთან ერთად დაინერგა თანამედროვე ინფრასტრუქტურული მოწყობის პროექტები. თბილისის საქალაქო სასამართლოში მოეწყო სამი საკანი არასრულწლოვან ბრალდებულთა და ადმინისტრაციულ გადაცდომათა ჩამდენთათვის განსათავსებლად. საკნები საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად აღჭურვილია სველი წერტილებით, ვიდეო-სამეთვალყურეო და თანამედროვე კონდიცირების სისტემებით.

სამოქალაქო საქმეებზე ბავშვთა სასამართლო ხელმისაწვდომობის უფლების უზრუნველსაყოფად, საოჯახო-სამართლებივი დავების განმხილველი მოსამართლეები, ბავშვზე მორგებულ გარემოში, საქალაქო სასამართლოს ბაზაზე არსებულ ცალკე შენობაში განთავსდნენ. გამოვიყენეთ ბულაჩაურის ქუჩაზე არსებული იუსტიციის უმაღლესი სკოლის ყოფილი შენობა, რომელიც მოეწყო და აღიჭურვა სამოქალაქო საქმეთა კოლეგიისათვის განკუთვნილი 3 (სამი) სხდომის დარბაზით, 5 (ხუთი) მაგისტრატი მოსამართლის სამუშაო ოთახით და არასრულწლოვნებთან შეხვედრების სპეციალური ოთახით.

საოჯახო-სამართლებრივი დავების განხილვისას მოსამართლე, სოციალური მუშაკი და ფსიქოლოგი არასრულწლოვანთან გასაუბრებას ბავშვზე ადაპტირებულ გარემოში წარმართავენ, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. საერთაშორისო სტანდარტებთან ადაპტირებულია გარემო უზენაეს სასამართლოში საკასაციო საჩივრის განხილვისათვის არასრულწლოვანთა საქმეებზე.

საანგარიშო პერიოდში, შსს-ს მონაწილეობდა გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ (UNICEF) ბავშვზე ორიენტირებული გარემოს შექმნის კონცეფციის შემუშავებაზე. 2018 წელს იგეგმება საპილოტე ქალაქის პოლიციის განყოფილებაში აღნიშნული კონცეფციის მიხედვით ინფრასტრუქტურული და პროფესიული გარემოს ცვლილება.

ბავშვზე ორიენტირებული გარემოს შექმნის მიზნით, საქართველოს პროკურატურა აქტიურად თანამშრომლობს გაეროს ბავშვთა ფონდთან. ამჟამად არსებული გარემოს შესწავლის მიზნით, საქართველოს პროკურატურაში იმყოფებოდა საერთაშორისო ექსპერტი, რომელმაც მოამზადა კონცეფცია ბავშვზე ორიენტირებული გარემოს შესახებ. კონცეფციაში მოცემულია პროკურატურის ოფისებში არსებული გარემოს ანალიზი და რეკომენდაციები. შემუშავებული კონცეფციის საფუძველზე, შესაბამისი ოთახის მოსაწყობად, ამჟამად მიმდინარეობს ადგილის შერჩევა.

მიზანი 8.2. დანაშაულის/სამართალდარღვევის და ძალადობის პრევენცია

ღონისძიება 8.2.1. არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სამოქმედო გეგმის დამტკიცება

საპილოტე კვლევა არასრულწლოვანთა კანონსაწინააღმდეგო ქცევის ხელშემწყობი ფაქტორების შესახებ დასრულდა 2015 წლის დეკემბრის თვეში, ამიტომ სამოქმედო გეგმაზე მუშაობა განახლდა 24 დეკემბერს. 2017 წელს განახლდა არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგია და შეიქმნა სამოქმედო გეგმა. ჯერჯერობით არ მომხდარა დოკუმენტების დამტკიცება.

ღონისძიება 8.2.2. არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის საკოორდინაციო მექანიზმის (რეფერალური მექანიზმის) განვითარება

საანგარიშო პერიოდში დამატებითი ღონისძიებები არ განხორციელებულა.

ღონისძიება 8.2.3. პრევენციული პროგრამების ეფექტიანობის შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავება

სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრში მოქმედი პრევენციული პროგრამების ეფექტიანობა კონკრეტული პროგრამების შეფასების ინსტრუმენტებით იზომება.

სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრის დანაშაულის მეორე დონის პრევენციის სამმართველოში მოქმედი პრევენციული პროგრამების ეფექტიანობის გაზომვა ვერ ხორციელდება, რადგან არ არის შექმნილი შესაბამისი შეფასების მექანიზმი.

ღონისძიება 8.2.4. დანაშაულის/სამართალდარღვევის პრევენციისა და სკოლებში უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით მანდატურის სამსახურის როლის გაძლიერება; უსაფრთხო სკოლის პროგრამის განვითარება

2017 წლის ფარგლებში, აღნიშნული მიმართულებით ცვლილებები არ მომხდარა.

ღონისძიება 8.2.5. ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების და საკოორდინაციო მექანიზმის დახვეწა

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში, 2014 წლის დეკემბრიდან ფუნქციონირებს ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვების საკითხზე შექმნილი სამუშაო ჯგუფი. ჯგუფში შსს წარმომადგენლების გარდა, მოწვეულნი არიან როგორც სახელმწიფო უწყებები, ისე სახალხო დამცველის წარმომადგენელი და შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციები. სამუშაო შეხვედრების შედეგად, უკვე შემუშავდა საკანონმდებლო პაკეტი, რომელიც ითვალისწინებს ბავშვთა უფლებების დაცვის მიზნით არსებული ნორმატიული ბაზის დახვეწას. ამავე სამუშაო ჯგუფის მუშაობის შედეგად გამოიკვეთა ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის პროცედურების (რეფერირების წესის) ნაკლებ ეფექტურობა. შესაბამისად, სამუშაო ჯგუფი ამჟამად მუშაობს აღნიშნული დოკუმენტის განახლებაზე. სამუშაო ვერსია გაიგზავნა უწყებებში კომენტარებისთვის.

2016 წელს, შსს მონაწილეობით, მულტიდისციპლინული ჯგუფის მიერ, შემუშავდა და მთავრობის დადგენილებით დამტკიცდა ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის რეფერალი, რომელიც არეგულირებს ბავშვის მიმართ ძალადობრივ ქმედებებზე, მათ შორის აღზრდის

მიზნით, ძალადობაზე რეაგირების კომპეტენციებს და კოორდინაციის მექანიზმს. შსს მონაწილეობს მულტიდისციპლინურ ჯგუფებში, რომლებიც მუშობენ ბავშვის მიმართ ძალადობრივი გარემოს აღმოფხვრაზე და დანაშაულის პრევენციაზე.

2016 წლის 12 სექტემბერს, მთავრობის N437 დადგენილებით დამტკიცდა ,,ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურები; სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტომ დადგენილების საფუძველზე, შეიმუშავა და დაამტკიცა სამოქმედო ინსტრუქცია, რომელიც განსაზღვრავს ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) მეურვეობა-მზრუნველობისა და სოციალური პროგრამების დეპარტამენტის ბავშვთა და ოჯახში ძალადობის ადმინისტრირების სამმართველოს, სააგენტოს ტერიტორიული ერთეულების, სოციალური მუშაკების კომპეტენციას და ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში მონაწილე სხვა სუბიექტებთან მათი კოორდინირებული ურთიერთობების ღონისძიებებს.

სკოლაში ძალადობის/სავარაუდო ძალადობის ფაქტის გამოვლენა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში მსხვერპლის/სავარაუდო მსხვერპლის გადამისამართება ხორციელდება საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის N437 დადგენილებით განსაზღვრული წესით. საჯარო სკოლების მიერ დამტკიცებულია ძალადობასთან დაკავშირებული შიდა წესები, რომლის თანახმადაც ძალადობის/სავარაუდო ძალადობის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ ხდება სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში მსხვერპლის/სავარაუდო მსხვერპლის გადამისამართება. რეფერირების პროცედურაზე პასუხისმგებელ სუბიექტს წარმოადგენს მანდატური, ხოლო იმ სკოლებში, სადაც მანდატურები არ არიან წარმოდგენილები - დირექტორი ან დირექტორის მოადგილე.

2016-2017 წლებში სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენლებმა (სოციალურმა მუშაკებმა) საპროცესო წარმომადგენლობა გაუწიეს 55 000 არასრულწლოვანს.

აგრეთვე, სოციალური მომსახურების სააგენტომ შეიმუშავა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში სოციალური მომსახურების სააგენტოს სამოქმედო ინსტრუქცია, რომელიც გააცნეს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის საკითხებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფის წევრებს, გაითვალისწინეს ყველა მათგანის კომენტარი და უახლოეს მომავალში იგეგმება მისი დამტკიცდება სააგენტოს დირექტორის ბრძანებით.

ღონისძიება 8.2.6. არასრულწლოვნებში სამართლებრივი განათლების გაღრმავება პროექტებით და ერთჯერადი აქციებით

სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრის“ დანაშაულის პირველი დონის პრევენციის სამმართველომ გაატარა რიგი ღონისძიებები (საინფორმაციო შეფხედრები, პროგრამები, იმიტირებული სასამართლო პროცესი, პროექტები, კამპანიები და სხვ.) სხვადასხვა

რეგიონში, რომლებიც მიზნად ისახავს სამართლებრივი ცნობიერების ამაღლებას 14-დან 21 წლამდე ასაკის არასრულწლოვნებში.

საქმიანობის შესრულების მიზნით, შსს განაგრძობს განათლებისაა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით მოსწავლე ახალგაზრდებთან ინტერაქტიულ ფორმატში ურთიერთობას.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსთან და ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულებთან თანამშრომლობით, სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრი, ახალგაზრდული კლუბის ფარგლებში, ატარებს სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებსა და აქტივობებს 14-დან 18 წლამდე ასაკის მქონე არასრულწლოვნებისთვის.

ახალგაზრდული კლუბის ფარგლებში, მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, შექმნილია ორი ტრენინგ მოდული (ადამიანის უფლებათა თვე და ბავშვთა უფლებები), რომელთა უმთავრეს მიზანს წარმოადგენს სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება, ადამიანის უფლებებისა და ვალდებულებების გაცნობიერება და არსებული სამართლებრივი რეგულაციების გაცნობა. თითოეული ტრენინგის ფორმატი მაქსიმალურად მორგებულია შესაბამისი ასაკობრივი კატეგორიის ახალგაზრდებზე და ითვალისწინებს ისეთ აქტივობებს, რომლებიც მათ უკეთ გააცნობს და შეასწავლის სამართლებრივ რეგულაციებს.

2017 წელს, აღნიშნული ღონისძიებები ჩატარდა როგორც თბილისში, ასევე საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. ადამიანის უფლებათა თვე, თბილისის მასშტაბით ჩატარდა სამჯერ, რომელსაც ჯამში დაესწრო 57 არასრულწლოვანი, ხოლო ბავშვთა უფლებების ტრენინგი ჩატარდა როგორც თბილისში, ასევე რეგიონში (კოდა, ანაკლია, რუსთავი, ქუთაისი) და ჯამში მონაწილეობა მიიღო 75 არასწრულწლოვანმა.

საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პროგრამა სამართლებრივი განათლებისთვის GECALLs

2008 წლის გაზაფხულზე საერთაშორისო ორგანიზაცია 'PH-International"-მა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროებს შესთავაზა სამართლებრივი განათლების პროგრამა, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის საერთაშორისო ბიურომ დააფინანსა.

პროგრამის ფარგლებში მომზადდა ორი სახელმძღვანელო: ერთი მოსწავლეებისათვის, ხოლო მეორე - მასწავლებლებისა და სამართალდამცველებისათვის. სამართლებრივი კულტურის პროგრამა ჩამოყალიბდა, როგორც სამოქალაქო განათლების სწავლების ფარგლებში შერწყმული საგანმანათლებლო პროგრამა. აღსანიშნავია, რომ ასეთმა მიდგომამ არ გაზარდა მოსწავლე-მასწავლებლის საგაკვეთილო დატვირთვა და, ასევე, გააძლიერა საკითხების შესწავლის ეფექტიანობა. გაკვეთილები ინტერაქტიულია, მოიცავს როლურ თამაშებს და გამიზნულია მოსწავლეებში სამართლის და **მართლმსაჯულების სფეროში მათი უფლებების და პასუხისმგებლობების შესახებ ცოდნის ამაღლებისკენ.**

პროგრამის განგრძობადობა

სამართლებრივი განვითარების პროგრამამ გვიჩვენა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ჩვენი ახალგაზრდებისათვის კანონიერების კულტურა და ამ საქმეში, სწორედ, სამართალდამცველების მონაწილეობა.

ყოველი მომდევნო სასწავლო წლის დაწყებასთან ერთად გრძელდება პროექტ „სამართლებრივი განვითარების პროგრამის" განხორციელება საქართველოს 40 საჯარო სკოლაში. პროექტი ითვალისწინებს წინასწარ შედგენილი საგნის „სამართლებრივი კულტურის" სწავლებას შერჩეული სკოლების მე-9 კლასელთათვის. აღნიშნული საგნის სწავლება მიმდინარეობს სამართალდამცვისა და სკოლის პედაგოგის ერთობლივი აქტივობით. გაკვეთილები ინტერაქტიულია, მოიცავს როლურ თამაშებს და გამიზნულია მოსწავლეებში სამართლის და მართლმსაჯულების სფეროში მათი უფლებების და პასუხისმგებლობების შესახებ ცოდნის ამაღლებისკენ.

საგანი „სამართლებრივი კულტურა“ მოიცავს შემდეგ თემებს:

- არასრულწლოვანი და კანონი;
- ძალადობა (ძალადობა ოჯახში, „ბულინგი“ სკოლებში);
- მავნე ჩვევები და მათი სახიფათო შედეგებისგან თავდაცვა;
- ორგანიზებული დანაშაული (ტრეფიკინგი, ნარკოტიკებით და იარაღით უკანონო ვაჭრობა);
- სასამართლო სამართალწარმოება.

2017 სასწავლო წელს, აღნიშნული პროგრამა განხორციელდა აჭარის, სამეგრელოს, შიდა ქართლის, კახეთის, და თბილისის 32 საჯარო სკოლაში 27 პოლიციელის ჩართულობით.

საანგარიშო წლის განმავლობაში, განხორციელდა სკოლის მოსწავლეების ვიზიტები, შსს აკადემიის, საექსპერტო – კრიმინალისტიკური, საგანგებო სიტუაციების მართვის „112“ და რაიონული განყოფილებების ადმინისტრაციულ შენობებში, სადაც შსს თანამშრომლებმა მოსწავლეებს გააცნეს პოლიციის მუშობის სპეციფიკა და დანაშაულის გამოვლენა, გამოძიების აღმოფხვრის თანამედროვე ტექნოლოგიები.

“ბავშვები, პოლიციელები და უსაფრთხოება“

'PH-International" – ისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობთ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ 2015-2016 სასწავლო წლებში განახორციელა პროექტი „ბავშვები, პოლიციელები და უსაფრთხოება“, რომლის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს უმცროს კლასელებში (მე–5 და მე–6 კლასის მოსწავლეებში) , საგზაო უსაფრთხოების შესახებ ცნობადობის ამაღლება და კანონმორჩილი კულტურის ჩამოყალიბება. პროექტის აქტივობები ხორციელდება ინტერაქტიულ რეჟიმში, სადაც მანდატური და პატრულ ინსპექტორი წინასწარ მომზადებული სახალისო/ადაპტირებული პროგრამით მოსწავლეებს ესაუბრებიან საგზაო უსაფრთხოების ძირითად ნორმებზე.

პროგრამის „ბავშვები, პოლიციელები და უსაფრთხოება“ ფარგლებში, სკოლები და პოლიცია წარმატებით თანამშრომლობენ ერთმანეთთან, მათი შეხვედრების მოდული არის მაქსიმალურად პოზიტიური და დატვირთულია საინტერესო თემატიკით, რაც ეფუძნება პოლიციისა და სკოლის თანამშრომლობას და დამეგობრებას. პროგრამა ხორციელდება მე-4, მე-5 და მე-6 კლასებში. http://police.ge/ge/shs-ministris-moadgile-archil-talakvadze-patrul-inspeqtoris-mier-chatarebul-interaqtiul-gakvetils-daestsro/9492

პოლიციის საზოგადოებრივი საქმიანობის ინიციატივა აჭარაში (ACPI)

ორგანიზაცია PH International-ის ფილიალმა საქართველოში, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანტინარკოტიკულ და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის საერთაშორისო ბიუროს ფინანსური მხარდაჭერით და შსს-სთან თანამშრომლობით, 2017 წლის სექტემბერში განაგრძო პროგრამის „პოლიციის საზოგადოებრივი საქმიანობა აჭარაში“ (ACPI) განხორციელება. პროგრამის მიზანია მოზარდებს შორის დანაშაულის პრევენცია და ადგილობრივი თემისა და სამართალდამცავის სტრუქტურების თანამშრომლობის გაუმჯობესება საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის პრინციპების და მიდგომების დანერგვის გზით.

პროგრამის განხორციელების მესამე წელი ემსახურება პოლიციის აქტიური ჩართულობის ხელშეწყობას სათემო ცხოვრებაში, ასევე პოლიციელის და თემის თანამშრომლობის გაძლიერებას.

2017-2018 წლებში პროგრამა ითანამშრომლებს აჭარის 5 მუნიციპალიტეტის (ხულო, ქედა, ქობულეთი, ხელვაჩაური და შუახევი) 11 ახალ სკოლასთან.

გარდა ამისა, განხორციელდა/განხორციელდება შემდეგი საქმიანობები:

- 10-მა სამართალდამცავმა და 10-მა სამოქალაქო განათლების პედაგოგმა გაირა მომზადება სამართლებრივი კულტურის დამხმარე სახელმძღვანელოს სწავლების მეთოდების მიხედვით; პროგრამის ფარგლებში შერჩეული სკოლის მე-9 და მე-10 კლასის მოსწავლეებს პოლიციელებისა და სამოქალაქო განათლების პედაგოგების მიერ ჩაუტარდათ სამართლებრივი კულტურის 10 გაკვეთილი ისეთ თემებზე, როგორიცაა ტრეფიკინგი, ადრეული ქორწინება, საგზაო უსაფრთხოება და ა.შ.;
- ერთობლივი საკლასო პროექტები შემუშავდა სამართალდამცავისა და მოსწავლეების მიერ, რომელთა მიზანიც არის თანამშრომლობის ხელშეწყობა, სასკოლო სივრცის ჩართვა უსაფრთხო, მოზარდზე ორიენტირებული გარემოს შექმნის მიზნით;
- საქმიანობას, თუ რა მოთხოვნები არსებობს და რაოდენ მნიშვნელოვანია ზოგადი განათლება და საბუნებისმეტყველო დარგები ამ სფეროში წარმატებით მოღვაწეობისთვის;
- სათემო კომპონენტის ფარგლებში;
- მუნიციპალიტეტების თანამშრომლები, პროგრამაში ჩართული სამართალდამცავები და სკოლის თემის წარმომადგენელები გადამზადდნენ სათემო მობილიზაციის საკითხებში, რომლის ერთ-ერთი მიზანია სათემო

დიალოგების წარმართვა თემის აქტიურ წევრებს შორის, რათა გამოვლინდეს თემში არსებული პრობლემები/საჭიროებები და დაიგეგმოს საპასუხო ღონისძიები, შემუშავდეს სამოქმედო გეგმები მცირე სათემო პროექტების განხორციელების მიზნით.

ღონისძიება 8.2.7. საგრანტო პროგრამის განვითარების მიზნით წინადადებების შემუშავება

დანაშაულის ჩადენის მაღალი რისკის მქონე და განრიდებულ არასრულწლოვანთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის მიზნით სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრის მიერ შემუშავდა და განხორციელდა საგრანტო პროექტები. საგრანტო პროგრამა „დანაშაულის ეფექტური პრევენცია“ ფარგლებში იუსტიციის სამინისტროს მიერ არასრულწლოვნებში დანაშაულებრივი ქმედების გააზრების, პიროვნული განვითარების, საზოგადოებაში ინტეგრაციისა და კონფლიქტების/ბრაზის მართვის მიზნით დაფინანსდა 5 პროექტი, რომელიც თბილისში, გორში, ქუთაისსა და ბათუმში განხორციელდა.

მიზანი 8.3. სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმებისა და აღდგენითი მართლმსაჯულების განვითარება

ღონისძიება 8.3.1. განრიდებისა და მედიაციის პროგრამის განვითარება

გარკვეული კატეგორიის მძიმე დანაშაულში ბრალდებულ არასრულწლოვანთა განრიდება:

- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით, რომელიც პარლამენტმა 2015 წელს მიიღო და ძალაში 2016 წლის პირველ იანვარს შევიდა, განრიდების პროგრამა ვრცელდება ყველა კატეგორიის ნაკლებად მძიმე და მძიმე დანაშაულებზე. კოდექსთან შესაბამისობაშია მოსული პროგრამის მარეგულირებელი შესაბამისი ბრძანებებიც, რომლებიც ამოქმედდა 2016 წელს.

- განრიდებული არასრულწლოვნებისათვის სერვისების გაუმჯობესება;
- განრიდებული არასრულწლოვნებისათვის გაუმჯობესებულია სერვისები საგრანტო პროგრამის ფარგლებში. იხ. 8.2.7. განრიდებისა და მედიაციის პროგრამის გავრცელება კანონთან კონფლიქტში მყოფ 18-21 წლამდე პირებზე;
  - არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით, რომელიც პარლამენტმა 2015 წელს მიიღო და ძალაში 2016 წლის პირველ იანვარს შევიდა, განრიდების პროგრამა ვრცელდება 18-21 წლის ასაკის პირებზე.
- პროგრამაში პროკურორის როლის შემცირება და მედიატორის როლის გაზრდა;
  - არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით, რომელიც პარლამენტმა 2015 წელს მიიღო და ძალაში 2016 წლის პირველ იანვარს შევიდა, განრიდების პროგრამაში შემცირდა პროკურორის და გაიზარდა მედიატორის როლი. პროკურორის დასწრება სავალდებულო აღარაა მედიაციის კონფერენციაზე და იგი ხელს აღარ აწერს განრიდებისა და მედიაციის ხელშეკრულებას, რაც ზრდის მედიატორის როლსაც პროგრამაში.
- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით, რომელიც პარლამენტმა 2015 წელს მიიღო და ძალაში 2016 წლის პირველ იანვარს შევიდა, განრიდების პროგრამა

ასევე ვრცელდება სასამართლო დონეზეც. მოსამართლეს მიენიჭა უფლებამოსილება, საკუთარი ინიციატივით ან მხარის შუამდგომლობით, საქმე დაუბრუნოს პროკურორს განრიდების მიზნით;

- 18-21 წლამდე განრიდებულთათვის სოციალური მუშაკის მომსახურების მიწოდება.
    - 2016 წლის პირველი იანვრიდან განრიდებულ არასრულწლოვნებს და 18-დან 21 წლამდე პირებს მოეწოდებათ სოც. მუშაკის მომსახურება.

2017 წელს გაიმართა კონსულტაციები საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რის საფუძველზეც, საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით, დაგეგმილია განრიდების პროგრამების მონიტორინგისა და სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციების აკრედიტაციის ინსტრუმენტზე მუშაობის დაწყება.

2016 წლის ოქტომბერს, სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრსა“ და გაეროს ბავშვთა ფონდს შორის გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროექტის „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის იმპლემენტაციის ხელშეწყობა განრიდების პროგრამების გაძლიერების გზით“ ფარგლებში, სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრის ორგანიზებით 2017 წელს გაიმართა 6 სამუშაო შეხვედრა/ტრენინგი განრიდებისა და მედიაციის პროგრამის განხორციელების პროცესში ჩართული უწყებების თანამშრომელთათვის და დამატებით 1 სამუშაო შეხვედრა/ტრენინგი მხოლოდ მოსამართლეთა მონაწილეობით.

პროექტის მიზნებს წარმოადგენს არასრულწლოვანთა განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართულ პროფესიონალთა შესაძლებლობების გაძლიერება და განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში განხორციელებული ცვლილებებისათვის მათი სათანადო მომზადება, განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართული პროფესიონალების საკოორდინაციო მექანიზმის გაძლიერება ადგილობრივ დონეზე, პრაქტიკაში არსებული სირთულეებისა და გამოწვევების კვლევა და მათი გადაჭრის ხელშეწყობა სხვადასხვა მხარდამჭერი აქტივობების განხორციელების გზით. ასევე, საქართველოს მთავარ პროკურატურასთან ურთიერთანამშრომლობით, 18-დან 21 წლამდე პირებთან მომუშავე არასპეციალიზებული პროკურორების გადამზადება განრიდების პროგრამების სპეციფიკურ საკითხებში წარმოადგენდა პროექტით გათვალისწინებულ ერთ-ერთ აქტივობას. აღნიშნული პროექტის შედეგად გადამზადდა 300-მდე განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამასთან შემხებლობაში მყოფი სპეციალისტი (პროკურორი, სოციალური მუშაკი, მედიატორი და მოსამართლე). 2017 წელს, აგვისტოს თვეში, სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრსა და გაეროს ბავშვთა ფონდს შორის გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების საფუძველზე სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრმა, მედიასაშუალებების წარმომადგენელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით განახორციელა 1 სამუშაო შეხვედრა/ტრენინგი 16-მდე მედიასაშუალების 20 წარმომადგენელთან.

საქართველოს მთავარი პროკურორის 2017 წლის 31 იანვრის ბრძანებით დამტკიცდა რაიონული და საოლქო პროკურატურის პროკურორთა შეფასების კრიტერიუმები. პროკურორთა შეფასების კრიტერიუმების საფუძველზე, ხორციელდება პროკურორთა

შეფასება, როგორც საპროცესო ხელმძღვანელობისა და სასამართლოში სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის ხარისხით, ასევე საპროცესო დოკუმენტების დასაბუთებულობის, სისხლის სამართლის საქმისწარმოების ელექტრონულ პროგრამაში პროკურორის მუშაობის, დისციპლინისა და ეთიკის ნორმების დაცვის, ტრენინგებზე მიღწეული შედეგებისა და სხვა აქტივობების მიხედვით.

მიუხედავად იმისა, რომ შეფასების სისტემა ეხება არასრულწლოვანთა სპეციალიზებულ პროკურორებსაც და, ასევე, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პროკურატურაში ამჟამად მონიტორინგი ხორციელდება წინასწარ დადგენული კრიტერიუმების მიხედვით, საქართველოს პროკურატურამ დაიწყო მუშაობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პოლიტიკის დოკუმენტზე, რომელშიც დოკუმენტალურად იქნება გაწერილი არასრულწლოვანთა სპეციალიზებული პროკურორების შერჩევის, მათი მონიტორინგისა და შეფასების სპეციფიკური კრიტერიუმები, რომელიც უფრო იქნება მორგებული არასრულწლოვანთა სპეციალიზებულ პროკურორებზე.

2017 წელს ჩატარდა სპეციალიზაციის კურსი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების, ფსიქოლოგიისა და არასრულწლოვანთან ურთიერთობის მეთოდიკის თემაზე. სასწავლო პროგრამის ფარგლებში განხილული იქნა: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, კანონმდებლობაში დანერგილი სიახლეები, საერთაშორისო სტანდარტები, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ფსიქოლოგიური ასპექტები, ბავშვის განვითარების თავისებურებები, არასრულწლოვანთა (მოწმე/დაზარალებული) დაკითხვის/გამოკითხვის ტექნიკები და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. ტრენინგები ევროკავშირის, გაეროს ბავშვთა ორგანიზაციის და აშშ-ს საელჩოს მხარდაჭერით განხორციელდა.

გარდა ზემოაღნიშნულისა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში არასპეციალიზებულ პროკურორებს ჩაუტარდათ ტრენინგი პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებისა და განრიდების/მედიაციის საკითხებზე. მიმდინარე წელს ამ თემაზე ჩატარდა სულ 7 ტრენინგი, რომლის ფარგლებშიც გადამზადება გაიარა 133-მა პროკურორმა და სტაჟიორმა. პროექტი გაეროს ბავშვთა ფონდთან (UNICEF), ევროკავშირთან და სსიპ ,,დანაშაულის პრევენციის ცენტრთან“ თანამშრომლობით განხორციელდა.

ასევე, საქართველოს მთავარ პროკურატურასთან ურთიერთანამშრომლობით მოხდა 18-დან 21 წლამდე პირებთან მომუშავე არასპეციალიზებული პროკურორების გადამზადება განრიდების პროგრამების სპეციფიკურ საკითხებში. 2016 წელს, აღნიშნული პროექტის ფარგლებში ჩატარდა 4 სამუშაო შეხვედრა/ტრენინგი თბილისის, ქვემო ქართლისა და კახეთის რეგიონებში. 2017 წელს კი დამატებით ჩატარდა 6 სამუშაო შეხვედრა/ტრენინგი საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე.

ღონისძიება 8.3.2. მედიაციის მექანიზმის განვითარება და მისი გამოყენების გაფართოება სამართალწარმოების სხვა ეტაპებზე

2016 წლის აპრილში, სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრის“ განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართული 17 მედიატორისათვის ჩატარდა სასერთიფიკაციო, 49 საათიანი სასწავლო კურსი „შესავალი მედიაციაში“.

2016 წლის მაისში გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით, სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრის“ განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართული 17 მედიატორისათვის ჩატარდა სასერთიფიკაციო, 70 საათიანი სასწავლო კუსი „მედიაცია სისხლის სამართალში“. სასწავლო კურსი დაფუძნებული იყო 2015 წელს სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრის“, სსიპ „იუსტიციის სასწავლო ცენტრის“, გაეროს ბავშვთა ფონდის და ევროკავშირის პროექტის „სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში" ურთიერთანამშრომლობით შექმნილ მოდულზე „მედიაცია სისხლის სამართალში“.

2016 წლის ივლისში, გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით, სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრის“ განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართული 16 მედიატორისათვის ჩატარდა სასერთიფიკაციო, 28 საათიანი სასწავლო კუსი „სპეციალიზაცია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში“. სასწავლო კურსი დაფუძნებული იყო 2015 წელს სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრის“, სსიპ „იუსტიციის სასწავლო ცენტრის“, გაეროს ბავშვთა ფონდის და ევროკაშირის პროექტის „სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში" ურთიერთანამშრომლობით შექმნილ მოდულზე „მედიაცია სისხლის სამართალში“.

2017 წელს, ევროკავშირის სასამართლოს მხარდაჭერითა და სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრის ორგანიზებით, გაეროს ბავშვთა ფონდისა და სხვა პარტნიორი სახელმწიფო უწყებების ჩართულობით გაიმართა აღდგენითი მართლმსაჯულების დღეები საქართველოში. რამდენიმედღიანი კონფერენციისა და შეხვედრების განსახილველი თემები სისხლის სამართლის მედიაციის განვითარება, კონკრეტული მექანიზმების განხილვას და იმ სფეროებზე მსჯელობას იყო, სადაც შესაძლებელია გავრცელდეს სისხლის სამართლის მედიაცია საქართველოში. კონფერენციაზე ასევე შეჯამდა განრიდებისა და მედიაციის სისტემის რეფორმების შედეგები.

მიზანი 8.4 პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის გამოყენება მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში

ღონისძიება 8.4.1. არასრულწლოვან ბრალდებულთათვის/მსჯავრდებულთათვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პირობების უზრუნველყოფა

მოქმედი არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო N11 დაწესებულება საერთაშორისო სტანდარტების ნორმების შესაბამისად ფუნქციონირებს. დაწესებულება უზრუნველყოფილია სპორტული მოედნებით, ფუნქციონირებს საჯარო სკოლა, მოკლევადიანი და გრძელვადიანი პაემნების ოთახები.

ღონისძიება 8.4.2. ვადამდე გათავისუფლების სისტემის დახვეწა გაუმჯობესება

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 ოქტომბრის №138 ბრძანებით დამტკიცებულია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივი საბჭოების რაოდენობის, ტერიტორიული განსჯადობისა და ადგილობრივი საბჭოს ტიპური დებულება. ამასთანავე, აქტიური სამუშაოები მიმდინარეობს პარლამენტისა და სასამართლო ხელისუფლების მონაწილობით, ისევე როგორც საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან პირობით ვადამდე გათავისუფლების მექანიზმის დახვეწისა და შემდგომში მათი პრაქტიკაში დანერგვისათვის.

არასრულწლოვანთა საქმეების განმხილველი ადგილობრივი საბჭოს დებულება ცალკე სამართლებრივ აქტად არ არის დამტკიცებული. აღნიშნული საბჭოს ტიპური დებულება გაწერილია ზემოაღნიშნულ N138-ე ბრძანებაში.

მიზანი 8.5. რეაბილიტაცია და რესოციალიზაცია

ღონისძიება 8.5.1. სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის გამოყენების მექანიზმების დახვეწა (პენიტენციური სისტემა)

საანგარიშო პერიოდში შემუშავდა სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის განახლებული ინსტრუქცია სპეციალური ფორმებით. 2017 წლის პირველი იანვრიდან დეკემბრამდე არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში შემოსულია 20 მსჯავრდებული (ახალი შემთხვევა). ყველა მათგანი ჩაერთო სასჯელის ინდივიდუალურ დაგეგმვაში. არსებული პროცედურების შესაბამისად, მულტიდისციპლინური გუნდის რეკომენდაციების საფუძველზე, სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმა შემუშავდა ყველა მჯავრდებულისათვის.

ღონისძიება 8.5.2. რეაბილიტაციის ინდივიდუალური გეგმების შემუშავების მექანიზმების დახვეწა (პრობაციის სისტემა)

პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ შემუშავებულია შეფასების მექანიზმი, რომელიც მოიცავს ზიანის რისკისა და დანაშაულის განმეორების კომპონენტს. შემუშავებულია მულტიდისციპლინური გუნდის მუშაობის კონცეფცია და ფორმა. ყველა არასრულწლოვანი მსჯავრდებულდებულისთვის შემუშავებულია რეაბილიტაციის ინდივიდუალური გეგმა სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის გათვალისწინებით, რომელიც განიხილება მულტიდისციპლინური გუნდის მიერ.

ღონისძიება 8.5.3. არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში მსჯავრდებულთათვის სრული ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

„ბრალდებული და მსჯავრდებული პირებისათვის განათლების მიღების ხელმისაწვდომობის" პროგრამა (ორგანიზაციული კოდი 32 02 09) დამტკიცებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 10 იანვრის №76 ბრძანებით. პროგრამა მოიცავს შემდეგ ქვეპროგრამას:

- არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო და ქალთა პატიმრობის ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებში არასრულწლოვანთა ზოგადი განათლების უზრუნველყოფის ქვეპროგრამა;
- ქ. თბილისის N8 და ქ. ქუთაისის N2 პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში არასრულწლოვანთა ზოგადი განათლების უზრუნველყოფის ქვეპროგრამა.

საქართველოს კონსტიტუციისა და ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს ზოგადი განათლების გამჭვირვალობა და უწყვეტი განათლების ხელმისაწვდომობა ყველა ბავშვისთვის და მოზარდისთვის მთელი სიცოცხლის განმავლობაში აღნიშნული ვალდებულების შესასრულებლად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ერთ-ერთ მიმართულებად განსაზღვრულია პატიმრობაში მყოფი და მსჯავრდებული ბავშვებისა და მოზარდების განათლების მიღების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, რისთვისაც ხორციელდება “ბრალდებული და მსჯავრდებული პირებისათვის განათლების მიღების ხელმისაწვდომობის” პროგრამა, რომლის თანახმად, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მყოფი მსჯავრდებული მოსწავლეები, ირიცხებიან სსიპ ქალაქ თბილისის N123 საჯარო სკოლაში (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 3 დეკემბრის #1097 ბრძანების მიხედვით). მათ შესაძლებლობა ეძლევათ სპეციფიურ გარემოში შეისწავლონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნები. აღნიშნულ დაწესებულებაში სწავლებას ახორციელებს 14 პედაგოგი, რომელთაც ხელშეკრულება გაფორმებული აქვთ სსიპ ქალაქ თბილისის #123 საჯარო სკოლასთან. შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს სსიპ ქალაქ თბილისის N123 საჯარო სკოლა, რომელთანაც პროგრამის ფარგლებში გამოყოფილია შესაბამისი რაოდენობის ფინანსური რესურსი. აღნიშნული მასწავლებლებიდან 13 პედაგოგი (განსაკუთრებული საჭიროებებიდან, საათობრივი ბადის დატვირთვიდან გამომდინარე) და ერთი ჯგუფის ხელმძღვანელი (რომელიც პარალელურად კოორდინაციას უწევს სასწავლო პროცესის მიმდინარეობას), მუშაობს #11 არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში მყოფ 40-მდე მსჯავრდებულთან, ხოლო 5 პედაგოგი და ერთი ჯგუფის ხელმძღვანელი (რომელიც აგრეთვე კოორდინაციას უწევს სასწავლო პროცესის მიმდინარეობას), N5 ქალთა პატიმრობის ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფ ერთ მსჯავრდებულ გოგონასთან. პედაგოგები მუშაობდნენ საჯარო სკოლებში არსებული დატვირთვის შესაბამისად.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, ასევე ხორციელდება ქ. თბილისის N8 და ქ. ქუთაისის N2 პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში არასრულწლოვანთა ზოგადი განათლების უზრუნველყოფის ქვეპროგრამა. ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სასჯელაღსრულების

დეპარტამენტის ქ, ქუთაისის #2 პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთისა და ქ. თბილისის #8 პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში პატიმრობაში მყოფი არასრულწლოვნები.

ზემოაღნიშნულ დაწესებულებებში პატიმრობაში მყოფი არასრულწლოვნებისთვის ზოგადი განათლების მიღების ხელშეწყობის მიზნით და განათლების მიღების უწყვეტობის უზრუნველსაყოფად, შეიქმნა სპეციალური სასწავლო პროგრამა. აღნიშნულ დაწესებულებებში მომუშავე პედაგოგების დასაქმებას და მათთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმებას უზრუნველყოფს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. 2017 წელს სასწავლო პროცესს ახორციელებდა 8 პედაგოგი. აღნიშნული დაწესებულებების სპეციპიკიდან და სამიზნე ჯგუფის წევრების განსხვავებული შესაძლებლობებიდან გამომდინარე (აღნიშნული დაწესებულება წარმოადგენს დროებითი მოთავსების განყოფილებას და დაწესებულებებში არასრულწლოვანთა მოთავსება ხდება მცირე დროით, რომლებსაც აქვთ განსხვავებული შესაძლებლობები), რიგ შემთხვევაში დგება კლასკომპლექტის შექმნის საჭიროება. ასევე პედაგოგებს უწევთ თითოეულ ბრალდებულთან/მსჯავრდებულთან ინდივიდუალური მეცადინეობების ჩატარება.

2017 წლის მარტში ზოგადი განათლების ცალკეული კლასის/კლასების/სემესტრის, ასევე ცალკეულ კლასში/სემესტრში შემავალი საგნის/საგნების ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროგრამა/პროგრამების ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდებისათვის ექსტერნად დარეგისტრირდა N11 არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო, N8 და N2 პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის, N16 დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მყოფი 12 ბრალდებული/მსჯავრდებული პირი (აქედან 2 გათავისუფლდა). გამოცდებში მონაწილეობა მიიღო 10-მა ბრალდებულმა/მსჯავრდებულმა. გამოცდები დაძლია 9 ბრალდებულმა/მსჯავრდებულმა მოსწავლემ პროგრამის სხვადასხვა კლასისა და საფეხურის დონეზე

2017 წლის მარტის ჩათვლით, ზოგად განათლებას იღებს დაახლოებით 22 ბრალდებული/მსჯავრდებული მოსწავლე; აქედან 15 ბრალდებული და 7 მსჯავრდებული მოსწავლე.

2017 წლის მაისში, 2016-2017 სასწავლო წლის განმავლობაში საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეების მიერ კონკრეტული საგნისთვის წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტის გაცდენის გამო ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონის ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდებში მონაწილეობა მიიღო ორმა არასრულწლოვანმა ბრალდებულმა მოსწავლემ. აღნიშნული გამოცდები გადალახა ერთმა პირმა.

2017 წლის მაისის თვეში განხორციელდა პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფი ბრალდებული/მსჯავრდებული მოსწავლეების 2016-2017 სასწავლო წლის სკოლის გამოსაშვებ გამოცდებში მონაწილეობა. აღნიშნულ გამოცდებში მონაწილეობა

მიიღო 6-მა ბრალდებულმა/მსჯავრდებულმა მოსწავლემ, გამოცდები დაძლია 3-მა პატიმარმა მოსწავლემ.

2017 წლის ივლისში, N11 არასრულწლოვანთა სპეციალურ და სხვა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მყოფმა პატიმრებმა მიიღეს მონაწილეობა ერთიან ეროვნულ გამოცდებში. აღნიშნულ გამოცდებში მონაწილეობა მიიღო 16 მსჯავრდებულმა/ბრალდებულმა მოსწავლემ. გამოცდა წარმატებით დასძლია და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩაირიცხა 13 ბრალდებული/მსჯავრდებული პირი.

2017 წლის 11 მაისს, 13 ოქტომბერს და 12 დეკემბერს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დამტკიცებულმა სამეთვალყურეო საბჭოს წევრებმა, განახორციელეს მონიტორინგი პენიტენციური დეპარტამენტის ქ. ქუთაისის N2, ქ. თბილისის N8 პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის და N11 არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებებში, „ბრალდებული და მსჯავრდებული პირებისათვის განათლების მიღების ხელმისაწვომობის“ პროგრამის ფარგლებში. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები გაეცნენ იქ არსებულ ვითარებას, შეამოწმეს მასწავლებლების მიერ წარმოებული ჟურნალები დასაგაკვეთილო პროცესი. ასევე, შედგა შეხვედრა არასრულწლოვან ბრალდებულ/მსჯავრდებულ მოსწავლეებთან.

2017 წელს საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული იყო 80 ბრალდებული/მსჯავრდებული პირი.

ღონისძიება 8.5.4. თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების და პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების მსჯავრდებულებისათვის პროფესიული განათლების მიღების ხელშეწყობა

არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში, კომპიუტერულ პროგრამებში 9 მსჯავრდებული ჩაერთო, ხოლო პროფესიულ პროგრამებში - 74 არასრულწლოვანი მსჯავრდებული. სხვა მხრივ, 2017 წლის ფარგლებში, აღნიშნული მიმართულებით ცვლილებები არ მომხდარა.

ღონისძიება 8.5.5. არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში მსჯავრდებულებისათვის საგანმანათლებლო, სარეაბილიტაციო პროცესის ეფექტიანად განხორციელება

საანგარიშო პერიოდში ფსიქო-სოციალურ საინფორმაციო ტრენინგებში ჩართული იყო 56 მსჯავრდებული, ხოლო ფსიქო-სოციალურ ინტერვენციებში 52-ჯერ ჩაერთვნენ არასრულწლოვანი მსჯავრდებულები; სპორტულ წვრთნაში მსჯავრდებულები ჩაერთვნენ 32-ჯერ, სამაგიდო თამაშების ჩემპიონატი კი ჩატარდა 14-ჯერ;

№11 არასრულწლოვანთა პენიტენციურ დაწესებულებაში 2017 წელს განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

I. ფსიქო-სარეაბილიტაციო პროგრამები:

- ბრაზის მართვის ჯგუფი (1 ჯგუფი) - 5 მსჯავრდებული;
- არტ-თერაპია (4 ჯგუფი) - 23 მსჯავრდებული;
- სასარგებლო უნარების განვითარების ტრენინგი (3 ჯგუფი) - 21 მსჯავრდებული;
- ჯანსაღი ცხოვრების ხელშეწყობის ტრენინგი (1 ჯგუფი) - 7 მსჯავრდებული;
- ტრენინგი პოზიტიური ქცევის როლი ოჯახურ ურთიერთობებში (1 ჯგუფი) - 9 მსჯავრდებული.

II. ინტელექტუალური ღონისძიებები:

- „რა? სად? როდის?“ (გაზაფხულის, ზაფხულის სეზონის თამაშები) - 22 მსჯავრდებული;
- „ეტალონი“ სამჯერ წლის განმავლობაში - 37 მსჯავრდებული;
- ინტელექტუალური ვიქტორინა - 9 მსჯავრდებული.

ინტელექტუალური შეხვედრების ფარგლებში მოხდა შემდეგი თემების განხილვა:

- პრეზენტაცია "ნარკოტიკული ნივთიერებები და მათი მავნე ზეგავლენა" წარმოდგენილი იქნა მსჯავრდებულის მიერ, ნარკოლოგ ზურაბ სიხარულიძესთან ერთად (17 მსჯავრდებული);
- "საქართველოში აივ/შიდსის პრევენციის მიზნით არსებული ეროვნული რეაგირების მხარდაჭერა, აივ/შიდსით დაავადებულთა სიცოცხლის მაჩვენებლის გაუმჯობესება მკურნალობისა და მოვლის ღონისძიებების გზით" ფარგლებში - ასოციაცია "თანადგომა" -ს თანამშრომლების მიერ (19 მსჯავრდებული);
- პრეზენტაცია თემაზე "ადამიანის უფლებები" (13 მსჯავრდებული).

IV. სპორტული ღონისძიებები:

- ჭადრაკის წრე - 11 მსჯავრდებული;
- შაშის წრე - 21 მსჯავრდებული;
- 1 შაშის ჩემპიონატი - 14 მსჯავრდებული;
- 6 მაგიდის ჩოგბურთის ჩემპიონატი - 77;
- 2 ფეხბურთის ჩემპიონატი - 35 მსჯავრდებული;
- 2 კალათბურთის ჩემპიონატი - 29 მსჯავრდებული.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ახალგაზრდობის პოლიტიკის მართვის დეპარტამენტის მიერ ,,ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების პროგრამის'' ფარგლებში 2013 წლიდან 2016 წლის ჩათვლით ხორციელდებოდა ,,არასრულწოვანი მსჯავრდებულების რესოციალიზაციის ხელშეწყობის პროგრამა'', რომლის მიზანს წარმოადგენდა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში მყოფი მოზარდების რესოციალიზაციის პროცესის ხელშეწყობა, მათი დაინტერესება სწავლისა და შრომითი საქმიანობისადმი, ინტელექტუალური, შემოქმედებითი და სპორტული უნარ-ჩვევების გამოვლენა-განვითარება, ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობა, მსჯავრდებულებისათვის გარე სამყაროსადმი სწორი ორიენტაციის შემუშავებაში

დახმარება, მავნე ჩვევების გაცნობიერება და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის ამაღლება. პროექტი ხორციელდება რამოდენიმე მიმართულებით, როგორიცაა:

- სარეაბილიტაციო და დანაშაულის პრევენციის მიზნით, არასრულწლოვნების სპორტში აქტიურად ჩართვა;
- არაფორმალური განათლების მიმართულებით ტრენინგ-სემინარების, სწავლების უზრუნველყოფა;
- პროფესიული (სახელობო) სწავლების უზრუნველყოფა;

ყოველივე აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, ქვეპროგრამის ფარგლებში მსჯავრდებულებთან განხორციელდა:

- ფეხბურთის სწავლება (7 თვის განმავლობაში, კვირაში ორჯერ);
- ხეზე კვეთის, ხის მხატვრული დამუშავების სწავლება (8 თვის განმავლობაში, კვირაში 2 ჯერ);
- ფიტნეს-ვარჯიშები(8 თვის განმავლობაში, კვირაში 3 ჯერ)(ფინტეს-ინსტრუქტორი ავარჯიშებდა მსჯავრდებულებს თითოეულ მოზარდზე სპეციალურად მორგებული პროგრამით);
- ეიდეტიკური სწავლების ტრენინგები (ავითარებს, აუმჯობესებს მეხსიერებას, წარმოსახვას, აზროვნებას, ყურადღებას ეიდეტიკური მეთოდოლოგიის საშუალებით) (3 თვიანი სასწავლო კურსი)- ორი მსჯავრდებული გააგრძელებს მუშაობას ტრენერ-ასისტენტად ორანიზაციაში, რომელმაც სამინისტროს პროექტის ფარგლებში უზრუნველყო სასწავლო კურსი მსჯავრდებულებთან;
- სპორტული ტურნირები ფეხბურთში;
- ინტელექტუალური კონკურსი ,,რა, სად, როდის?'' (2 ჯერ), მონაწილეობდა მოზარდთა 5 გუნდი, ინტელექტუალური კონსკურსი ჩატარდა სამინისტროს პროექტის ფარგლებში, რომელიც იმართებოდა საქართველოს მასშტაბით ,,რა, სად, როდის?'' კლუბის წევრების ორგანიზებით. მჯავრდებულების 5 გუნდი ჩართული იყო კონკურსში საქართველოს რეგიონების საჯარო სკოლების 1500 გუნდთან ერთად.

ყველა სახის სასწავლო კურსის, ტრენინგისა და სწავლებისათვის საჭირო მასალა უზრუნველყოფილი იყო სამინისტროს პროექტის ფარგლებში (მაგ: სპორტული ინვენტარი, სპორტული ფეხსაცელი და ტანსაცმელი, საკანცელარიო ნივთები, ხის მასალა და სხვა საჭირო მასალები ხეზე კვეთისათვის და სხვა). პროგრამა განხორციელდა სასჯელაღსრულების N11 არასრულწოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში მყოფ მსჯავრდებულებთან.

პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების, წვრთნების, სწავლების, ტრენინგების უზრუნველყოფა მსჯავრდებულებისათვის იყო კრიმინალური ცხოვრების ერთგვარი ალტერნატივის შეთავაზება სახელმწიფოს მხრიდან, საზოგადოებასთან ინტეგრაციის პროცესში. პროგრამამ ხელი შეუწყო ახალგაზრდა პატიმრებს გამხდარიყვნენ მეტად თავდაჯერებულნი საკუთარ შესაძლებლობებში, გაეცნობიერებინათ და დაეძლიათ უარყოფითი ჩვევები და არასრულფასოვნების კომპლექსი, მათ შეისწავლეს, აითვისეს

პროფესიული, სპორტული, ინტელექტუალური, კომუნიკაციური უნარ-ჩვევები, დაეუფლენ სპორტის სახეობებს, მიიღეს გარკვეული ცოდნა და გამოცდილება, რაც მნიშვნელოვნად დაეხმარება მათ ჯანსაღი ცხოვრებისეული მიზნების ჩამოყალიბებაში.

პროგრამა ხორციელდებოდა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსთან აქტიური თანამშრომლობით.

ღონისძიება 8.5.7. პატიმრობაში მყოფ არასრულწლოვანთა ზოგადი განათლების უზრუნველყოფა

N2 და N8 არასრულწლოვანთა საპატიმრო განყოფილებებში ზოგადი განათლების პროგრამაში 2017 წელს ჩართული იყო 53 ბენეფიციარი.

ღონისძიება 8.5.8. წინასწარ პატიმრობაში მყოფი არასრულწლოვნებისთვის საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით შესაბამისი პირობების უზრუნველყოფა და მათი განცალკევება სრულწლოვანი ბრალდებულებისაგან

N8 პენიტენციურ დაწესებულებაში წინასწარ პატიმრობაში მყოფი არასრულწლოვნები, სრულწლოვნებისაგან სრულად განცალკევებით არიან განთავსებულნი, ცალკე კორპუსში.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2017 წლის 7 ივლისის N3107 ბრძანების საფუძველზე, 14-დან 21 წლამდე ბრალდებულ/მსჯავრდებულთა საჭიროებებსა და ეფექტურ რესოციალიზაცია-რეაბილიტაციაზე ორიენტირებული ახალი პენიტენციური დაწესებულების კონცეფციის განახლებისა და სათანადო პროექტის შემუშავების მიზნით, დამტკიცდა სამუშაო ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტდა სამინისტროს, ევროკავშირისა და UNICEF-ის წარმომადგენლებით.

ამ მიმართულებით ხსენებული ჯგუფის მუშაობაში აქტიურად მონაწილეობდა UNICEF-ის მიერ სპეციალურად მოწვეული ექსპერტი, დოქტორი ტონ ლიეფარდი, რომელმაც არსებული სიტუაციის შესწავლისა და ანალიზის შემდეგ, შეიმუშავა რეკომენდაციების სამუშაო ვერსია. საანგარიშო პერიოდისათვის მიმდინარეობს რეკომენდაციების განხილვა/ანალიზი და, შემდგომ, დასრულდება არსებული კონცეფციის განახლების პროცესი.

ღონისძიება 8.5.9. რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის სამოქმედო გეგმის დამტკიცება

სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის 2015 წლის სტრატეგია და 2015-2019 წლების სამოქმედო გეგმა ერთობლივად შემუშავდა დანაშაულის პრევენციის ცენტრის, სასჯელაღსრულების დეპარტამენტისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ ევროკავშირის მხარდაჭერით და დამტკიცდა სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს მიერ 2014 წლის 8 ივლისს. რესოციალიზაცია რეაბილიტაციის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის ერთიან სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმას ერთ-ერთ მიმართულებად დაემატა და მისი განახლება ყოველწლიურად ხორციელდება.

სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მიზანია მსჯავრდებულთა და ყოფილ მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია, მათი პოტენციალის რეალიზებასა და სრულუფლებიან მოქალაქეებად ჩამოყალიბებაში ხელშეწყობა, რათა, ერთის მხრივ, უზრუნველყოფილ იქნეს ადამიანის უფლებების დაცვის მაღალი სტანდარტი და, მეორეს მხრივ, დანაშაულის განმეორებით ჩადენის შემცირებით დაცული იყოს საზოგადოებრივი უსაფრთხოება.

,,მსჯავრდებულთა ზოგადი განათლებისა და პროფესიული მომზადების პროგრამის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის შესახებ'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების, საქართველოს იუსტიციის და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროებს შორის დადებული მემორანდუმების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მომზადდა ,,ბრალდებული და მსჯავრდებული პირებისათვის და ყოფილი პატიმრებისათვის პროფესიული განათლების მიღების ხელმისაწვდომობის პროგრამა“ და მისი ქვეპროგრამები. ,,მსჯავრდებულთა (პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებული, თავისუფლება შეზღუდული, პირობით ვადამდე გათავისუფლებული და პირობით მსჯავრდებული) პროფესიული განათლების მიღების ხელშეწყობის'' ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდამსჯავრდებულებისათვის პროფესიული მომზადების პროგრამების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა მათი რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის მიზნით.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ/მონაწილეობით და საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარდგინებით დაფუძნებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა პირობით ვადამდე გათავისუფლებული და პირობით მსჯავრდებულების, ყოფილი პატიმრების და №2, №3, №5, №8, №11, №12, №14, №15, №16, №17 პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებული მსჯავრდებულებისათვის განახორციელეს მოკლევადიანი პროფესიული პროგრამები. აღნიშნულ პენიტენციური დაწესებულებებში პროფესიულ პროგრამებს ეუფლებიან როგორც სრულწლოვანები, ასევე არასრულწლოვანი მსჯავრდებულები, თუმცა ჩვენთვის არ არის ხელმისაწვდომი პროფესიულ პროგრამებში ჩართულ არასრულწლოვანთა რაოდენობა.

ღონისძიება 8.5.10. არასრულწლოვან მსჯავრდებულთა კონტაქტის შენარჩუნება საზოგადოებასთან

არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში სხვადასხვა საზოგადო მოღვაწეებთან 7 ინტელექტუალურ-შემეცნებითი შეხვედრა გაიმართა.

ღონისძიება 8.5.11. შიდა და უწყებათაშორისი გარდამავალი მენეჯმენტის გამართვა

2016 წლის 15 მარტის საქართველოს იუსტიციის მინისტრის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის №132/№95/№23 ერთობლივი ბრძანების მიხედვით (დანართი N3, მუხლი 9),

მსჯავრდებულის სხვა დაწესებულებაში გადაყვანის შემთხვევაში, მსჯავრდებულს ინდივიდუალური დაგეგმვის საქმე მიჰყვება პირად საქმესთან ერთად.

პრობაციის ეროვნული სააგენტოს სოციალური მუშაკები პენიტენციური დაწესებულებების მომართვის საფუძველზე პირობით ვადამდე განთავისუფლების კომისიისათვის ამზადებენ არასრულწლოვნის ოჯახისა და სოციალური გარემოს შეფასებას. ევროკავშირის პრობაციისა და პენტენციური მხარდამჭერი პროექტის ფარგლებში, სამ უწყებასთან ერთად გარდამავალი მენეჯმენტის მექანიზმის დახვეწა/გაუმჯობესებისათვის შექმნილია სამუშაო ჯგუფი.

მიზანი 8.6. პროფესიონალების სპეციალიზაცია არასრულწლოვანთა საკითხებში

ღონისძიება 8.6.1. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის საკითხებში არასრულწლოვნებთან მომუშავე პირების სპეციალიზაციის უზრუნველყოფა

შსს აკადემიის მიერ შემუშავებული და დანერგილი სპეციალური კურსი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებზე, 2017 წელს, გაირა 415-მა სამართალდამცავმა, ხოლო წარმატებით დაასრულა მხოლოდ 328-მა.

განხორციელდა პროკურატურის სტრუქტურული ერთეულების მიხედვით სპეციალიზებულ პროკურორთა რაოდენობის გადახედვა არასრულწლოვანთა საქმეების რაოდენობის შესაბამისად, რომლის საფუძველზეც მოხდა ყველა რეგიონის სპეციალიზებულ პროკურორთა ადეკვატური რაოდენობით უზრუნველყოფა.

სპეციალიზებულმა პროკურორებმა გაიარეს ტრენინგი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში. სასწავლო კურსი მოიცავდა საკითხებს შიდაეროვნული კანონმდებლობის, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საერთაშორისო სტანდარტების და არასრულწლოვანთა ფსიქოლოგიის შესახებ.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის და „იურიდიული დახმარების შესახებ“ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურში ფუნქციონირებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული ადვოკატების მუდმივმოქმედი ჯგუფი, რომელშიც შედიან როგორც იურიდიული დახმარების ბიუროებში მომუშავე, ისე მოწვეულ საზოგადოებრივ რეესტრში რეგისტრირებული ადვოკატები.

2017 წელს, იურიდიული დახმარების სამსახურის ოთხმა თანამშრომელმა (თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს ორი ადვოკატი, სამეგრელოს–ფოთის იურიდიული დახმარების ბიუროს ერთი და სამეგრელოს–ზუგდიდის იურიდიული დახმარების ბიუროს ერთი ადვოკატი) გაიარა სპეციალიზაცია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში.

რაც შეეხება სიღრმისეული ტრენინგების გავლას, აღნიშნული საკითხის ორგანიზება დაიგეგმა 2018 წელს. შესაბამისად, UNICEF-ის მხარდაჭერითა და ორგანიზებით,

უწყებებში განხორციელდება ადვოკატთა ვიწრო სპეციალიზაცია, ხოლო შემდეგ ჩატარდება სიღრმისეული ტრენინგები.

აღსანიშნავია, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსისა და „იურიდიული დახმარების შესახებ“ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურში ფუნქციონირებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული ადვოკატების მუდმივმოქმედი ჯგუფი, რომელშიც შედიან როგორც იურიდიული დახმარების ბიუროებში მომუშავე, ისე მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში რეგისტრირებული ადვოკატები.

2017 წლის განმავლობაში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის საკითხებში სპეციალიზაცია გაიარა პენიტენციური დაწესებულებების 15-მა მოსამსახურემ და პრობაციის ეროვნული სააგენტოს 25-მა მოსამსახურემ.

გაეროს ბავშვთა ფონდს (UNICEF) და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის ერთობლივი პროექტის ფარგლებში, შემუშავდა არასრულწლოვან ბრალდებულებთან/მსჯავრდებულებთან მომუშავე სპეციალისტების გაძლიერების სასწავლო პროგრამა, რომლის ფარგლებშიც გადამზადდა 52 პრობაციის ეროვნული სააგენტოს მოსამსახურე და პენიტენციური დაწესებულებების 24 მოსამსახურე.

ღონისძიება 8.6.2 დაზარალებულ და მოწმე ბავშვებთან მუშაობაში ჩართული პროფესიონალებისათვის ტრენინგების ორგანიზება

შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია ახორციელებს შსს–ში მსახურობის მსურველთა მომზადებას. უბნის ინსპექტორთა და პატრულ ინსპექტორთა საბაზისო მომზადების კურსის კურიკულუმი ითვალისწინებს მსმენელთათვის თეორიული და ტაქტიკური საგნების სწავლებას. თეორიული სწავლების კურსი მოიცავს:

- ადამიანის უფლებებს;
- ბავშვთა უფლებათა დაცვის კონვენციის ძირითად ასპექტებს;
- არასრულწლოვანთა მიმართებაში საქართველო კანონმდებლობით გათვალისწინებულ რეგულაციებს;
- ბავშის განვითარების თავისებურებებს;
- არასრულწლოვანთა დაკითხვის ტექნიკა და სხვ.

დაზარალებულ და მოწმე ბავშვებთან მუშაობის თავისებურებებზე შემუშავებული იქნა სასწავლო კურსები სხვადასხვა მიმართულებით. ევროპის საბჭოს მხარდაჭერით 59-მა პროკურორმა გაიარა გადამზადება **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე დაზარალებულ და მოწმე ბავშვებთან მუშაობის სპეციფიკაზე.** ასევე, საქართველოს პროკურატურის მიერ შემუშავებული იქნა **ოჯახში ძალადობის საქმეთა გამოძიების** თავისებურებების შესახებ სასწავლო კურსი, რომლის ფარგლებშიც პროკურორები გადამზადნენ ოჯახში ძლადობის მსხვერპლ ბავშვებთან მუშაობის ფსიქოლოგიურ ასპექტებზე. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სპეციალიზებული პროკურორებისთვის შემუშავებული ყველა სასწავლო კურსი მოიცავს დაზარალებულ და მოწმე ბავშვებთან მუშაობის საკითხებს.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან კომუნიკაციის თემაზე განხორციელდა 1 სასწავლო აქტივობა, რომელშიც მონაწილეობას იღებდა 22 პროკურორი და პროკურატურის გამომძიებელი.

ღონისძიება 8.6.3. ხარისხის კონტროლისა და პროფესიული ზედამხედველობის მექანიზმის დანერგვა

2017 წლის აგვისტოს დასაწყისში, იურიდიული დახმარების სამსახურისა და გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) წარმომადგენლებმა გამართეს ერთობლივი სამუშაო შეხვედრა, რომელიც ეძღვნებოდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული ადვოკატების მიერ გაწეული საქმიანობის ხარისხის შეფასების კრიტერიუმების დანერგვას. შეხვედრაზე შემუშავდა დოკუმენტის სამუშაო ვერსია. აღნიშნულ საკითხზე შეხვედრების გამართვა დაგეგმილია 2018 წელს, რომლის დროსაც მოხდება დოკუმენტის სრულყოფა.

მიზანი 8.7. საინფორმაციო სისტემის განვითარება

ღონისძიება 8.7.1. სისხლის სამართლის პროცესის არასრულწლოვან მონაწილეებთან დაკავშირებული საინფორმაციო სისტემის დახვეწა

- განრიდებისა და მედიაციის არსებული ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამის ხარვეზების აღმოფხვრა და მისი პრაქტიკაში დანერგვა;
- შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო–ანალიტიკური დეპარტამენტი, საინფორმაციო ცენტრის მეშვეობით უზრუნველყოფს შსს-ს კომპეტენციას მიკუთვნებული სტატისტიკური ინფორმაციის აღრიცხვას, რაც გულისხმობს მონაწილე პირებზე სეგრეგირებული მონაცემების წარმოებას. არასრულწლოვანთა მიერ და არასრულწლოვანთა წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის აღრიცხვა წარმოებს განცალკევებით.

სტატისტიკური მონაცემების სრულყოფის მიზნით, საქართველოს პროკურატურა აქტიურად თანამშრომლობს გაეროს ბავშვთა ფონდთან. საერთაშორისო ექსპერტის, ასევე არასამთავრობო ორგანიზაცია „ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციისათვის“ მხარდაჭერითა და მონაწილეობით, ასევე, სხვა უწყებებთან კონსულტაციის შედეგად შემუშავდა დოკუმენტი, რომელშიც მოცემულია სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურის (მათ შორის, პროკურატურის) მიერ მოწმე, დაზარალებულ და კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვნებთან დაკავშირებით დასამუშავებელი სტატისტიკური მონაცემები და მისი პარამეტრები. აღნიშნული დოკუმენტის საფუძველზე, ამჟამად მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამის განახლება.

სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრი“ აგროვებს და 6 თვეში ერთხელ ანგარიშის სახით აქვეყნებს განრიდების პროგრამების დეტალურ სტატისტიკას, ასევე მედიაციის კომპონენტის დეტალურ მაჩვენებლებს. 2016 წელს გამოქვეყნდა 2016 წლის 6 თვის ანაგრიში და 2017 წლის დასაწყისში გამოქვეყნდა 2016 წლის ანგარიში. გაიმართა მოლაპარაკებები დონორ ორგანიზაციებთან განრიდების/განრიდებისა და მედიაციის

პროგრამის საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის შექმნასთან დაკავშირებით. 2016 წელს აღნიშული პროცესი შეჩერდა გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ ექსპერტების მოწვევის გამო, მათ მიერ შესაბამისი დასკვნის მომზადებამდე. აგრეთვე, პროკურატურის საქმისწარმოების სისტემის განახლებამდე.

ღონისძიება 8.7.2. მართლმსაჯულების სისტემაში მოხვედრილ არასრულწლოვნებთან დაკავშირებით ერთიანი სტატისტიკური ანგარიშის მომზადება

2014 წელს არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულების შესახებ სტატისტიკური მონაცემების სრულყოფის მიზნით გადაიდგა ქმედითი ნაბიჯები. მთავარი პროკურორის ბრძანებით განისაზღვრა პროკურორების მიერ მთავარი პროკურატურის ანალიტიკური სამმართველოსთვის სრულყოფილი და დეტალური სტატისტიკის მოწოდების ვალდებულება (შემუშავდა სპეციალური ცხრილები). მიღებული ინფორმაციის მოცულობა და სპეციფიკა იძლევა არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულების სხვადასხვა მიმართულებით გაანალიზების შესაძლებლობას, როგორიცაა: დანაშაულის ჩამდენ არასრულწლოვანთა ასაკი, დანაშაულის კატეგორია, ნასამართლობა, დამნაშავეთა ოჯახური და ქონებრივი მდგომარეობა, საცხოვრებელი ადგილი, აგრეთვე, აღკვეთის ღონისძიების ან სასჯელის სახეები.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო–ანალიტიკური დეპარტამენტი, საინფორმაციო ცენტრის მეშვეობით უზრუნველყოფს შსს კომპეტენციას მიკუთვნებული სტატისტიკური ინფორმაციის აღრიცხვას.

2017 წელს საქართველოს პროკურატურის მიერ მომზადდა ორი სტატისტიკური ანგარიში: კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მიმართ განხორციელებული სისხლის სამართლის პოლიტიკისა და დაზარალებული არასრულწლოვნების შესახებ. ასევე მომზადდა კრიმინოლოგიური კვლევა განრიდებული პირების შესახებ.

2017 წლის ოქტომბრის ბოლოს, გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით, საქართველოს პროკურატურაში გაიმართა კონფერენცია, რომელზეც საქართველოს პროკურატურამ ზემოაღნიშნული კვლევა და ანგარიშები წარუდგინა სხვადასხვა სტრუქტურის, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებს.

ანგარიშებიც და კვლევაც გამოქვეყნდა საქართველოს პროკურატურის ვებგვერდზე (http://pog.gov.ge/geo/news?info_id=1398) და იგი ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.

ღონისძიება 8.7.3. სისხლის სამართლის სისტემაში მოხვედრილ ბავშვებთან დაკავშირებული სრულყოფილი მონაცემთა ბაზის შექმნა

ჩატარდა კვლევა არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის გამომწვევი მიზეზების დასადგენად. შესწავლილი სისხლის სამართლის საქმეების შედეგად გამოვლინდა არასრულწლოვანთა მიერ დანაშაულის ჩადენის მიზეზები.

სტატისტიკური მონაცემების სრულყოფის მიზნით საქართველოს პროკურატურა აქტიურად თანამშრომლობს გაეროს ბავშვთა ფონდთან. საერთაშორისო ექსპერტის, ასევე არასამთავრობო ორგანიზაცია „ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციისათვის“ მხარდაჭერითა და მონაწილეობით, ასევე, სხვა უწყებებთან კონსულტაციის შედეგად შემუშავდა დოკუმენტი, რომელშიც მოცემულია სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურის (მათ შორის, პროკურატურის) მიერ მოწმე, დაზარალებულ და კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვნებთან დაკავშირებით დასამუშავებელი სტატისტიკური მონაცემები და მისი პარამეტრები. აღნიშნული დოკუმენტის საფუძველზე, ამჟამად მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამის განახლება.

სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის ორგანიზებით 2017 წელს 3 შეხვედრა გაიმართა ბავშვებთან დაკავშირებულ მონაცემთა სრულყოფილი ბაზის შექმნის მიზნით. შეხვედრებზე განიხილეს როგორც მონაცემთა დამუშავების, ასევე შესაბამის უწყებებში არსებული საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის შესაძლებლობის საკითხები. შესწავლილ იქნა უწყებების რესურსი ინფორმაციის გაცვლის კუთხით. გარდა ამისა, ამ მიმართულებით სხვადასხვა უწყებაში სამუშაოების ჩასატარებლად და სათანადო ბაზის მოსამზადებლად, გაეროს ბავშვთა ფონდმა (UNICEF) გამოაცხადა ტენდერი. ამასთანავე, ფონდის მიერ შემუშავდა კონცეფცია უწყებებს შორის მონაცემთა გაცვლისა და ანალიზის თაობაზე.

სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურმა, 2017 წლის განმავლობაში, განახორციელა შემდეგი სახის აქტივობები:

- პროექტის ,,მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უფლება ბავშვებისათვის“ ფარგლებში, 2017 წლის ივლისში, თბილისისა და ქუთაისის ბიუროებში იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატებისათვის გაიმართა სამუშაო შეხვედრა ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-3 დამატებითი ოქმის შესახებ. აღნიშნული პროექტი გაეროს ბავშვთა ფონდისა და არასამთავრობო ორგანიზაციის ,,პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ (PHR) მიერ ხორციელდება 2016 წლიდან, ევროკავშირის დაფინანსებით. პროექტის მიზანია ბავშვების, სკოლის მასწავლებლების, იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ინფორმირებულობის გაზრდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისა და გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-3 დამატებითი ოქმის შესახებ.

პროექტის ფარგლებში, მზადდება მართლმსაჯულებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სისტემებში ჩართული ბავშვებისათვის ორი სხვადასხვა სახის საინფორმაციო-საგანმანათლებლო პაკეტი, რომელიც მოიცავს ინფორმაციას სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლით განსაზღვრული პროცესუალური უფლებების, აგრეთვე ბავშვის უფლებათა კონვენციისა და შეტყობინების პროცედურების შესახებ.

პროექტი ითვალისწინებს საჯარო სემინარებისა და სამუშაო შეხვედრების მოწყობას ბავშვებისათვის და სკოლის მასწავლებლებისათვის თბილისსა და საქართველოს შემდეგ რეგიონებში: იმერეთი, კახეთი, გურია, მცხეთა-მთიანეთი, ქვემო ქართლი; ასევე, სამუშაო

შეხვედრების ორგანიზებას არასამთავრობო ორგანიზაციებთან და იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატებთან.

სამუშაო შეხვედრა განხორციელდა ევროკავშირის დაფინანსებით მიმდინარე პროექტის ფარგლებში - ,,მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება და ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების სისტემის განვითარება საქართველოში“.

- სხვადასხვა უწყებაში ბავშვზე მორგებული გარემოს შექმნის მიზნით, გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მიერ შემუშავდა შესაბამისი კონცეფცია. გარდა ამისა, 2017 წელს მიმდინარეობდა მუშაობა იმაზე, რომ მომხდარიყო უწყებებს შორის ერთიანი შეთანხმების მიღწევა – ერთ ქალაქში მდებარე ყველა უწყებაში (პროკურატურა, სასამართლო, პოლიცია, იურიდიული დახმარების სამსახური) მოწყობილიყო მსგავსი ოთახი, რომელიც მორგებული იქნებოდა არასრულწლოვანთა მოთხოვნებსა და საჭიროებებზე. აღნიშნულზე მუშაობის გაგრძელება დაგეგმილია 2018 წელსაც. ერთიანი პოზიციის მიღწევის შემდეგ, ყველა უწყებაში, მათ შორის იურიდიული დახმარების სამსახურში, კერძოდ კი – თბილისის ან/და ქვემო ქართლის იურიდიული დახმარების ბიუროში, ფუნქციონირებას დაიწყებს არასრულწლოვანთათვის განკუთვნილი სპეციალიზებული ოთახი.

საანგარიშო პერიოდში შსს-ს არ განუხორციელებია მართლმსაჯულების სისტემაში მოხვედრილ არასრულწლოვნებთან დაკავშირებით ანალიტიკური კვლევების მომზადება.

მიზანი 8.8 საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება და განათლება

ღონისძიება 8.8.1 არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებთან დაკავშირებით განხორციელებული და დაგეგმილი რეფორმების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით საინფორმაციო კამპანიის დაგეგმვა

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიღების შემდეგ, იუსტიციის სამინისტრომ აკადემიური/საუნივერსიტეტო წრეების, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან საჯარო კონსულტაციები გამართა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ძირითად და კონცეპტუალურ საკითხებთან დაკავშირებით.

ღონისძიება 8.8.2 არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შესახებ საუნივერსიტეტო მოდულის შემუშავება და დანერგვა

გაეროს ბავშვთა ფონდმა 2013 წელს შეიმუშავა საუნივერსიტეტო კურსი, რომელიც მოიცავდა სამოდელო სილაბუსს, სახელმძღვანელოს ლექტორებისთვის და ასევე საკითხავ მასალას სტუდენტებისთვის (ქართულ ენაზე). მასალა დაინერგა საქართველოს სხვადასხვა უნივერსტეტში. კურსი ძირითადად არის არჩევითი და დამოკიდებულია სტუდენტების რაოდენობაზე. კურსი ძირითადად განკუთვნილია სამართლის და საერთაშორისო სამართლის სტუდენტებისთვის, თუმცა მოხდა მისი მოდიფიცირება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალური მუშაობის სტუდენტებისთვისაც.

9. იურიდიული განათლების რეფორმა

იურიდიული განათლების რეფორმა ითვალისწინებს გამჭვირვალე იურიდიულ განათლების სისტემის შექმნას, რომელიც უზრუნველყოფს იურიდიული პროფესიის ხელმისაწვდომობას, მის განვითარებას, განათლების ხარისხის ამაღლებასა და უწყვეტი განათლების მიღების სისტემის დანერგვას.

2017 წლის საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის შესახებ“ შესაბამისად განხორციელდა 2 სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაცია. შესაბამისად, საქართველოში მოქმედი სამართლის ყველა (სულ - 87) საგანმანათლებლო პროგრამა (ბაკალავრიატი,

მაგისტრატურა, დოქტორანტურა) ხორციელდება აკრედიტებულ რეჟიმში. სამართლის მიმართულების პროგრამებს ახორციელებს საქართველოში მოქმედი 35 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება.

➢ იურიდიული განათლების ხელმისაწვდომობა

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტების მიღების წესსა და პირობებს. აღნიშნული სტანდარტები ვრცელდება იურიდიულ განათლებაზეც. იურიდიულ ფაკულტეტებსა და სასწავლებლებში მიღება წარმოებს კანონით დადგენილი ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გზით. არსებული სისტემა გამჭვირვალე და ობიექტური გამოცდების ჩატარების გზით უზრუნველყოფს სტუდენტთათვის სახელმწიფო დაფინანსების მოპოვების თანაბარ შესაძლებლობას.

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სავალდებულო მიღების წინაპირობად დადგენილია უმაღლესიგანათლების სამართლის მიმართულების წინა საფეხურის (ბაკალავრიატის) შესაბამისი კვალიფიკაციის ფლობის აუცილებლობა.

- ***აკრედიტაციის სტანდარტების და სამართლის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლების გადახედვა და შინაარსობრივი დახვეწა***

2017 წლის საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შემუშავდა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის განახლებული სტანდარტების პროექტი. შემუშავებული დოკუმენტით განისაზღვრა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების კრიტერიუმები და ინდიკატორები. დოკუმენტი განსახილველად გაეგზავნა ყველა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას და, ასევე, განათლების სფეროს საერთაშორისო და ადგილობრივ ექსპერტებს.

შემუშავებული პროექტი დეტალურად იქნა განხილული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების და სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ერთობლივად ორგანიზებულ რამდენიმე კონფერენციაზე, რომელსაც ესწრებოდნენ განათლების სფეროს ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტები, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანამშრომლები, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები.

მნიშვნელოვანია, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების პროექტზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან მიღებული შენიშვნების, ჩატარებულ კონფერენციებზე გამოთქმული მოსაზრებებისა და ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების რეკომენდაციების საფუძველზე დაიხვეწა და მიიღო საბოლოო სახე **უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების პროექტმა.** მისი დამტკიცება იგეგმება 2018 წლის პირველ კვარტალში.

ასევე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროექტის - „ისწავლე საქართველოში“ (STUDY IN GEORGIA) ფარგლებში, აკრედიტაციის სტანდარტების განახლებული პროექტის შესაბამისად განხორციელდა სამართლის მიმართულებით 8 (3 საბაკალავრო, 3 სამაგისტრო და 2 სადოქტორო) საგანმანათლებლო პროგრამის განმავითარებელი შეფასება. ამ მიზნით, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები გაფორმდა 3 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან. სამართლის მიმართულების პროგრამების შეფასებაში უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ადგილობრივ ექსპერტებთან ერთად, მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო ექსპერტებმა, სტუდენტებმა და დამსაქმებლებმა. ექსპერტთა ჯგუფებმა წარმოადგინესშესაბამისი დასკვნები, სადაც ასახულიამათი რეკომენდაციები და რჩევები, რომელიც ხელს შეუწყობს, როგორც საქართველოში მოქმედი სამართლის საგანმანათლებლო პროგრამების დახვეწას, ასევე სამართლის მიმართულების დარგობრივი მახასიათებლების განვითარებას.

ამასთან, საანგარიშო პერიოდში შეიცვალა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებიც, რომლებიც უზრუნველყოფენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სრულყოფილ და მრავალმხრივ შეფასებას.

საგულისხმოა, რომ ავტორიზაციისა და აკრედიტაციის განახლებული სტანდარტები და პროცედურები სრულ შესაბამისობაშია **ევროპული უმაღლესი განათლების სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებსა და სახელმძღვანელო პრინციპებთან (ESG - 2015)**, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს **საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ გაფორმებული შეთანხმებით** გათვალისწინებული რეკომენდაციების შესრულებას.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტის გადახედვასთან ერთად, მიმდინარეობს **სამართლის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლის** განახლების პროცესიც. ამ მიზნით, დამტკიცდა **უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოების შექმნისა და საქმიანობის წესი,** რომლის შესაბამისადაც, სამართლის დარგობრივი მახასიათებლის განახლების მიზნით, ყველა დაინტერესებულ მხარეს (უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, სამინისტროებს, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს, მეცნიერებათა აკადემიას, განათლების სამინისტროს სისტემაში შემავალ სხვადასხვა საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს და სხვა ინსტიტუციებს) გაეგზავნა კორესპონდენცია, რომ ზემოაღნიშნული წესით გათვალისწინებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით წარმოედგინათ სამართლის მიმართულების დარგობრივი საბჭოს წევრობის კანდიდატურები.

ამასთან, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა დაამტკიცა პროფესიული და უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოების ადმინისტრაციული მხარდაჭერისა და შესაძლებლობების გაძლიერების ხელშეწყობის პროგრამა, რომლის ხელშეწყობითაც რეგულირებად პროფესიებში დარგობრივი მახასიათებლების შექმნისა და განახლების მიზნით, ზემოაღნიშნული დაწესებულებებიდან წარმოდგენილი კანდიდატურების განხილვის შედეგად შეიქმნა დარგობრივი საბჭოები. **სამართლის**

მიმართულების დარგობრივი საბჭო დამტკიცდა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებით. დარგობრივ საბჭოში შედიან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ სამართლის მიმართულებით არჩეული აკადემიური პერსონალი, რომლებსაც გააჩნიათ როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული გამოცდილება; ასევე, დარგობრივ საბჭოში შედიან საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლებისა და სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლები.

სამართლის განახლებული დარგობრივი მახასიათებლის ძირითადი მიზნები იქნება: ა) განსაზღვროს მინიმალური ცოდნა, უნარები ან/და კომპეტენციები, რომლებიც უნდა ჰქონდეს შესაბამისი კვალიფიკაციის (ბაკალავრი, მაგისტრი, დოქტორი) მფლობელს; ბ) განსაზღვროს აუცილებელი ცოდნა, უნარები ან/და კომპეტენციები, რომლებიც უნდა ჰქონდეს შესაბამისი რეგულირებადი პროფესიის მქონე პირს; გ) ხელი შეუწყოს სტუდენტების ადგილობრივ ან/და საერთაშორისო მობილობასა და ერთობლივი/გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას; დ) ხელი შეუწყოს პროგრამის მოქნილობასა და მრავალფეროვნებას; ასევე, წაახალისოს სასწავლო პროცესში ინოვაციურისწავლა/სწავლების მეთოდების, შეფასების მეთოდებისა და კრიტერიუმების გამოყენება; ე) დანერგოს და ასახოს აკადემიურ საზოგადოებასთან შეთანხმებული ერთიანი ხედვა დარგის ძირითადი მახასიათებლებისა და სტანდარტების შესახებ.

- ***აკრედიტაციის პროცედურის ცვლილება***

საანგარიშო პერიოდში ცვლილებები განხორციელდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებაში", რომლის მიხედვითაც გადაიხედა და განახლდა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცედურები. ცვლილებების თანახმად, აკრედიტაციის პროცესს დაემატა შესაბამისი ახალი პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების სრულფასოვან და სიღრმისეულ შეფასებას.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სრულყოფილი და სიღრმისეული შეფასების მიზნით, აკრედიტაციის პროცესს დაემატა შემდეგი ეტაპები:

- აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ აკრედიტაციის მაძიებლის თვითშეფასების ანგარიშის და მასზე თანდართული დოკუმენტაციის წინასწარი შესწავლა და ვიზიტის დღის წესრიგის შემუშავება;
- ვიზიტისგანხორციელებაწინასწარშემუშავებულიდღისწესრიგისმიხედვით;
- სააკრედიტაციო ვიზიტის ბოლო დღეს აკრედიტაციის მაძიებელი დაწესებულების წარმომადგენლებთან შემაჯამებელი შეხვედრის გამართვა და მათთვის ძირითადი მიგნებების გაცნობა;
- აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის შედგენა და ცენტრში წარდგენა;

- დასკვნის პროექტის შესაბამისობის დადგენა წინასწარ განსაზღვრულ მოთხოვნებთან (დასკვნაში წარმოდგენილი ინფორმაცია უნდა იყოს მკაფიო და ნათელი, ენობრივად გამართული, არგუმენტირებული და მტკიცებულებებით გამყარებული);
- აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის არგუმენტირებული პოზიციის სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენა დასკვნის პროექტში ასახულ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით;
- აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასკვნის საბოლოო სახით ჩამოყალიბება და სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენა;
- აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების, ოქმისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის გამოქვეყნება.

ასევე, განხორციელებული ცვლილებების თანახმად, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შემთხვევაში, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობაში შედიან ექსპერტთა კორპუსის წევრები – სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ადმინისტრაციული/აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალი და სტუდენტი. დამატებით, შემადგენლობაში შეიძლება შედიოდნენ საერთაშორისო ექსპერტ(ებ)ი, დამსაქმებლები; რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში –შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოს ან/და პროფესიული ასოციაციის წარმომადგენლები და სხვა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები.შესაბამისად, აღნიშნული ცვლილების შემდგომ დაგეგმილი აკრედიტაციის ყველა ჯგუფის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს სტუდენტებმა. რაც შეეხება დამსაქმებლების ჩართულობას, უმრავლეს შემთხვევაში, მათი ჩართულობაც იყო უზრუნველყოფილი. შესაბამისად, თითოეული პროგრამის შესაფასებლად შერჩეულ ექსპერტებს ჰქონდათ სათანადო მიმართულების/დარგის კვალიფიკაცია. ამასთან, თითოეული ვიზიტის და გეგმვისას გათვალისწინებულ იქნა შესამოწმებელი პროგრამების რაოდენობა და შესაფასებელი დოკუმენტაციის მოცულობა.

განხორციელებული ცვლილებების თანახმად, განისაზღვრააკრედიტაციის საბჭოს საქმიანობის წესი და პრინციპები. აღნიშნული ცვლილებები უზრუნველყოფს აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილებების მიღების პროცესის ობიექტურობას, სამართლიანობასა და გამჭვირვალობას.

მნიშვნელოვანია, რომ ზემოაღნიშნული ცვილებები დაეყრდნო ევროპის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებსა და სახელმძღვანელო პრინციპებს (ESG - 2015). შესაბამისად, აკრედიტაციის დებულების პროცედურულ ნაწილში განხორციელებული ცვლილებები თვისებრივად ცვლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს, ის ხდება განათლების ხარისხის განვითარებაზე ორიენტირებული და იძლევა საშუალებას სრულყოფილად და ობიექტურად შეფასდეს საგანმანათლებლო პროგრამები.

- ***აკრედიტაციის ექსპერტთა შემადგენლობის გადახალისება***

დამტკიცდა ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ახალი ეთიკის კოდექსი და ასევე ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესი. აღნიშნულმა დოკუმენტებმა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები დაუწესეს აკრედიტაციის ექსპერტებს.

ახალი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად, 2017 წლის განმავლობაში გამოცხადდა კონკურსი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის მიზნით. მნიშვნელოვანია, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის მიზნით კონკურსი გამოცხადდა ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოთი გათვალისწინებული მიმართულებებისა და დარგების მიხედვით.

გამოცხადებული კონკურსის საფუძველზე, საანგარიშო პერიოდში შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ახალი კორპუსი. შესაბამისად, კორპუსის ფორმირების შემდგომ ყველა იმ ექსპერტს, რომელმაც ვერ დააკმაყოფილა ახალი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ან კონკურსში არ შემოიტანა განაცხადი, შეუწყდა ექსპერტის სტატუსი. აღსანიშნავია, რომ აკრედიტაციის განახლებული პროცედურების შესაბამისად, აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსში პირველად შევიდნენ სტუდენტები და დამსაქმებლები.

ასევე, განახლდა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საერთაშორისო ექსპერტთა შემადგენლობა. დღეის მდგომარეობით, ცენტრის ექსპერტთა კორპუსის შემადგენლობაში კონკრეტული დარგებისა და სპეციალობების მითითებით შეყვანილია 220 (მათ შორის, სამართლის მიმართულებით - 30 ექსპერტი) აკრედიტაციის საერთაშორისო ექსპერტი.

10. სახალხო დამცველის აპარატის გაძლიერება

სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში, საქართველოს სახალხო დამცველის ინსტიტუტი აგრძელებდა 2017 წელს შემუშავებული სტრატეგისა და სამოქმედო გეგმის განხორციელებას, რომელიც აღნიშნულ სფეროში საქართველოს სახალხო დამცველის ძირითად მიმართულებებსა და მათ მისაღწევად აუცილებელ ნაბიჯებს ითვალისწინებს.

აპარატის საქმიანობის არსებითად შემაფერხებელ გარემოებად საანგარიშო პერიოდში, სამწუხაროდ, რჩებოდა და მიმდინარე მომენტისათვის კვლავ პრობლემაა თბილისში სახალხო დამცველის აპარატის შენობისმდგომარეობა. სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2013 წლის საინჟინრო ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სახალხო დამცველის აპარატის შენობის ტექნიკური

კვლევისას აღმოჩენილი დეფორმაციების, ბზარების მოხაზულობისა და მათი გავრცელების ხასიათიდან გამომდინარე, ხანგრძლივი ექსპლუატაციისას (დასკვნა 5 წლის წინ არის შედგენილი და მას შემდეგ ვიზუალური დათვალიერებითაც თვალსაჩინოა მნიშვნელოვნად გაუარესებული მდგომარეობა) მოსალოდნელია მზიდი კონსტრუქციების მნიშვნელოვანი დასახიფათო დაზიანებების წარმოშობა. შენობის აღნიშნული მდომარეობა და ფართობის სიმწირე სერიოზულად აფერხებს სახალხო დამცველის ეფექტურ საქმიანობას,საფრთხეს უქმნის და არასათანადო სამუშაო პირობებში ამყოფებსაპარატში დასაქმებულ თანამშრომელბს.

მიზანი 10.1. შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება სახალხო დამცველის როლის, დამოუკიდებლობისა და მანდატის გაძლიერებისთვის

2017 წელს საქართველოს კონსტიტუციაში შესული ცვლილებებით გარკვეულ ნაწილში სახალხო დამცველის კონსტიტუციური მანდატი გაუმჯობესდა. ცვლილებების თანახმად, სახალხო დამცველის არჩევა ხდება 6 წლის ვადით დამისი ხელმეორედარჩევა იკრძალება; კონსტიტუციით განესაზღვრა სისხლის სამართლებრივი იმუნიტეტი; სახალხო დამცველის არჩევა მოხდება 3/5-ით და, შესაბამისად, პოლიტიკური კონსესუსის აუცილებლობა იზრდება; ამ საკითხების ასახვის მიზნით საჭირო იქნება საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება 2018 წელს.

2017 წლის 25 აპრილს საქართველოს სახალხო დამცველმა წერილობით მიმართა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის გაუმჯობესების მიზნით განსახორციელებელი ცვლილებების განხილვის მოთხოვნით.

აღნიშნული კანონის გაუმჯობესების მიზნით, ჯერ კიდევ 2015 წლის 11 თებერვალს საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოს პარლამენტს მიმართა საკანონმდებლო წინადადებით, რომელიც, მათ შორის, კერძო პირებისთვის სახალხო დამცველის კანონიერი მოთხოვნის შესრულების დავალდებულებას გულისხმობს.

მიზანი 10.2. სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობის ეფექტურობის გაზრდა და მოქალაქეთა ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება

2017 წელს, 2016 წლის მსგავსად, საქართველოს სახალხო დამცველისადმი მომართვიანობა მაღალი იყო. ადამიანის უფლებების სავარაუდო დარღვევის ფაქტების შესახებ სახალხო დამცველი ინფორმაციას იღებდა:

- სახალხო დამცველის რომელიმე ოფისში ადგილზე ვიზიტით და განცხადება/საჩივრის რეგისტრაციით;
- ელექტრონული ფოსტის მეშვეობით: info@ombudsman.ge ; office@ombudsman.ge;
- სოციალური ქსელით: www.facebook.com/OmbudsmanofGeorgia;
- საქალაქო ნომრის საშუალებით **(032) 2-23 44 99;**
- ცხელ ხაზზე შემოსული შეტყობინებით - **14-81.**

საანგარიშო პერიოდში ფუნქციონირებდა სახალხო დამცველის ცხელი ხაზი **14–81,** რომელიც ადამიანის უფლებების დარღვევის შესახებ ინფორმაციას 24 საათის განმავლობაში იღებს ქვეყნის ნებისმიერი ადგილიდან. ცხელ ხაზზე დარეკვა შესაძლებელია როგორც საქალაქო, ისე მობილური ოპერატორებიდან. საანგარიშო პერიოდში შემოსულ შეტყობინებებზე, თბილისის მასშტაბით დაუყოვნებელ რეაგირებას ახდენდა მობილური ჯგუფი.

2017 წელს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების შესახებ შემოვიდა 7697 განცხადება, აქედან დასაშვებად იქნა ცნობილი 5427 განცხადება. კონსულტანტის მომსახურებით ისარგებლა 2542–მა ვიზიტორმა, ხოლო ცხელ ხაზზე სულ შემოვიდა 4801 ზარი.

ღონისძიება 10.2.1. საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამა

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში 2013 წლიდან დაიწყო საქმის წარმოების ელექტრონული სისტემის დანერგვა. სისტემაში ჩართულია აპარატის როგორც ცენტრალური, ისე რეგიონალური ოფისები. აპარატის შიდა ელექტრონული დოკუმენტბრუნვის ნაწილი დღეისათვის მიმდინარეობს ელექტრონული ფორმით. ოფისის ყოველდღიურ საქმიანობაში სისტემის ეფექტური დანერგვის მიზნით, თანამშრომლები პერიოდულად გადიან ტრენინგების კურსს. მომავალში დაგეგმილია ელექტრონულ სისტემის სრული ინტეგრირება და, ასევე, მისი ფუნქციური და ტექნიკური შესაძლებლობების გაუმჯობესება.

ღონისძიება 10.2.2. სახალხო დამცველის რეგიონული ოფისების, ადგილობრივი წარმომადგენლებისა და არსებულ რეგიონულ ოფისებში ადამიანური რესურსის ზრდა

სახალხო დამცველი 2017 წელსაც აგრძელებდა რეგიონებში მისი საქმიანობის გაძლიერებას როგორც წარმომადგენლობის გაზრდის, ასევე სხვადასხვა აქტივობების განხორციელების გზით.ეს მიზნად ისახავდა რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას, მათი აქტიურობისა და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობის გაზრდას და იმ სოციალ-ეკონომიკური მიმართულებების იდენტიფიცირებას, რომელზეც სახალხო დამცველმა უნდა გააძლიეროს მუშაობა და მიმართოს შესაბამისი სახელმწიფო უწყებების ყურადღება.

ქვეყნის მასშტაბით სახალხო დამცველის 9 რეგიონული ოფისი ფუნქციონირებს:

2017 წელს საქართველოს სახალხო დამცველმა მესტიაში ზემო სვანეთის რეგიონული ოფისი გახსნა. ამჟამად, 9 რეგიონულ ოფისში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ თანამდებობაზე დასაქმებულია 21 თანამშრომელი. ხოლო, იმ რეგიონებში, სადაც სახალხო დამცველის ოფისი არ ფუნქციონირებს, სხვადასხვა დონორი ორგანიზაციის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში 2017 წელს საქმიანობდა 10 საკონტაქტო პირი.

საანგარიშო პერიოდში რეგიონებში სახალხო დამცველის 30 წარმომადგენელი საქმიანობდა.

გარდა რეგიონალური ოფისებისა სახალხო დამცველს რეგიონების მიხედვით საკონტაქტო პირები ჰყავს:

- რაჭა–ლეჩხუმში, ქვემო სვანეთში;
- სამეგრელო-ზემო სვანეთში;
- ახალციხეში, ადიგენში, ბორჯომში;
- ლაგოდეხში, სიღნაღში, დედოფლისწყაროში;
- გურიაში;
- ფოთში.

2017 წელს რეგიონული დეპარტამენტის მიერ მომზადდა 5 წინადადება და 4 რეკომენდაცია. საკონტაქტო პირების მეშვეობით ჩატარდა გასვლითი შეხვედრა საქართველოს 230 სოფლის მოსახლეობასთან.

მიზანი 10.3. ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის ზრდა

2016 წელს სახალხო დამცველმა გამოაქვეყნა 20 სპეციალური ანგარიში:

- არასრულწლოვანი ბრალდებულის უფლებებს სისხლის სამართლის პროცესში;
- „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონის ანალიზი და რეკომენდაციები;
- ქალთა და ბავშვთა უფლებები აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში 2014-2016 წლებში;
- საქართველოში თამბაქოს კონტროლის სფეროში არსებული მდგომარეობის შესახებ;
- ქალთა უფლებრივი მდგომარეობა და გენდერული თანასწორობა;
- ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ;
- 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შესახებ;
- იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ;
- კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის უფლებრივი მდგომარეობის შესახებ;
- ოჯახში ძალადობისაგან დამცავი მექანიზმების შეფასება;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ;
- ფსიქიკური ჯანდაცვის დაწესებულებათა პრივატიზაცია საქართველოში შეფასება, დასკვნები და რეკომენდაციები საქართველოს მთავრობისთვის;
- პრევენციის ეროვნული მექანიზმის წლიური ანგარიში;
- ოჯახში ძალადობისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებების (თავშესაფრის) მონიტორინგის ანგარიში;
- ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა მიმართ ძალადობის კუთხით არსებული მდგომარეობის შესახებ;
- დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ;

- სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „გადასასვლელების გაუქმების გავლენა აფხაზეთის გამყოფ ხაზზე მცხოვრები მოსახლეობის უფლებრივ მდგომარეობაზე“;
- დისციპლინური წარმოება მოქალაქეთა საჩივრების საფუძველზე საქართველოს მთავარი პროკურატურის, შინაგან საქმეთა, სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტროებისა და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლების მიმართ;
- ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელება საქართველოში - მონიტორინგის შედეგები;
- 2017 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ.

2017 წელს გამოქვეყნდა სახალხო დამცველის 2016 წლის საპარლამენტო ანგარიში.

სახალხო დამცველის ყოველთვიური ელექტრონული ბიულეტენი

2014 წლის იანვრიდან ყოველთვიურად გამოდის ორენოვანი საინფორმაციო ბიულეტენი, რომელიც სახალხო დამცველის აპარატის ყოველთვიურ შინაარსობრივ საქიანობას და სხვა აქტივობებს მიმოიხილავს. მისი მიზანია სახალხო დამცველის, როგორც მიმდინარე, ისე სამომავლო საქმიანობის შესახებ საზოგადოების სხვადასხვა დაინტერესებული ჯგუფებისათვის ინფორმაციის მიწოდება; ის ასევე ემსახურება ადამიანის უფლებების აქტუალურ საკითხებზე მიმდინე მოვლენების გაშუქებას. 2017 წლის მაისიდან საინფორმაციო ბიულეტენი გახდა კვარტალური; სულ წლის განმავლობაში გავრცელდა 5 ყოველთვიური და 2 კვარტალური ბიულეტენი.

ღონისძიება 10.3.1. ადამიანის უფლებათა დაცვის, საქართველოს კანონმდებლობის და საერთაშორისო სტანდარტების შესახებ საგანმანათლებლო აქტივობების (ტრენინგები, სემინარები და სამუშაო შეხვედრების) ორგანიზება

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის თანახმად, ადამიანის უფლებების შესახებ საგანმანათლებლო საქმიანობის წარმართვა, ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების შესახებ საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების ცნობიერების ამაღლება სახალხო დამცველის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფუნქციას წარმოადგენს. ამ ფუნქციის ეფექტურად შესრულებისათვის, 2015 წელს სახალხო დამცველმა ადამიანის უფლებათა აკადემია შექმნა, რომლის საქმიანობა წლიდან წლამდე უფრო მასშტაბური ხდება;

ადამიანის უფლებათა აკადემია სახალხო დამცველის აპარატის სტრუქტურული ერთეულია, რომელიც მიზნად ისახავს ადამიანის უფლებების სფეროში სამართლებრივი და სხვა ასპექტების შესახებ სამიზნე ჯგუფების ცოდნის გაღრმავებას, ინტენსიური სასწავლო კურსების მეშვეობით.

2017 წელს სახალხო დამცველის ადამიანის უფლებათა აკადემიის ფარგლებში ჩატარდა 15 თემატური სასწავლო კურსი, რომელშიც მონაწილეობა 347 პირმა მიიღო.

2017 წელს 7 საჯარო დებატი გაიმართა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობითა და ევროკავშირის დაფინანსებით, ისეთ თემებზე როგორიცაა:

- ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში არსებული საინფორმაციო გარემოს შესახებ;
- ავტოსაგზაო შემთხვევებით გამოწვეული სიკვდილიანობა და საგზაო უსაფრთხოების პრობლემები საქართველოში;
- სექსუალური შევიწროება - რა გამოწვევების წინაშე ვდგავართ;
- ქალთა, შშმ პირთა და ბავშვთა შრომა: პრობლემები და გამოწვევები;
- უცხოელებისა და ნეიტრალური დოკუმენტის მქონე პირთა უფლებები და სახელმწიფო უსაფრთხოება;
- 2008 წლის ომის დროს ჩადენილი დანაშაულების გამოძიება და უსაფრთხოების გამოწვევები;
- თვითმმართველობის არჩევნების გენდერული პოლიტიკა.

2017 წლის ფარგლებში გაიმართა საინფორმაციო შეხვედრები საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ, რიგ შემთხვევებში რეგიონულ დეპარტამენტთან ერთად.

ღონისძიება 10.3.2. ადამიანის უფლებების შესახებ სოციალური რეკლამების დამზადება და ეთერით გაშვება

2017 წელს დამზადდა და სხვადასხვა ტელევიზიის ეთერით გავრცელდა სახალხო დამცველის საინფორმაციო კამპანიების სოციალური რეკლამები:

- სახალხო დამცველის საინფორმაციო კამპანია - „გახადე შრომა უსაფრთხო“;
- სახალხო დამცველის საინფორმაციო კამპანია - „საზოგადოება წამების წინააღმდეგ“;
- სახალხო დამცველის საინფორმაციო კამპანია - „რა არის დისკრიმინაცია?“.

ღონისძიება 10.3.3. ახალგაზრდებისთვის ინტერნეტ კონკურსის – "მე ომბუდსმენი" – ორგანიზება

„მე – ომბუდსმენი“ საქართველოს სახალხო დამცველის მიერ ორგანიზებული ტრადიციული კონკურსია, რომელიც ადამიანის უფლებათა საკითხებში 13–18 წლის სკოლის მოსწავლეების დაინტერესებისა და ცნობიერების ამაღლებისთვისაა განკუთვნილი.

2017 წელს კონკურსი „მე ომბუდსმენი“, ევროკავშირის პროექტის „სახალხო დამცველის აპარატის ხელშეწყობა“ ფინანსური დახმარებითმერვედ გაიმართა. თამაში 2 ოქტომბერს დაიწყო და რეგისტრაცია 434 გუნდმა - 868 მოსწავლემ გაიარა. 2017 წლის 4 დეკემბერს, საქართველოს სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა და ევროკავშირის ელჩმა

საქართველოში იანოშ ჰერმანმა კონკურსის „მე ომბუდსმენი 2017“ გამარჯვებული მოსწავლეები დააჯილდოვეს.

მიზანი 10.4. სახალხო დამცველის აპარატის ინსტიტუციური მდგრადობის შენარჩუნება და გაძლიერება. თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა

2017 წლის განმავლობაში სახალხო დამცველის სხვადასხვა დეპარტამენტის შესაძლებლობების გაძლიერების კუთხით განხორციელდა ტრენინგები და სასწავლო ვიზიტები.

ღონისძიება 10.4.1. ტოლერანტობის ცენტრის და მასთან არსებული რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების საბჭოების შემდგომი განვითარება

საანგარიშო პერიოდის (2017წ.) განმავლობაში, ტოლერანტობის ცენტრი რეგულარულად ახორციელებდა ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების უფლებრივი მდგომარეობის მონიტორინგს და ანალიზს. ტოლერანტობის ცენტრმა მოამზადა სახალხო დამცველის 2016 წლის საპარლამენტო ანგარიშის შესაბამისი თავები რელიგიის თავისუფლების ეთნიკური უმცირესობების შესახებ.

ცენტრი ასევე კოორდინირებას უწევდა საქართველოს სახალხო დამცველთან არსებულ რელიგიათა და ეთნიკურ უმცირესობათა საბჭოების მუშაობას.

ტოლერანტობის ცენტრის ფარგლებში, ჩატარდა 7 გასვლითი ვიზიტი რეგიონში. (აქედან 4 გასვლითი ვიზიტი მოიცავდა რეგიონებში მონიტორინგის ჩატარებას, რომლის ფარგლებში გაიმართა 98 შეხვედრა ადგილობრივ თვითმმართველობებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, მედიასთან, კულტურის ცენტრებთან, საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, სხვადასხვა რელიგიურ გაერთიანებებთან ა.შ.). საანგარიშო პერიოდში ჩატარდა 3 ღონისძიება (ჰოლოკოსტის ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიება, ვიქტორინა „ეთნოსები და რელიგიები საქართველოში“ სამცხე ჯავახეთის სკოლის მოსწავლეებისთვის, და ტოლერანტობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება), გამოიცა სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭოს მიერ მიღებული რეკომენდაციების ამსახველი დოკუმენტი და გაიმართა მისი პრეზენტაცია. ასევე, ჩატარდა 12 სამუშაო შეხვედრა, მათ შორის, სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებთან.

ცენტრი თავის საქმიანობას და უმცირესობებთან დაკავშირებულ სიახლეებს აშუქებდა სამენოვანი ვებ-გვერდის www.tolerantoba.ge საშუალებით.

ღონისძიება 10.4.2. ბავშვის უფლებების დაცვის ცენტრის შემდგომი განვითარება

ბავშვის უფლებების ცენტრის ფარგლებში, პენიტენციურ დაწესებულებებში განხორციელდა 20 ვიზიტი. მოქალაქეებს გაეწიათ 400-მდე სატელეფონო კონსულტაცია, ხოლო განმცხადებლებთან შედგა 200-მდე შეხვედრა.

2017 წელს, საქმისწარმოების ფარგლებში, ცენტრმა იმუშავა 544 ახალ საქმეზე. ბავშვის უფლებების დარღვევებთან დაკავშირებით, გამოქვეყნდა სახალხო დამცველის 14 რეკომენდაცია.გარდა ამისა, მონიტორინგი ჩატარდა ბავშვთა 25 სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებაში.

ბავშვის უფლებების ცენტრის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს შეხვედრებში, სხვადასხვა აქციებში, კონფერენციებისა და სამუშაო ჯგუფების მუშაობაში; მათ შორის, სახალხო დამცველის მიერ ინიცირებულ კამპანიაში „უსაფრთხო სათამაშო“, გაეროს ბავშვთა ფონდის ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების სამუშაო ჯგუფის ფარგლებში, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში სამტრედიის მე–15 საჯარო სკოლის რეფორმაში და ა.შ.

ცენტრის თანამშრომლებმა ჩაატარეს 11 პრეზენტაცია და ტრენინგი. ასევე, ისინი დაესწრნენ 3 ტრენინგს.

ღონისძიება 10.4.3. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის დეპარტამენტის განვითარება

2017 წელს შშმ პირთა უფლებების დაცვის დეპარტამენტის მიერ მომზადდა 8 რეკომენდაცია, 2 წინადადება, 5 საჯარო განცხადება, 2015 წლის საპარლამენტო ანგარიშში ასახული რეკომენდაციების შესრულების ანალიზი, გავრცელდა 31 რელიზი.

მომზადდა კომენტარები (შენიშვნები) შშმ პირთა უფლებების შესახებ კანონპროექტზე, ასევე ,,სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე. ჩატარდა 2 ტრენინგი შშმ პირთა უფლებებზე.გაიმართა 2 სპეციალური ანგარიშის პრეზენტაცია.

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა მინდობით აღზრდის სერვისის მიმწოდებელი მიმღები ოჯახის 1 არაგეგმიური მონიტორინგი. ასევე, 1 არაგეგმიური მონიტორინგი განხორციელდა თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლში, 2 ვიზიტი დუშეთის შშმ პირთა პანსიონატში, 1 არაგეგმიური მონიტორინგი მარტყოფის შშმ პირთა პანსიონატში, 9 ვიზიტი ფსიქიკური ჯანმრთელობის დაწესებულებებში, 6 ვიზიტი პენიტენციური დეპარტამენტის დაწესებულებებში, 1 ვიზიტი ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ფსიქიატრიული ექსპერტიზის დეპარტამენტში, 17 ვიზიტი საჯარო სკოლებში და 1 ვიზიტი ხანდაზმულთა სათემო მომსახურებაში.

შშმ პირთა შრომისა და დასაქმების უფლების მონიტორინგის ფარგლებში ჩატარდა 6 ფოკუს–ჯგუფი. გარდა ამისა, ჩატარდა გაეროს შშმ პირთა კონვენციის იმპლემენტაციის მონიტორინგის საკონსულტაციო საბჭოს 4 შეხვედრა, გაიმართა კონვენციის იმპლემენტაციის მონიტორინგის ჯგუფის წევრთა კონკურსი და შეირჩნენ ჯგუფის ახალი წევრები. ჩატარდა კონკურსი და შეირჩა შშმ პირებისთვის სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურული საქმიანობის სპეციალისტი.

გასვლითი შეხვედრები გაიმართა 8 თვითმმართველ ერთეულში. ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხებზე ჩატარდა 5 სამუშაო შეხვედრა, ხოლო 1 შეხვედრა ბავშვთა რეაბილიტაციის საკითხებზე.

ასევე, დეპარტამენტის თანამშრომლები დაესწრნენ 7 ტრენინგს და სასწავლო ვიზიტით იმყოფებოდნენ პოლონეთში.

ღონისძიება 10.4.4. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის განვითარება

2017 წლის განმავლობაში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტი აქტიურად მუშაობდა შესაბამის სახელმწიფო უწყებებში კონკრეტულ უფლებადარღვევებთან დაკავშირებით გასაგზავნი წინადადება/რეკომენდაციების მომზადების პროცესში. დეპარტამენტის მიერ პენიტენციურ დაწესებულებებში განხორციელდა სისტემატური ვიზიტები; **სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის მიერ** პენიტენციურ დაწესებულებებში განხორციელდა 260 ვიზიტი, ხოლო მონახულებული პატიმრების/განმცხადებლების რაოდენობამ შეადგინა – 970.

დეპარტამენტის ფარგლებში შემუშავდა 13 წინადადება,2 რეკომენდაცია,2 სასამართლო მეგობრის მოსაზრება და 1 საკონსტიტუციო სარჩელი.

თითოეულ ინდივიდუალურ განცხადება/საჩივართან დაკავშირებით სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის თანამშრომლები ახორციელებდნენ ვიზიტს შესაბამის პენიტენციურ დაწესებულებაში კონკრეტული ბრალდებულის/მსჯავრდებულის მონახულების მიზნით. ასევე, ცალკეულ შემთხვევებში, დეპარტამენტის თანამშრომლები მონიტორინგს უწევენ სასამართლო განხილვის მიმდინარეობის პროცესში საკანონმდებლო რეგულაციების დაცვის, შესრულების ზედმიწევნითობასა და ხარისხს.

სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტი მიმდინარე წლის განმავლობაში აქტიურად იყო ჩართული სხვადასხვა სახის ტრენინგებსა და უცხო ქვეყნების საუკეთესო გამოცდილების შესწავლის მიზნით, განხორციელებულ სასწავლო ვიზიტებში.

ღონისძიება 10.4.5. სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დეპარტამენტის განვითარება

სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დაცვის დეპარტამენტის ფარგლებში მომზადდა 49 საჯარო განცხადება, სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებში გაიგზავნა 37 რეკომენდაცია და 7 წინადადება. დეპარტამენტმა დაასრულა 558 საქმის შესწავლა. დეპარტამენტის თანამშრომლები განმცხადებლებს უშუალოდ შეხვდნენ 367 შემთხვევაში.

საანგარიშო პერიოდში, აპარატის სხვა თანამშრომლებთან და პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად, ორგანიზება გაეწია კონფერენციას „შრომის ინსპექციის მომავალი საქართველოში“. ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტს მიეწოდა დეპარტამენტის მიერ მომზადებული დოკუმენტი სავარაუდო რელიგიური სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან დაკავშირებით, სადაც ასახულია გამოძიების მიმდინარეობის განმავლობაში, ასევე, სახელმწიფოს მიერ რეაგირების კუთხით გამოვლენილი ხარვეზები. მიმდინარე პერიოდში, სახალხო დამცველმა წამოიწყო საინფორმაციო კამპანია „გახადე

შრომა უსაფრთხო“, რომლის ფარგლებშიც სხვა მასალებთან ერთად მომზადდა 1 საინფორმაციო ვიდეორგოლი და 3 ინფოგრაფიკა.

დეპარტამენტმა მონიტორინგი გაუწია რამდენიმე აქციასა და სასამართლო პროცესს, ასევე, 21 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს. დეპარტამენტის წარმომადგენლები დაესწრნენ, მათ შორის, ჯანდაცვის სამინისტროში შრომით საკითხებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფის შეხვედრას, პარლამენტში გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის პროექტის, მწვანე ნარგავებთან დაკავშირებული კანონპროექტის, შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული კანონპროექტისა და სხვა კანონპროექტების განხილვებს, ხმაურის რეგულირებასთან დაკავშირებით შექმნილი სამუშაოჯგუფისშეხვედრას, თბილისის მერიაში უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით დაკმაყოფილების კომისიის სხდომებს, სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ და გადაადგილებას დაქვემდებარებულ ოჯახთა განსახლების საკითხების მარეგულირებელი კომისიის სხდომებს.

დეპარტამენტმა მონაწილეობა მიიღო საჯარო დებატების ორგანიზებაში, რომელიც ეხებოდა სახელმწიფო უსაფრთხოების არგუმენტით უცხოელებისათვის ქვეყანაში შემოსვლაზე ბინადრობის ნებართვის გაცემას, ლტოლვილის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის პრობლემატიკასა და სხვა ხარვეზებს. საანგარიშო პერიოდში დეპარტამენტმა იმუშავა საქართველოს კონსტიტუციის ახალ პროექტზე. დეპარტამენტის მიერ გამოვლენილი ხარვეზების გარკვეული ნაწილი აისახა ვენეციის კომისიისათვის გაგზავნილ დოკუმენტში.

შემუშავდა გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის ამსახველი დოკუმენტი. მომზადდა საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „თამბაქოს კონტროლის სფეროში არსებული მდგომარეობის შესახებ“ და გაიმართა აღნიშნული ანგარიშის პრეზენტაცია. ასევე, მომზადდა 3 ინფოგრაფიკა თამბაქოს კონტროლის საკითხებზე.

ასევე, მომზადდა ინფორმაცია 10 დეკემბრის ანგარიშისათვის.

ღონისძიება 10.4.6. გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის განვითარება

2017 წელს გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი მონაწილეობდა ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა სტატუსის მიმნიჭებელი ჯგუფის 26 სხდომაში სათათბირო ხმის უფლებით, სადაც განხილულ იქნა 45 საქმე და სტატუსი მიენიჭა 35 პირს.

დეპარტამენტის თანამშრომლები შეხვდნენ და კონსულტაცია გაუწიეს 62 პირს; ამასთან ერთად, ყოველდღიურ რეჟიმში მიმდინარეობდა სატელეფონო კომუნიკაცია განმცხადებლებთან.

განხორციელდა მივლინებები როგორც საქართველოს რეგიონებში, ასევე საზღვარგარეთ. დეპარტამენტის მიერ ქვემო ქართლის 4, შიდა ქართლის 3, მცხეთა მთიანეთის 1 და კახეთის 1 სოფელში ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები ადრეულ ასაკში ქორწინების

საკითხებზე; ასევე, თბილისის ოფისში, დეპარტამენტმა უმასპინძლა მცხეთა-მთიანეთის რეგიონის სოფლების მოსწავლეებს.

დეპარტამენტის წარმომადგენელმა საზაფხულო ბანაკში გამართა საინფორმაციო შეხვედრა ოჯახში ძალადობისა და ადრეულ ასაკში ქორწინების საკითხებზე. 1 ტრენინგი ჩატარდა თემაზე ,,არა ოჯახში ძალადობას“.

გასული წლის განმავლობაში დეპარტამენტის წარმოდგენლები სამსახურეობრივი მივლინებით იმყოფებოდნენ პოლონეთსა და ბუქარესტში.

გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია #1325–ის ეროვნული სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ფარგლებში, განხორციელდა ვიზიტები მცხეთა მთიანეთის 2, იმერეთის 1, სამეგრელო 4, ქვემო ქართლის 1 დევნილთა დასახლებაში, ხოლო შიდა ქართლის სოფლებში ჩატარდა 2 შეხვედრა. მონიტორინგის ფარგლებში, ასევე, გაიმართა 3 შეხვედრა სხვადასხვა სამინისტროს წარმომადგენლებთან.

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ფარგლებში, მოეწყო შეხვედრა სიღნაღის, თბილისის, გორის, ახალქალაქისა და ქუთაისის ოჯახში ძალადობის მსხვერპლებთან. განხორციელდა სიღნაღის ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრის მონიტორინგი. ასევე, ვიზიტი განხორციელდა სამცხე-ჯავახეთში, კერძოდ, ნინოწმინდაში, ახალციხეში, ახალქალაქსა და ბორჯომში.

გარდა ამისა, ვიზიტი განხორციელდა არასამთავრობო ორგანიზაციის „სოფლის ქალები ადამიანის უფლებებისთვის“ ბაზაზე არსებული ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარსა და პენიტენციური დეპარტამენტის #5 დაწესებულებაში. პროექტის ,,სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები“ ფარგლებში მოეწყო 6 შეხვედრა საქართველოს რეგიონებში(1 აჭარა, 2 კახეთი, 2 იმერეთი, 1 ქვემო ქართლი).

საინფორმაციო შეხვედრები გაიმართა ბოშათა თემის წარმომადგენლებთან ოჯახში ძალადობისა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებზე. ასევე, ჩატარდა 2 საინფორმაციო შეხვედრა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალებთან აჭარისა და იმერეთის რეგიონებში, ქალთა მიმართ, ოჯახში ძალადობის და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ. დეპარტამენტმა, ასევე, გამართა 2 შეხვედრა აჭარისა და გურიის მუნიციპალიტეტებში დასაქმების ადგილზე და საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროების პრევენციის თემაზე.

გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებს ჩაუტარეს 2 ტრენინგი თემაზე „გენდერი და ლგბტ საკითხები“, ხოლოდეპარტამენტის თანამშრომლები დაესწრნენ 7 ტრენინგს.

ამასთან, მომზადდა ოჯახში ძალადობისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა თავშესაფრების მონიტორინგის ანგარიში. აგრეთვე, დასრულდა ოჯახში ძალადობისგან დამცავი

მექანიზმების შეფასების მეთოდოლოგია და 2015 წელს გამოცემული შემაკავებელი და დამცავი ორდერების ანალიზი.

დაიწერა ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის, საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2014–2016 წლების სამოქმედო გეგმისა და გაეროს რეზოლუციების ,,ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ ეროვნული სამოქმედო გეგმის მონიტორინგის შედეგების 3 სპეციალური ანგარიში. მომზადდა საქართველოში სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ სამაგიდო კვლევა.

დეპარტამენტის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს 2 რეგიონულ „მრგვალი მაგიდის შეხვედრასა“ და 93 სხვა სახის შეხვედრაში. ისინი ასევე დაესწრნენ ორდღიან სემინარს ქალთა მიმართ ძალადობის თემაზე. მომზადდა 2 განცხადება 17 მაისისა და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით, ასევე 5 წინადადება და 5 რეკომენდაცია. გაიმართა საქართველოს სახალხო დამცველის 3 სპეციალური ანგარიშის პრეზენტაცია.

ღონისძიება 10.4.7. ანალიტიკური დეპარტამენტის განვითარება

ანალიტიკურ დეპარტამენტის ფარგლებში ჩატარდა კვლევები სათამაშოების უსაფრთხოებისა და სასმელი წყლის უსაფრთხოების შესახებ. მომზადდა საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის საქმიანობის ანგარიში, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა (2018-2021 წწ.) და საქართველოს ფინანსთა სამინისტროში წარსადგენი კვარტალური ანგარიშები. ამასთან, მომზადდა 1 კონსტიტუციური სარჩელი, 1 რეკომენდაცია და ინფოგრაფიკები სპეციალური ანგარიშისა და საინფორმაციო ბიულეტენისათვის. შეიქმნა, დამუშავდა და განახლდა მონაცემთა ბაზები. მომზადდა სახალხო დამცველის საქმიანობის 2011-2017 წლის სტატისტიკური მონაცემები, ჩარტები და ვიზუალური მასალა. საანგარიშო პერიოდში განხილულ იქნა 117 განცხადება.

ღონისძიება 10.4.8 თანასწორობის დეპარტამენტის განვითარება

2017 წელს თანასწორობის დეპარტამენტის მიერ მომზადდა 7 საჯარო განცხადება,4 სასამართლოს მეგობრის მოსაზრება,18 რეკომენდაცია და 8 ზოგადი წინადადება. შესაბამისი რეაგირების განხორციელების მიზნით, მიმართვა წარედგინა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, საქართველოს მთავარი პროკურატურის გენერალურ ინსპექციასა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს.

დეპარტამენტის თანამშრომლები განმცხადებლებს უშუალოდ შეხვდნენ 75 შემთხვევაში და მონაწილეობა მიიღეს 1 საჯარო დებატის,2 კონფერენციის და 1 ანგარიშის პრეზენტაციის დაგეგმვაში.

დეპარტამენტმა მოაწყო შეხვედრა ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან და საერთო სასამართლოებთან დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საქმეებში მტკიცების ტვირთის გადანაწილების შესახებ. ასევე, დეპარტამენტის თანამშრომლებმა ჩაატარეს 7 ტრენინგი.

ღონისძიება 10.4.8. თავდაცვის სფეროში ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის განვითარება

2017 წელს თავდაცვის სფეროში ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტმადაასრულა მუშაობა 13 საქმეზე.დასრულებული საქმეები ძირითადად შეეხებოდა ვეტერანებისა და ყოფილი სამხედრო მოსამსახურეების საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფის, სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის, კადრების განკარგულებაში გადაყვანისა და სამსახურიდან გათავისუფლების საკითხებს.

დეპარტამენტმა 2017 წელს მოამზადა 2 რეკომენდაცია სამსახურიდან გათავისუფლების საკითხთან დაკავშირებით.

საანგარიშო პერიოდში გაიმართა 57 შეხვედრა განმცხადებლებთან. შეხვედრები ეხებოდა განცხადებებში მოყვანილ საკითხებს; კერძოდ, სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის, სამსახურიდან გათავისუფლებისა და საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფის საკითხებს. ასევე, შედგა საკონსულტაციო შეხვედრები მოქალაქეებთან სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის საკითხებთან დაკავშირებით.

დეპარტამენტის მიერ მონიტორინგი განხორციელდა შემდეგ დაწესებულებებსა და აქტივობებში:

- ომის ინვალიდთა დავეტერანთა კლინიკური ჰოსპიტალი;
- ვეტერანთა გამაფრთხილებელი აქცია (ჰოსპიტალთან დაკავშირებით);
- წვევამდელთა მობილიზაციის სამსახური (4 ვიზიტი);
- შეიარაღებისა და ტექნიკის სარემონტო ბაზა;
- გორის I ქვეითი ბრიგადა;
- ვაზიანის IV მექანიზირებული ბრიგადა;
- ადლიისბატალიონი;
- შსს-ს ობიექტების დაცვის დეპარტამენტის მე-3 სამმართველოს პირველი და მეორე ქვეგანყოფილებები (ბათუმი);
- სენაკის მე-2 ქვეით ბრიგადა;
- შსს-ს ობიექტების დაცვის დეპარტამენტის მე-3 სამმართველოს მე-2 ქვეგანყოფილება;
- შსს-ს ობიექტების დაცვის დეპარტამენტის მე-3 სამმართველოს პირველი ქვეგანყოფილება;
- ქუთაისის მე-3 ქვეითი ბრიგადა;
- დასავლეთ ოპერატიული სარდლობის საინჟინრო მესანგრეთა ბატალიონი;
- ხონი - საარტილერიო ბრიგადაი;
- კოპიტნარი - შერეული საავიაციო ესკადრილია;

- ვარციხე - საქართველოს შეიარაღებული ძალების ჯარების ლოგისტიკის ბაზა;
- შსს - მე-3 სამმართველოს მე-2 განყოფილების მე-3 ქვეგანყოფილება;
- სასჯელაღსრულების N 2 დაწესებულება - ქუთაისი;
- სასჯელაღსრულების N 14 დაწესებულება - გეგუთი;
- გეგუთი - საკარანტინე საწვრთნელი ბაზა (პოლიგონი).

განხორციელდა ვიზიტი ავღანეთის სამხედრო ბაზებზე(ჰამიდ კარზაის აეროპორტის ბაზა, ბაგრამის საავიაციო ბაზა, ნატოს შტაბბინის ტერიტორიაზე განლაგებული ბაზა) ქართველი სამხდერო მოსამსახურეების მონახულების, მათი საცხოვრებელი და სამუშაო პირობების გაცნობის მიზნით.

ასევე განხორციელდა ვიზიტი გორსა და ოსიაურში სამხედრო მოსამსახურის გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებით.

2017 წლის 25 ოქტომბერს გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია სახელწოდებით „სამხედრო მოსამსახურეთა სამოქალაქო უფლებები – გამოწვევები და პერსპექტივები“.

ასევე, ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით, ნატოს დღეების ფარგლებში, ჩატარდა ერთი სემინარი სამხედრო მოსამსახურეებისათვის.

მიზანი 10.5. პრევენციის ეროვნული მექანიზმის ეფექტური ფუნქციონირების უზრუნველყოფა

2017 წელს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ განხორციელებული ვიზიტები:

- 34 ვიზიტი 8 პენიტენციურ დაწესებულებაში;
- 8 ვიზიტი 4 ფსიქიატრიულ დაწესებულებაში;
- 9 ვიზიტი მცირე საოჯახო ტიპის 9 ბავშვთა სახლში;
- 9 ვიზიტი რელიგიური კონფესიების 9 ბავშვთა სახლში;
- 5 ევროკავშირის ქვეყნებიდან მიგრანტთა დაბრუნების ერთობლივი ოპერაციის მონიტორინგი;
- 45 ვიზიტი პოლიციის 45 სამმართველოში;
- 21 ვიზიტი 19 დროებითი მოთავსების იზოლატორში;
- 1 ვიზიტი შსს მიგრაციის დეპარტამენტის დროებითი განთავსების ცენტრში.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრი მონაწილეობდა საქართველოს მასშტაბით 9 სამხედრო ბაზის მონიტორინგში; სულ ამ მიზნით ჩატარდა 10 ვიზიტი.

პრევენციის ეროვნულმა მექანიზმმა ასევე ჩაატარა 6 შეხვედრა (ფოკუს ჯგუფი) ექვს სხვადასხვა რეგიონში, იქ მომუშავე ადვოკატებთან და ადამიანის უფლებათა დამცველ არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

2017 წლის განმავლობაში გაიმართა პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2 საკონსულტაციო საბჭოს სხდომა.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრი მონაწილეობდა საქართველოს მასშტაბით სამხედრო ბაზების მონიტორინგში, სადაც ამ მიზნით ჩატარდა 7 ვიზიტი.

პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის ფარგლებშიგამოიცა პრევენციის ეროვნული მექანიზმის წლიური ანგარიში. წლის განმავლობაში მომზადდა N5, N3, N8, N15, N17 პენიტენციურ დაწესებულებებში ვიზიტის შემდგომი ანგარიშები, შპს აკად. გ.ნანეიშვილის სახ. ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მონიტორინგის ანგარიში და 4 კვარტალური ბიულეტენი. ასევე, საქართველო-ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგის შესრულების ანგარიშის პრევენციის ეროვნული მექანიზმის აქტივობებთან დაკავშირებული ნაწილი წარდგენილდა გამოქვეყნებულ იქნა 10 დეკემბრის ანგარიშში, სადაც სხვა საკითხებთან ერთად მიმოხილულია ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობა საქართველოს პენიტენციურ სისტემასა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებულ ორგანოებში. ამასთან, მომზადდა და გაიგზავნა წერილი იუსტიციის სამინისტროში ადამიანთა წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ ბრძოლის 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ.

ორგანიზაცია „ციხის საერთაშორისო რეფორმის მხარდაჭერით“ ექსპერტის მიერ განხორციელდა სპეციალური პრევენციული ჯგუფის პოლიციის მონიტორინგის მეთოდოლოგიისა და ინსტრუმენტების გადახედვა.

პრევენციის ეროვნულმა მექანიზმმა დაიწყო ერთობლივი პროექტი „წამების პრევენციის ასოციაციასთან“, რომელიც მიზნად ისახავს გაცემული რეკომენდაციების შესრულების კონტროლის მექანიზმის დახვეწას. ამ პროექტის ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში ჩატარდა ორი სამუშაო შეხვედრა, რომელსაც უძღვებოდა ექსპერტი „წამების პრევენციის ასოციაციიდან“. აგრეთვე, სპეციალური პრევენციული ჯგუფისთვის შემუშავდა რეკომენდაციების შემუშავების პრაქტიკული სახელმძღვანელო.

საანგარიშო პერიოდში ასევე მიმდინარეობდა ვიზიტების დაგეგმვის, შესაბამისი მეთოდოლოგიის, ინსტრუმენტებისა და მონიტორინგის განხორციელებისთვის საჭირო სხვადასხვა სახის დოკუმენტაციის მომზადებისა და დახვეწის პროცესი. ამასთანავე, მუშაობა მიმდინარეობდა შს ორგანოებში განხორციელებული მონიტორინგების შედეგად შევსებული ანკეტების დახარისხებაზე, აღრიცხვასა და ანალიზზე, დახურული ტიპის დაწესებულებების მონიტორინგის შემდგომ ტექნიკურ ანგარიშებსა და პენიტენციური რეფორმის სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაზე.

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 2016 წლის განმავლობაში სახალხო დამცველის მიერ პოლიციის სექტორში არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებული წინადადებების კონსოლიდაცია ერთ დოკუმენტად.

პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის წარმომადგენლები დაესწრნენ ციხის საერთაშორისო რეფორმის (PRI) სამხრეთ კავკასიის რეგიონული ოფისის მიერ ორგანიზებულ სემინარს - ციხეებში მოწყვლადი ჯგუფების უფლებების მონიტორინგის

ინსტრუმენტების შესახებ, ასევე, PRI-ს მიერ ორგანიზებულ სამუშაო შეხვედრას ე.წ. განახლებული „მანდელას წესების“ შესახებ.

პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრებისათვის ჩატარდა ტრენინგი სამუშაო მეთოდოლოგიაში. დეპარტამენტის წარმომადგენლები ესწრებოდნენ სხვადასხვა ფორმატში ჩატარებულ შეხვედრებს, მათ შორის, CRPD საკონსულტაციო საბჭოს შეხვედრას, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამუშაო შეხვედრასა და პრობაციის სისტემის მხარდაჭერის პროექტის სამუშაო შეხვედრას. ასევე, დეპარტამენტის წარმომადგენლები დაესწრნენ სახალხო დამცველის აპარატისათვის გამართულ ტრენინგს საჯარო სამსახურში ეთიკის საკითხებთან დაკავშირებით.

პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსმა მონაწილეობა მიიღო ევროპის საბჭოს მიერ ორგანიზებულ ქართულ-აფხაზურ შეხვედრაში (ბუდაპეშტი); მან, ასევე, მონაწილეობა მიიღო ევროპის საბჭოს მიერ გამართულ სამუშაო შეხვედრებში (სტრასბურგი) და „ციხის საერთაშორისო რეფორმის“ მიერ გაეროს წამების წინააღმდეგ კომიტეტთან ერთად ორგანიზებულ სამუშაო შეხვედრაში(ჟენევა), რომელიც შეეხებოდა პენიტენციურ სისტემაში გადატვირთულობის პრობლემას. საანგარიშო პერიოდში პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრები სასწავლო ვიზიტით სომხეთის რესპუბლიკაში იმყოფებოდნენ.

პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტმა უმასპინძლა ყირგიზეთის პრევენციის ეროვნული მექანიზმის წარმომადგენლებს სასწავლო ვიზიტის ფარგლებში. ასევე, გასულ წელს საქართველოში სასწავლო ვიზიტით იმყოფებოდნენ მოლდოვის რესპუბლიკის პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრები. ვიზიტის მიზანი იყო საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის საქმიანობის გაცნობა.

საანგარიშო წლის განმავლობაში დეპარტამენტის თანამშრომლები გადანაწილებულნი იყვნენ აპარატში არსებული ცხელი ხაზის დღისა და ღამის მორიგეობებში.

პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის ფარგლებშიშეირჩა სპეციალური პრევენციული ჯგუფის 36 დამოუკიდებელი ექსპერტი, დაინიშნა ერთი მთავარი სპეციალისტი; ,,ჯანმრთელობის უფლების დაცვის ხელშეწყობა პენიტენციალურ სისტემაში“- პროექტის ფარგლებში კი აყვანილ იქნა 2 პროგრამის ასისტენტი და ერთი სტაჟიორი.

11. სისხლის სამართლის სისტემაში რეაბილიტაცია/რესოციალიზაცია

მიზანი 11.1. საჭიროებებზე მორგებული სარეაბილიტაციო პროგრამების განვითარება საუკეთესო ადგილობრივ და საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით

ღონისძიება 11.1.1.რისკისადასაჭიროებისშეფასებისმეთოდოლოგიის (ბიო-ფსიქო-სოციალურიშეფასება) დანერგვადაგანვითარებარისკ-ჯგუფებისიდენტიფიცირებისთვის. ავრეთვე, ბენეფიციართამხრიდანრეციდივისშემთხვევებისმიზეზებისანალიზისსისტემისდანერგვა.

სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრი - დანერგილია ყოფილ პატიმართა ბიო-ფსიქო-სოციალური შეფასების ინსტრუმენტი, საქმის წარმოება მიმდინარეობს შიდა სტანდარტის დოკუმენტით გაწერილი ვადებისა და პროცედურების შესაბამისად.

სსიპ - პრობაციის ეროვნული სააგენტო - წარმატებით მიმდინარეობს პირობით მსჯავრდებულებთან სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვა ბიო-ფსიქო-სოციალური შეფასების საფუძველზე.

პენიტენციური დეპარტამენტი - 2015 წლის 29 აპრილის N33 ბრძანებით დამტკიცდა სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის ინსტრუქცია თანდართული რისკისა და საჭიროების (ბიო-ფსიქო-სოციალური შეფასება) შეფასების ინსტრუმენტით.სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის მიდგომის იმპლემენტაცია პენიტენციურ სისტემაში სრულწლოვანთა მიმართ 2015 წელსდაიწყო.

სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის მიდგომის იმპლემენტაცია პენიტენციურ სისტემაში სრულწლოვანთა მიმართ დაიწყო 2015 წელს:

- N16 დაბალი რისკის დაწესებულებებში მიმდინარეობს მსჯავრდებულთა სრული ჩართულობით 2015 წლიდან;
- N5 ქალთა დაწესებულებაში დაინერგა 2015 წელს, მიმდინარეობს ბენეფიციართა სრული ჩართულობით;
- N2 დაწ. ჩართულია – 85 მსჯავრდებული;
- N3 დაწ. ჩართულია- 6 მსჯავრდებული;
- N6 დაწ. ჩართულია-7 მსჯავრდებული;
- N8 დაწ. ჩართულია- 445 მსჯავრდებული;
- N11 დაწ. ჩართულია- 19 მსჯავრდებული;
- N12 დაწ. ჩართულია-144 მსჯავრდებული;
- N14 დაწ. ჩართულია- 61 მსჯავრდებული;
- N15 დაწ. ჩართულია- 344 მსჯავრდებული;
- N17 დაწ. ჩართულია- 110 მსჯავრდებული;
- N18 დაწ. ჩართულია- 4 მსჯავრდებული;
- N19 დაწ. ჩართულია- 28 მსჯავრდებული.

განახლდა სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის რისკისა და საჭიროების შეფასების ინსტრუმენტი, რომელსაც დაემატა ზიანის რისკის სეგმენტი. კითხვარი ობიექტურ, ქულობრივ შეფასებას მოიაზრებს და მისი პილოტირება N16 დაწესებულებაში მიმდინარე წლის დეკემბრის თვიდან დაიწყო.

ღონისძიება 11.1.2. ბენეფიციართა გამართული სარეგისტრაციო ბაზების ქონა და ერთიანი საძიებო პარამეტრების დამკვიდრება ბენეფიციართა რისკ-ჯგუფების და საჭიროებების მონაცემთა გენერირებისთვის.

სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრი - მიმდინაროებს ყოფილ პატიმართა მონაცემთა პროგრამული ბაზის მუშაობა პილოტურ რეჟიმში.

სსიპ - პრობაციის ეროვნული სააგენტო - განხორციელდა სისტემაში არსებული საინფორმაციო ბაზის დამუშავება. დამუშავდა სრულწლოვანი და არასრულწლოვანი ბენეფიციარების მონაცემები,რის შედეგადაც განხორციელდა თითოეული ბენეფიციარის

პრობლემების კვლევა, მათი კლასიფიკაცია რისკების მიხედვითდა განისაზღვრა საჭიროებათა ჩამონათვალი,რომელზე დაყრდნობითაც სარეაბილიტაციო სამმართველომ ააგო ბენეფიციარის საჭიროებაზე მორგებული სარეაბილიტაციო პროგრამები.პირობით მსჯავრდებულთა საქმის წარმოება მიმდინარეობს ელექტრონულ ბაზაში.

აღნიშნული პროცესი 2017 წელს წარმატებით მიმდინარეობს და, ამავე დროს, ხორციელდება არსებული მექანიზმის გაუმჯობესებაზე მუშაობა.

პენიტენციური დეპარტამენტი - შეიქმნა სოციალური მიმართულების ბაზა, სადაც თავს იყრის როგორც სარეაბილიტაციო პროგრამების და მასში მონაწილეთა შესახებ ინფორმაცია, ასევე მსჯავრდებულთა შესახებ ყველა ინფორმაცია, რაც საჭიროა შემთხვევის მართვის პროცესში.

ღონისძიება 11.1.3. საჭიროებებზე ორიენტირებული სერვისების მოკვლევა და ადაპტაცია ადგილობრივ და საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით

სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრი - საანგარიშო პერიოდშიგანხორციელდა სერვისებზე მოძიებული ინფორმაციის ანალიზი, სტანდარტიზაცია.

დეფიციტური მომსახურებების შექმნისათვის ბაზრის სტიმულირებაზე მიმდინარეობს მუშაობა. საგრანტო პროგრამების ფარგლებში ხორციელდება სერვისებზე არსებული დეფიციტის შევსება.

სსიპ - პრობაციის ეროვნული სააგენტო - პრობაციის ეროვნული სააგენტოს სარეაბილიტაციო სამმართველო აქტიურად არის ჩართული ადგილობრივ თუ საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის პროცესში. სამმართველო თანამშრომლობს ნარკო-პრევენციისა და ანტიკრიზისულ ცენტრთან, სოციალური მომსახურების სააგენტოსთან, ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომლებიც ახორციელებენ პროექტებს ევროკავშირის მხარდაჭერით.

ბენეფიციართა საჭიროებებიდან გამომდინარე პრობაციის ეროვნულ სააგენტოში აქტიურად მიმდინარეობს არსებული სერვისების მოძიება. 2017 წელს პრობაციის ეროვნული სააგენტო თანამშრომლობდა შემდეგ ორგანიზაციებთან:

- ანტინარკოტიკული ცენტრი (ქ. ბათუმი);
- ფსიქოლოგ-კონსულტანტთა ასოციაცია, პროექტი, „მოწყვლადი ქალებისა და მოზარდების საზოგადოებასთან ინტეგრაცია“ – (ქ.თბილისი);
- „ჰეპა პლიუსი“ (ქ.თბილისი);
- GCRT (ქ. თბილისი, ქ. ბათუმი, ქ. ქუთაისი);
- „პროფორიენტაციისადაკარიერისდაგეგმვისსამმართველო“ (ქ. ქუთაისი);
- „დანაშაულის პრევენციის ცენტრი“;
- ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (ქ. ქუთაისი);
- „თანადგომა“;
- სამოქალაქო განვითარების სააგენტო (სიდა)-
- საქართველოს არბაითერ-სამარიტერ-ბუნდი ASB –

- დემოკრატიის ინსტიტუტი

პენიტენციური დეპარტამენტი -

2017 წელს შეიქმნა მოდულები:

- "არტ თერაპია წამალდამოკიდებულებისთვის";
- "CBT და წამალდამოკიდებულება";
- "რეპროდუქციული ჯანმრთელობა ქალი მსჯავრდებულებისთვის"

ღონისძიება 11.1.4. ხშირად მოთხოვნადი სერვისების ორგანიზაციის ბაზაზე დანერგვა

სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრი - დანაშაულის პრევენციის ცენტრის ბაზაზე პროგრამაში ჩართული ბენეფიციარებისთვის საანგარიშო პერიოდში შექმნილია 13 ტრენინგ- მოდული, რომელსაც ატარებენ პროგრამაში ჩართული სპეციალისტები.

შექმნილია ან/და რეგულარულად ტარდება ტრენინგები: ,,სოციალური უნარების განვითარება“; ,,ჯანსაღი ცხოვრების წესი“; ,,სამოქალაქო განათლება“; ,,აგრესიის მართვა“; ,,კონფლიქტების მართვა და პიროვნული განვითარება“; ,,ტრეფიკინგი“; ,,არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება“(კრიმინოლოგიური ასპექტები და კანონმდებლობის თავისებურებები).ტესტირების რეჟიმშია შემდეგი ტრენინგები: ,,პროგრამა ქალი ბენეფიციარებისთვის სოციალური ფუნქციონირების გაძლიერების მიზნით“ (3 ტრენინგი: ქალთა უფლებები;ოჯახური ძალადობა;პოზიტიური მშობლობა); ,,გათავისუფლების შემდგომი ზრუნვა“; ,,ტრენინგი ნივთიერების ავადმოხმარების შესახებ“ (2 ეტაპი: ბენეფიციართათვის და მათი ოჯახის წევრებისთვის); ,,პოზიტიური აზროვნების უნარ-ჩვევების ინტერვენცია“ (მაღალი რისკის ბენეფიციარებისთვის 12 სესია).

სსიპ - პრობაციის ეროვნული სააგენტო - შემუშავებულია 23 სარეაბილიტაციო პროგრამა, არსებული საჭიროებების გამოკვეთის საფუძველზე. აღნიშნული პროგრამების განხორციელების მიზნით, გადამზადდნენ სარეაბილიტაციო სამმართველოს სპეციალისტები.

პენიტენციური დეპარტამენტი - 2017 წელს პენიტენციურ სისტემაში დაინერგა შემდეგი მოდულები:

- "არტ თერაპია წამალდამოკიდებულებისთვის", დაინერგა N 14 და N15 დაწესებულებებში;
- "CBT და წამალდამოკიდებულება" - დაინერგა ყველა ნახევრადღია დაწესებულებაში;
- "პოზიტიური უნარების განვითარების პროგრამა (TSP)" დაინერგა N 5, 11, 12, 15, 16, 17 დაწესებულებებში;

საანგარიშო პერიოდში ფსიქო-სოციალურ საინფორმაციო და სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართული იყო 1579 მსჯავრდებული; მათ შორის, ჯგუფურ ინტერვენციებში 416 (12 სახის პროგრამა), სხვადასხვა სახის არტ თერაპიაში - 181 (4 სახის პროგრამა), ფსიქო-სოციალურ ტრენინგებში - 982 ბენეფიციარი (26 სახის პროგრამა).

ღონისძიება 11.1.5. საბაზისო სერვისების კოორდინირებული შექმნისა და მიწოდების უზრუნველყოფა

სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრი - საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ყოფილი პატიმრების და მათი ოჯახის წევრებისთვის შეთავაზებულია პროფესიული გადამზადების საბაზისო პაკეტი. 2016 წლის მონაცემებით, პროფესიული გადამზადების სხვადასხვა კურსში ჩაერთო 43, სასწავლო პროცესი სრულად გაიარა 23-მა ყოფილმა პატიმარმა და მისი ოჯახის წევრმა.

პროგრამის ფარგლებში იურიდიული მომსახურებით ისარგებლა 135-მა ბენეფიციარმა, ფსიქოლოგის მომსახურება მიიღო 42-მა ბენეფიციარმა. ჯანდაცვის პრობლემების მოგვარების მიზნით მომსახურება გაეწია 144 ბენეფიციარს. სპორტულ-კულტურულ აქტივობებში ჩაერთო 108 ბენეფიციარი და მათი ოჯახის წევრი.

საანგარიშო პერიოდში დანაშაულის პრევენციის ცენტრის ხელშეწყობით დასაქმდა 46 ბენეფიციარი, დაფინანსდა 58 ბენეფიციარის 57 ბიზნეს იდეა.

სსიპ - პრობაციის ეროვნული სააგენტო - პრობაციის ეროვნული სააგენტოში ფუნქციონირებს სააგენტოს სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველოს მიერ შემუშავებული 23 სარეაბილიტაციო პროგრამა, რომლის მიხედვითაც სპეციალისტები მუშაობენ ბენეფიციარებთან ინდივიდუალური საჭიროებების მიხედვით. სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველოში მაქსიმალურად ხდება შიდა რესურსის გამოყენება, ასევე საჭიროების შემთხვევაში ხდება გარე სერვისების მოძიება და მათთან თანამშრომლობა.
ორგანიზაციები, რომლებთანაც მოხდა კომუნიკაცია და ბენეფიციარების ჩართვა:

- ანტინარკოტიკული ცენტრი - ადიქციური ქცევის შემცირება;
- „ჰეპა პლიუსი“ - ც ჰეპატიტის სკრინინგი;
- GCRT - სამედიცინო მომსახურება;
- ააიპ „პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სამმართველო“ - პროფორიენტაცია;
- სსიო „დანაშაულის პრევენციის ცენტრი“ - საგრანტო პროგრამა;
- ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია - იურიდიურლი კონსულტაცია;
- „თანადგომა“ - სამედიცინო სახის მომსახურება;
- ფსიქოლოგ-კონსულტანტთა ასოციაცია „მოწყვლადი ქალების და მოზარდების საზოგადოებასთან ინტეგრაციის პროექტი“.
- სამოქალაქო განვითარების სააგენტო (სიდა) - პროფესიული გადამზადებისა და დასაქმების შესაძლებლობების განვითარება.
- საქართველოს არბაითერ-სამარიტერ-ბუნდი ASB - კანონთან კონფლიქტში მყოფი პირების საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა. მსჯავრდებულების, ყოფილი მსჯავრდებულების და პრობაციონერების მომზადება შრომის ბაზარზე ინტეგრაციისთვის.
- დემოკრატიის ინსტიტუტი - საერთო და ინდივიდუალური პრობლემებისა და საჭიროებების კვლევა. კვლევის ანალიზის საფუძველზე რეაბილიტაციის,

რესოციალიზაციის, ადვოკატირების, დასაქმების ხელშეწყობის პროგრამების შემუშავება.

სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველო აქტიურად თანამშრომლობს ბავშვზე ზრუნვისა და მეურვეობის სააგენტოსთან საერთო ბენეფიციარებისათვის ეფექტიანი მომსახურების მიწოდების მიზნით.

პენიტენციური დეპარტამენტი - სასჯელაღსრულების სამინისტროსა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე მსჯავრდებულებს აქვთ პროფესიულ, საგანმანათლებლო და კომპიუტერულ პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობა. საანგარიშო პერიოდისათვის ჩართული იყო 1562 მსჯავრდებული, რაც წარმოადგენს მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის 19 პროცენტს:

ასევე, 2017 წელს კულტურულ ღონისძიებებში და სპორტულ ღონისძიებებში, რომლებსაც ძირითადად მოწვეული სტუმრებიც ესწრებიან, 2360-მა მსჯავრდებულმა მიიღო მონაწილეობა, მათ შორის:

- ინტელექტუალური და შემეცნებითი შეხვედრები - 408;
- კონკურსები - 223;
- თეატრალური დასი - 82;
- სპორტული წვრთნა - 75.

დაწესებულებებში გაიმართა 338 კულტურული და 35 სპორტული ღონისძიება.

ღონისძიება **11.1.6. სერვისების ხარისხის კონტროლი**

საანგარიშო პერიოდში:

სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრი **-** ზრდასრულთა მომსახურების სტანდარტის სამუშაო ვერსია არსებობს, თუმცა არ არის დამტკიცებული.

სსიპ - პრობაციის ეროვნული სააგენტო **-** პირობით მსჯავრდებულთათვის მიწოდებული სერვისების ხარისხის კონტროლი ხორციელდება პროფესიული ზედამხედველობის მეშვეობით.

პენიტენციური დეპარტამენტი - მიმდინარე წელს INL - აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობების საერთაშორისო ბიუროსა და ევროკავშირის მხარდამჭერი პროექტის, EU4Justice-ის მხარდაჭერით დაიწყო მუშაობა სარეაბილიტაციო პროგრამების შეფასების სისტემების შექმნაზე.

ღონისძიება **11.1.7. კვლევების დაგეგმვა სარეაბილიტაციო პროგრამების ეფექტიანობის გასაზომად (საბოლოო შედეგების გაზომვა)**

სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრი **-** კვლევა არ განხორციელებულა თანხების სიმცირის გამო.

სსიპ - პრობაციის ეროვნული სააგენტო - რესურსის მობილება ხორციელდებოდა შესაბამისი კვლევების დაგეგმვისა და განხორციელებისთვის. ამერიკის საელჩოს და ევროკავშირის პროპექტის დახმარებით მიმდინარეობს სარეაბილიტაციო პროგრამების შედეგების გაზომვის ინსტრუმენტის შექმნა/დახვეწა.

პენიტენციური დეპარტამენტი - ევროკავშირის მიერ დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ჩატარდა ორი კვლევა:

- რეაბილიტაციის პროცესის ანალიზი;
- დასაქმების ბაზრისა და კანონთან კონფლიქტში მყოფ პირთა პროფესიული შესაძლებლობები და საჭიროებები.

ღონისძიება 11.1.8. სოციალური მეწარმეობის იდეის პოპულარიზაცია და კონცეფციის მომზადება

სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრი - დანაშაულის პრევენციის ცენტრისა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) თანამშრომლობით მომზადდა სოციალური საწარმოს კონცეფცია; ამოქმედდა 2 სოციალური საწარმო, სადაც დასაქმებული არიან დანაშაულის პრევენციის ცენტრის ბენეფიციარები და მათი ოჯახის წევრები.

სსიპ - პრობაციის ეროვნული სააგენტო - აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პრობაციის ეროვნული სააგენტო თანამშრომლობს ევროკავშირის პროექტთან კონცეფციის შემუშავებაზე.

ღონისძიება 11.1.9. **სავარაუდო დისკრიმინაციის შემთხვევების ადვოკატირება შესაბამისი უწყებების მხრიდან**

სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრი - დანაშაულის პრევენციის ცენტრმა მოამზადა სოციალური მუშაკები სპეციფიკური საჭიროებების მქონე ადმიანების მიმართ დისკრიმინაციის შემთხვევების გამოვლენისა და ეფექტიანი რეაგირების მიზნით.

სსიპ - პრობაციის ეროვნული სააგენტო - სარეაბილიტაციო სამმართველო ხელს უწყობს დისკრიმინაციის შემთხვევების გამოვლენას, ასევე სპეციალისტთა შესაბამის მომზადებას დისკრიმინაციის შემთხვევების მართვის თვალსაზრისით. არასრულწლოვანთა განათლების უფლების დარღვევის შემთხვევებში, პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ ხდება დისკრიმინაციის შემთხვევების ადვოკატირება შესაბამის უწყებასთან.

პენიტენციური დეპარტამენტი დანერგილია ტრენინგ მოდული "სტიგმა და დისკრიმინაცია" (2017 წელს ჩართული იყო 55 მსჯავრდებული); ასევე, დანერგილია პროგრამა "მომზადება გათავისუფლებისთვის", რომელიც მოიცავს მოდულებს სტიგმა-დისკრიმინაციასთან დაკავშირებით (ჩართული იყო 75 მსჯავრდებული).

მიზანი 11.2. სარეაბილიტაციო პროცესში ჩართული უწყებებისა და ორგანიზაციების ინსტიტუციური გაძლიერება, პერსონალის მომზადება და განვითარება მაღალხარისხიანი სარეაბილიტაციო მომსახურების მიწოდებისთვის

ღონისძიება 11.2.1. რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესში ჩართული უწყებების მიერ წინამდებარე სტრატეგიითა და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული პრიორიტეტებისა და აქტივობების საკუთარ სტრატეგიებსა და სამოქმედო გეგმებში ასახვა

სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრი - დანაშაულის პრევენციის ცენტრის მიერ შექმნილ სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში ასახულია სარეაბილიტაციო პროცესში ჩართული უწყებების საერთო პოლიტიკის პრიორიტეტები.

სსიპ - პრობაციის ეროვნული სააგენტო - სტრატეგიები და სამოქმედო გეგმები განახლებულია.

პენიტენციური დეპარტამენტი - სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამოქმედო გეგმაში ასახულია პენიტენციური დეპარტამენტის სხვა უწყებათაშორის სამოქმედო გეგმებში აღნიშნული ვალდებულებები.

ღონისძიება 11.2.2. რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესის ეფექტიანად წარმართვისთვის შესაბამის უწყებებში ინფრასტრუქტურის შექმნა

სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრი - რეაბილიტაციის პროცესის ეფექტიანად წარმართვის მიზნით, დანაშაულის პრევენციის ცენტრში უზრუნველყოფილია ბენეფიარებთან შეხვედრის პრივატული გარემო.

სსიპ - პრობაციის ეროვნული სააგენტო - რეგიონებში პრობაციის ბიუროებში უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურა.

პენიტენციური დეპარტამენტი - N14 და N15 პენიტენციურ დაწესებულებებში. ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ორგანიზაციების დახმარებით მოეწყო შემდეგი სახელოსნოები:

- კერამიკის სახელოსნო - N14 და N15 დაწესებულებებში;
- მინანქრის სახელოსნი - N15 დაწესებულებაში.

ღონისძიება 11.2.3. სასჯელის აღსრულების და გათავისუფლების შემდგომი ზრუნვის პროცესში შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის ჩართვა

სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრი - დანაშაულის პრევენციის ცენტრში, რეაბილიტაციის პროცესში ჩართული სპეციალისტებიარიან მაღალი კვალიფიკაციის,პოზიციის შესაბამისი განათლების და გამოცდილების მქონე კადრები. თანამშრომელთა შერჩევა ხდება კონკურსის წესით.ცენტრი მუდმივად ზრუნავს სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე. ასევე, ხელს უწყობს სტუდენტების სტაჟირებას წამყვან უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის ფარგლებში.

ამჟამად, თბილისსა და რეგიონებში ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროცესში ჩართულია 15 სოციალური მუშაკი, 1 ფსიქოლოგი, 1 იურისტი, 1 ინოვაციური პროექტების კოორდინატორი და ადგილობრივ თვითმმართველობებთან ურთიერთობის კოორდინატორი.

სსიპ - პრობაციის ეროვნული სააგენტო - პრობაციის ეროვნულ სააგენტოში რეაბილიტაციის პროცესში ჩართული არიან პოზიციის შესაბამისი განათლებისა და გამოცდილების მქონე სპეციალისტები.

პენიტენციური დეპარტამენტი - სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის მიმართულებით 2017 წელს ჩატარდა 9 ტრენინგი, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ პენიტენციური დაწესებულებების, პრობაციის ეროვნული სააგენტოს ან/და დანაშაულის პრევენციის ცენტრის თანამშრომლები.

ღონისძიება 11.2.4. ორგანიზაციის ბაზაზე განსახორციელებელი სარეაბილიტაციო პროგრამების მიწოდებისთვის პერსონალის გადამზადება

სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრი - 2016 წლის განმავლობაში, სამუშაო პრაქტიკაში გამოვლენილი საჭიროების შესაბამისად, ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამაში ჩართული სპეციალისტები გადამზადდნენ ეფექტური კომუნიკაციისა და არტ თერაპიის მიმართულებით.

სსიპ - პრობაციის ეროვნული სააგენტო - პრობაციის ეროვნულ სააგენტოში აქტიურად მიმდინარეობს სარეაბილიტაციო პროგრამების მიწოდებაზე პასუხისმგებელი სპეციალისტების საჭიროებების მოკვლევა და შესაბამისი გადამზადებით უზრუნველყოფა.***პენიტენციური დეპარტამენტი*** - პენიტენციურ სისტემაში სოციალური უზრუნველყოფის მიმართულებაში მომუშავე 181 თანამშრომლიდან სარეაბილიტაციო პროგრამების ფასილიტატორებად გადამზადებულია 84თანამშრომელი.

ღონისძიება 11.2.5 სამუშაოს მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად ერთიანი პროფესიული სტანდარტის/ეთიკის ნორმების შემუშავება და პროფესიული სუპერვიზიის სისტემის შექმნა

სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრი - რეგულარულად ტარდება ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამაში ჩართულ სოციალურ მუშაკთა პროფესიული ზედამხედველობის ინდივიდუალური და ჯგუფური სესიები. შექმნილია და დამუშავების პროცესშია პროფესიული ზედამხედველობის ინსტრუმენტები.

სსიპ - პრობაციის ეროვნული სააგენტო - პრობაციის ეროვნულ სააგენტოში მიმდინარეობს სარეაბილიტაციო პროგრამების მიწოდებაზე პასუხისმგებელი სპეციალისტების პროფესიული სუპერვიზია და მათი მუშაობის პროფესიული სტანდარტის/ეთიკის ნორმებთან შესაბამისობის მონიტორინგი. მიმდინარეობს სუპერვიზიის პრაქტიკის გადახედვა.

პენიტენციური დეპარტამენტი - პენიტენციური დეპარტამენტის სოციალური უზრუნველყოფის სამმართველოში არსებული სუპერვიზიის ჯგუფის მიერ ხდება

ინდივიდუალური მიდგომებისა და ძირითადი სარეაბილიტაციო პროგრამების სუპერვიზია პენიტენციურ დაწესებულებებში.

მიზანი 11.3. სარეაბილიტაციო პროცესში მონაწილე უწყებათა და ორგანიზაციათა კოორდინირებული მუშობის უზრუნველყოფა, მედიასთან და საზოგადოებასთან კომუნიკაცია რეაბილიტაციის პროცესის მხარდასაჭერად

ღონისძიება 11.3.1. რესოციალიზაცია რეაბილიტაციის სამუშაო ჯგუფის მუშაობა მიმდინარე საკითხებზე შეთანხმებისთვის

საანგარიშო პერიოდში:

სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრი - ტარდებოდა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის სამუშაო ჯგუფის შეხვედრები.

სსიპ - პრობაციის ეროვნული სააგენტო - 2017 წლის განმავლობაში ტარდებოდა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის სამუშაო ჯგუფის შეხვედრები.

პენიტენციური დეპარტამენტი - 2017 წელს, ფაქტობრივად, ყოველთვიურად ტარდებოდა რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის ჯგუფის სამუშაო შეხვედრები.

ღონისძიება 11.3.2. სარეაბილიტაციო ღონისძიებების ერთობლივად განხორციელება პარტნიორ სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციებთან ერთად

სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრი - დანაშაულის პრევენციის ცენტრის ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამა აქტიურად თანამშრომლობს და რეგულარულად ახორციელებს სარეაბილიტაციო ღონისძიებებს სხვადასხვა პარტნიორ სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციებთან ერთად.

სსიპ - პრობაციის ეროვნული სააგენტო - ევროკავშირის პენიტენციური და პრობაციის სისტემების მხარდაჭერის პროექტის ფარგლებში, სამმართველოს უფროსმა სპეციალისტებმა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით სამმართველოს ბაზაზე არსებულ ყველა სარეაბილიტაციო პროგრამის შესახებ ჩაატარეს ტრენინგი, რომლის მონაწილეებიც იყვნენ სააგენტოს ოფიცრები, სოციალური მუშაკები და ფსიქოლოგები.

ღონისძიება 11.3.3. სასამართლოსთან, პროკურატურასთან და პოლიციასთან სამუშაო შეხვედრების ორგანიზება მიმდინარე პრაქტიკის განხილვის მიზნით

სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრი - სამუშაო ჯგუფი არ არის შექმნილი.

სსიპ - პრობაციის ეროვნული სააგენტო - პრობაციის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლები მონაწილეობდნენ რეგიონულ და სამუშაო შეხვედრებში, სასამართლოს და პროკურატურის წარმომადგენლებთან ერთად. აღნიშნული შეხვედრები ჩატარდა ყველა რეგიონში.

ღონისძიება 11.3.4. სასჯელაღსრულების, პრობაციისა და პრევენციის ცენტრს შორის ბენეფიციართა გარდამავალი მენეჯმენტის სისტემის დანერგვა

სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრი - მემორანდუმის საფუძველზე თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში ხორციელდება მსჯავრდებულებთან შეხვედრები გათავისუფლებამდე 1-3 თვით ადრე. შეხვედრის მიზანია, დანაშაულის პრევენციის ცენტრის სარეაბილიტაციო პროგრამების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, სურვილისამებრ მათი პროგრამაში ჩართვა.

გარდამავალი მენეჯმენტის ფარგლებში, პენიტენციურ დეპარტამენტთან მიმდინარეობს აქტიური მუშაობა პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა შესახებ სხვადასხვა დოკუმენტთა გაცვლის, დაწესებულებებში მსჯავრდებულებთან შეხვედრების ეფექტიანი სისტემის დანერგვის შესახებ.

სსიპ - პრობაციის ეროვნული სააგენტო - პრობაციის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლები მონაწილეობდნენ რეგიონულ და სამუშაო შეხვედრებში სასამართლოს და პროკურატურის წარმომადგენლებთან ერთად. აღნიშნული შეხვედრები ჩატარდა ყველა რეგიონში. ასევე, შექმნილია მულტიდისციპლინური სამუშაო ჯგუფი, რომელშიც ზემოაღნიშნულ უწყებებთან ერთად ჩართულნი არიან შსს-ს, ჯანდაცვის სამინისტროს და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლები.

პენიტენციური დეპარტამენტი - სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის N68 ბრძანების (3/07/2015) შესაბამისად, გარდამავალი მენეჯმენტი სრულად ფუნქციონირებს N11 არასრულწლოვანთა და N5 ქალთა პენიტენციურ დაწესებულებებში.

ღონისძიება 11.3.5. საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კამპანიის წარმოება (სოციალური კლიპები, კონკურსები, სოციალური მედიის მეშვეობით ინფორმაციის გავრცელება)

სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრი - რეგულარულად ხორციელდება სოციალური მედიის და რადიო რეკლამის საშუალებით საზოგადოების ინფორმირება მიმდინარე თუ დაგეგმილ ღონისძიებებთან დაკავშირებით.

სსიპ - პრობაციის ეროვნული სააგენტო - პრობაციის ეროვნული სააგენტომ მოამზადა და დაბეჭდა საინფორმაციო ბუკლეტები.

2017 წელს პრობაციის ეროვნულმა სააგენტომ, პირობითმსჯავრდებულთა ინფორმირების მიზნით, რამდენიმე სახის საინფორმაციო ბუკლეტი დაბეჭდა, სადაც განმარტებულია პრობაციის ეროვნული სააგენტოს ფუნქციები და მიზნები.

ღონისძიება 11.3.6. მიმდინარე საქმიანობის შესახებ მედიისთვის ინფორმაციის რეგულარულად მიწოდება

სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრი - პერიოდულად ხდება მიმდინარე საქმიანობების შესახებ მედიისთვის ინფორმაციის მიწოდება. ასევე, ხორციელდება გადაცემების, სიუჟეტების, საგაზეთო სტატიების მომზადება. წარმატებული შემთხვევების შესახებ მზადდება ვიდეო-რგოლები, რომლებიც ვრცელდება ინტერნეტის საშუალებით.

პერიოდულად ახლდება საინფორმაციო შინაარსის ბეჭდური მასალები. ასევე, გაიმართა ცენტრის მუშაობის შემაჯამებელი ღონისძიება.

სსიპ - პრობაციის ეროვნული სააგენტო - მომზადდა პრობაციის ეროვნული სააგენტოს საქმიანობის ანგარიში.

ღონისძიება 11.3.7. ტრენინგი მედიის წარმომადგენლებისთვის

სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრი - სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ორგანიზებით ჩატარდა ტრენინგი მასმედიის წარმომადგენლებისთვის თბილისსა და ბორჯომში. აღნიშნული ღონისძიება მიზნად ისახავდა ბეჭდითი მედიის, ონლაინ მედიის და ტელე-რადიო მაუწყებლობის ჟურნალისტთათვის შრომისა და დასაქმების თემებზე ცნობიერების ამაღლებას, შრომის ბაზრის ძირითადი თავისებურებებისა და მახასიათებლების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, შრომის ბაზრის საკითხებთან დაკავშირებით ჟურნალისტების პროფესიული და კვალიფიციური საქმიანობის გაუმჯობესების ხელშეწყობას.

ზემოაღნიშნული ღონისძიების ფარგლებში თბილისისა და რეგიონის მედიის წარმომადგენლებისთვის საანგარიშო პერიოდში ჩატარდა ტრენინგი "ყოფილ პატიმართა სამოქალაქო ინტეგრაცია".

სსიპ - პრობაციის ეროვნული სააგენტო - პერიოდული ანგარიში მომზადებულია და განთავსებულია ვებგვერდზე. 2017 წლის განმავლობაში სააგენტომ განახორციელა სხვადასხვა სახის PR აქციები.

პენიტენციური დეპარტამენტი - სასჯელაღსრულების სისტემაში განხორციელებული რეფორმისა და საკანონმდებლო ცვლილებების გაცნობის მიზნით, ჟურნალისტებისათვის ქ. ბორჯომში ჩატარდა ორდღიანი სემინარი თემაზე „სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემის რეფორმა". სემინარს საქართველოს მასმედიის სხვადასხვა სფეროს 40-მდე წარმომადგენელი ესწრებოდა, რომლებიც გაეცნენ სისტემაში განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებებს, სამომავლო გეგმებს, სამინისტროს პრიორიტეტებს, პენიტენციურ დაწესებულებებში ჯანსაღი გარემოს შექმნისა და პატიმრების რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის მიზნით მიღწეულ პროგრესსა და სამომავლო პროგრამებს.

ღონისძიება 11.3.8. საზოგადოებრივი აზრის კვლევა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესისა და ამ სფეროს ბენეფიციართა მიმართ დამოკიდებულებაზე

2017 წელს აღნიშნული კვლევა არ განხორციელებულა.